გ. ბუხნიკაშვილი

ქორი

რისტორიული
ნოველები

საგრიტგამი

გამომცემლობისაგან

სხვადასხვა წყაროების — ისტორიული ქრონიკებისა, მოგზაურთა მემუარებისა, საარქივო დოკუმენტებისა და თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით დაწერილია დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის გორის ეს მოკლე ისტორიული ნარკვევი.

გ. ბუხნიკაშვილის წიგნში მოყვანილია ეპიზოდები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ქალაქ გორის ისტორიის ცალკეულ პერიოდებს.

ნარკვევის შედგენისას ავტორი ხელმძღვანელობდა უძვირფასესი შრომით ლ. პ. ბერიასი — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

ძველად გორი საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. ძველი გორის ციხე ძეგლია განვლილი საუკუნეებისა, როდესაც საქართველოს თავს ესხმოდა მრავალი უცხო დამპყრობი.

ცარიზმის დროს გორი პატარა სამაზრო ქალაქად იქცა; საქართველოში მენშევიკების,—ქართველი ხალხის ამ უბოროტესი მტრების, — თარეშის დროს გორი მეტისმეტად დაეცა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებიდან იწყება გორის კეთილმოწყობა; გორი იზრდება და ამჟამად იგი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი აყვავებული ქალაქია.

ქალაქ გორის ისტორიული სტალინური ადგილები რესტავრირებულია ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის რეკონსტრუქციის საკითხებს და მისი ისტორიის დამუშავებას.

გ. ბუხნიკაშვილის მიერ დაწერილი ნარკვევი მკითხველს დაეხმარება ქალაქ გორის ისტორიისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის ახლო და მშობლიური ისტორიული ადგილების გაცნობაში.

I

ქალაქი გორი ერთ-ერთი უძველესი სამოსახლო ადგილია საქართველოში. ისტორიკოსი ვახუშტი თავის შრომაში — „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა“, გულისხმობს ქართლის ცხოვრების ცნობას: „...არამედ არ არის უწყებული ვისით აღშენდა პირველ: განა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა), და ჰყო საფლველად საგანძურთა“.

გორის კლდოვან მაღლობთან, სადაც ციხეა აშენებული, საქარავნო გზა გადიოდა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. მდინარე მტკვარზე, რომელიც გორაკს ჩაუდის, ნაოსნობა არსებობდა. ამ პირობებში ციხეს საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზების დასაცავად.

ვახუშტი გულისხმობს VII საუკუნის დასაწყისის ამბებს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ საქართველო დაიპყრო. ციხის ირგვლივ მოსახლეობა უფრო ადრე უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებენ აქ აღმოჩენილი ფულები: ლიზიმახის სტატერების იმიტაცია (III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომის იმპერატორ ავგუსტის დინარიები (I საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვისა). 1937 წელს მიწის სამუშაოების დროს ქალაქ გორის ცენტრში აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს სამაჯურები და თიხის ჭურჭელი, რომლებიც მიკუთვნებულია I საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ისტორიკოს ვახუშტის მიერ სიტყვა „ტონთიოს“ განმარტება, ვითომდა იგი „ოქროს მთას“ ნიშნავდეს, სწორი არ არის. სახელწოდება წარმოდგება ქართულ სიტყვა „ტინი“-საგან, რაც კლდეს ნიშნავს. საფიქრებელია, რომ ბორცვისა და მასზე აგებული ციხის სახელი „ტინთა“ (კლდოვანი მთა) იყო, როგორც ამას ამტკიცებს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი. გორის მიდამოებში დღევანდლამდეა შერჩენილი მთელი რიგი მინაგვარი სახელებისა, როგორც მაგალითად, სოფლები „ატენი“ და „ტინისხიდი“, მდინარე „ტანა“.

სახელწოდება ქალაქისა „გორი“ მერმინდელია და გამოწვეულია ბგრეთვე კლდოვანი ბორცვის თანაპოვნიერებით — „გორა“, „გორა-

კი". ვახუშტი „ღეოღრაფიაში" წერს: „ამან სახელი მოიგო გორი-საგან. რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდე-სა ზედა".

VII — IX საუკუნეებში საქართველო შედიოდა არაბეთის სახა-ლიფოში, რომელიც შემდეგ თანდათან დაეცა. საქართველოში ვი-თარდებოდა თანდათანობითი პროცესი ცალკეული სამეფოების გა-ერთიანებისა მთლიან საქართველოს სახელმწიფოდ (ქართლი, კა-ხეთი, აფსაზეთი და სხვ.).

გაერთიანების ერთ-ერთი ცენტრი იყო უძველესი ქვის ქალაქი უფლისციხე, რომელიც მდებარეობს გორიდან 9 კილომეტრის და-შორებით. უფლისციხე ქართლის დედაქალაქი იყო, რადგან თბი-ლისი არაბებს ეკავათ. საფიქრებელია, რომ ამ ხანაში ციხე „ტინ-თას" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ფორპოსტს უფლისცი-ხის დასაცავად.

XII საუკუნეში უცხოელ დამპყრობთა, მცირე აზიის სახელმწი-ფოთა, ყურადღება ჯვაროსანთა ომებზე იყო მიქცეული. სამხედრო მოქმედებათა ბუდეები გადავიდა დასავლეთით, ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე. თითქმის ასი წლის განმავლობაში საქართველომ თავი დააღწია დამღუპავ თავდასხმებს. საქართველოში გამავალი საქარავ-ნო გზა შედარებით უსაშიშრო შეიქნა და მასზე მოძრაობა გამოცო-ცხლდა. ქვეყანა ეკონომიურად გაძლიერდა. ქართველმა ხალხმა ამ ეპოქაში შექმნა კულტურის შესანიშნავი ძეგლები. საკმარისია აღვ-ნიშნოთ თუნდაც შოთა რუსთველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაო-სანი".

საქართველოს სამეფოს გაძლიერებამ ტინთა-გორის განვითარე-ბაზეც მოახდინა გავლენა. XII საუკუნის დამდეგს, მეფე დავით II აღმაშენებლის დროს, ციხის ირგვლივ სავაჭრო ქალაქი გაშენდა, რომელიც შემდგომ ქვეყნის ვაჭრობა-ხელოსნობის ერთერთ მნიშვ-ნელოვან ცენტრად იქცა.

XIII საუკუნიდან განახლდა უცხოელ დამპყრობთა შემოსევანი საქართველოზე. დაიწყო საქართველოს ეკონომიური დაცემა და გა-ერთიანებული სახელმწიფოს თანდათანობითი დაშლა ცალკეულ სა-მეფოებად და საბატონოებად. მიზეზი დასუსტებისა იყო ქვეყნის ეკონომიური-სიძლიერის ძირის გამოთხრა. საქართველო ეკონომი-ურად უმთავრესად ეყრდნობოდა საქარავნო ბაჟებსა და დამორჩი-ლებული პროვინციების ხარკებზე. ამავე დროს სახელმწიფომ სა-კმაო ზომით ვერ შესძლო თავისი საკუთარი შინა ეკონომიური რე-სურსების განვითარება, რაზედაც შეიძლებოდა დამყარებოდა მისი სამხედრო ძლიერება.

დაიწყო დიდი ხნის შეუპოვარი ბრძოლა ქართველი ხალხისა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ.

ქალაქ გორის ისტორია ურყევად არის დაკავშირებული იმ ამბებთან, რაც წარსულში განიცადა ქართველმა ხალხმა.

1226 წელს საქართველოში შემოიჭრა ხვარამზის სულთანი ჯალალ-ედინი. მისმა ჯარებმა დაარბიეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ააოხრეს ქალაქი გორიც. ჯალალ-ედინს მოჰყვნენ მონღოლები, რომლებიც საქართველოში საბოლოოდ XIII საუკუნის 40-იან წლებში დამკვიდრდნენ. მეტად მკაცრი იყო საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის მონღოლთა ბატონობა.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მეფე გიორგი VI ბრწყინვალემ ისარგებლა მონღოლთა შესუსტებით და საქართველო გააერთიანა, მაგრამ ახალი დამპყრობის, თემურლანგის, გამოჩენამ საქართველოს ახალი უთვალავი უბედურება მოუტანა. 1387 წელს თემურ-ლანგმა თბილისი აიღო. 6-ჯერ გაიარეს თემურლანგის ჯარებმა საქართველოზე, დაარბიეს და დაანგრიეს ქალაქები, მათ შორის გორიც, მიწასთან გაასწორეს სოფლები, გაანადგურეს კულტურის ძეგლები, მოსპეს, ან მონად წაიყვანეს მოსახლეობა.

უბედურებანი, რომლებიც უცხოელ დამპყრობთ მოჰქონდათ, უფრო ღრმავდებოდა ქართველი ფეოდალებისაგან ეკონომიური ჩაგვრით.

ქალაქი გორი და მისი მიდამოები ფეოდალ ამილახორთა სამფლობელო იყო. მათი ძველი გვარი ზევდგინისძე იყო.

„ამილახორი“ იყო თანამდებობა მეჯინიბეთ — უხუცესისა საქართველოს მეფის კარზე. ეს თანამდებობა დაუმტკიცდათ ზევდგინისძეებს ქართლის მეფე გიორგი VIII მიერ, მათი ნამსახურობის გამო ლაშქრობის დროს. თანამდებობა შთამომავლობითი იყო. აქედან წარმოდგება გვარი ამილახორი. ამილახორებს აგრეთვე შთამომავლობით მიკუთვნებული ჰქონდათ ადმინისტრატიული თანამდებობა გორის მოურავისა.

ქალაქ გორის შესახებ XV საუკუნის მეორე ნახევარში წერდა ვენეციის ელჩი ირანის ტახტთან, ვენეციელი დიპლომატი ამბროზიო კონტარინი, რომელიც ირანში მოგზაურობისას 1474 წელს გორში გაჩერდა:

„ქალაქი პატარა ვაკეზე მდებარეობს, გორაკის ძირში, რომელზედაც ხის ციხეა აღმართული; ქალაქს დიდი მდინარე რწყავს. საერთოდ ქალაქი საკმაოდ კარგია“.

ამბროზიო კონტარინის უცნობებია გორში მისვლის შესახებ გორის მოურავისათვის, მაგრამ გული გასტეხია მისი მოპყრობით. „გუ-

ბერნატორმა მყისვე გასცა განკარგულება სადგომის მოცემის შესახებ. ვიმედოვნებდი, რომ იგი კარგად მიმიღებდა. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრა: მეფე ბაგრატი მწერს, რომ ოცდაექვსი ოქრო უნდა გადაგახდევინო და კიდევ ექვსი ოქრო გზის მაჩვენებლებისთვისო. უშედეგოდ ვარწმუნე, რომ ასეთი მოთხოვნა წარმოუდგენელია, რადგან მეფემ კარგად მიმიღო და მას სამოცდაათი ოქრო მივართვი. ჩემმა რწმუნებამ არ გაჭრა და იძულებული გავხდი მიმეცა, რასაც თხოულობდა".

მოურავმა რამდენიმე დღე გააჩერა კონტარინი, ვიდრე ფული არ გადაახდევინა.

II

XVI საუკუნიდან საქართველო კვლავ განიცდიდა უცხო დამპყრობთა შემოსევებს. დიდი წინააღმდეგობის გადალახვით თურქებმა დასავლეთი საქართველო დაიპყრეს. ამავე დროს ირანი ილტვოდა აღმოსავლეთ საქართველოსაკენ, კერძოდ ქართლის სამეფოსაკენ, და ყოველი ღონით ეწინააღმდეგებოდა თურქეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობას.

ამ პერიოდში ქალაქი გორი, ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, არა ერთხელ გახდა სამხედრო მოქმედებათა ობიექტად და უძლებდა შემოსევებს. ქართლელები მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ ირანელ დამპყრობთ და როდესაც 1536 წელს ირანელებმა თბილისი დაიკავეს, ქალაქი გორი ქართლის დედაქალაქად იქცა.

დამპყრობთა წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში გორის ახლოს მოკლეს ქართლის მეფე ლუარსაბ I. იგი მეთაურობდა ქართლელთა ლაშქარს, რომელიც იცავდა ქვეყნის ნაციონალურ - დამოუკიდებლობას.

1553 წელს, ირანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ირანსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. ქართლელთა ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მაინც გრძელდებოდა. ქართლის მეფე სვიმონ I საქართველოს გაერთიანების პოლიტიკას აწარმოებდა, რათა შესძლებოდა საერთო ძალით ირანის ბატონობისაგან განთავისუფლება. სვიმონმა მიზანს ვერ მიაღწია. დაბოლოს, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, 1569 წელს, მათ ტყვედ ჩაუვარდა, ირანში წაიყვანეს და ალამუტის ციხეში ჩასვეს.

1577 წელს თურქეთსა და ირანს შორის კვლავ ომი გაჩაღდა. თურქეთმა მთლიანად დაიპყრეს ქართლი და გორიც. ქალაქი ხელთ იგდეს მოურავ ბარძიმ ამილახორის გამცემლობით.

თურქების მიერ ქართლის დედაქალაქის თბილისის დაკავების შემდეგ ირანის შაჰმა გაათავისუფლა სვიმონი ტყვეობისაგან და როგორც გამოცდილი სარდალი ქართლის მეფედ გააწესა, ხოლო იმ პირობით, რომ თურქების წინააღმდეგ იბრძოლებდა.

თურქებმა ქართლში ქვითკირის ციხეები ააშენეს და გამაგრდნენ, ხელახლა აშენებულ იქნა გორის ციხეც.

• სვიმონ მეფემ შეურიგებელი ბრძოლა იწყო თურქების წინააღმდეგ. მაგრამ ბრძოლა უთანასწორო იყო. ვერ წყვეტდა საქმეს სვიმონის პირადი გულადობა და ქართველთა გმირობა. გამარჯვებისათვის საჭირო იყო მთლიანად ქართველი ხალხის, ქართველი სამეფოებისა და სპეტაკონოების შეკავშირება. სვიმონ I ცდილობდა ამის მიღწევას საქართველოს გასათავისუფლებლად არა მარტო თურქებისა, არამედ ირანელ დამპყრობთაგანაც. მისი განზრახვის განხორციელებას ხელს უშლიდა ღრმა წინააღმდეგობანი, რომლებიც ფეოდალებს შორის არსებობდა.

1599 წელს სვიმონი შეეცადა აეღო გორის ციხე, ალყა შემოარტყა მას, მაგრამ ცხრა თვის განმავლობაში ვერ მიაღწია მიზანს. გამოცდილმა სარდალმა ბოლოს ხერხი იხმარა: დიდმარხვის დაწყებისას სვიმონმა ალყა შეასუსტა და ხმა დაყარა, მარხვის გამო ქართველები არ იომებენო.

თურქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მარხვაში ქართველთა ლაშქარი შეტევაზე არ გადავიდოდა და სიფხიზლე შეასუსტეს.

ამავე დროს სვიმონმა ახლომახლო სოფლებში საიდუმლოდ დაამზადებინა კიბეები და ერთ ბნელ ღამეს ციხეს შეუტია. შეტევა მოულოდნელი იყო თურქებისათვის, დანებდნენ სვიმონს და ჩააბარეს ქალაქი და ციხე.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ სვიმონი თურქებს ტყვედ ჩაუვარდა მდინარე ალგეთზე ბრძოლის დროს, თბილისის ახლოს. სვიმონი თურქებმა სტამბოლში წაიყვანეს და მის გამოსასყიდად დიდი ფასი მოითხოვეს. სვიმონის შვილი მეფე გიორგი X დასთანხმდა მათ მოთხოვნაზე და სტამბოლს გაგზავნა მოთხოვნილი საფასური. სტამბოლში ჩასულთ სვიმონი ცოცხალი არ დახვდათ. მიუხედავად ამისა, თურქებმა გაგზავნილი საფასური მიითვისეს. შემდგომ სვიმონის გვამი სტამბოლიდან ჩამოიტანა გორელმა ვაჭარმა, გვარად დიაკვნიშვილმა.

გორელი ვაჭრის სტამბოლში ყოფნა გვიმტკიცებს, რომ, მიუხედავად ომებისა და საქარავნო გზებზე მოგზაურობის საშიშროებისა, გორელი ვაჭრები სტამბოლშიც კი ახერხებდნენ სავაჭრო საქმეების წარმოებას.

ქართლის ისტორია XVI საუკუნისა არის ისტორია გაუთავებელი ომებისა. ასი წლის განმავლობაში მის ტერიტორიაზე 50-მდე მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო ირანთან, თურქეთთან და მეზობელ

მთიელთა ტომებთან. ეს ბრძოლები ძვირად უჯდებოდათ ქართლელებს, რომლებიც მტკიცედ, ვაჟკაცურად იცავდნენ თავის ქვეყანას.

XVII საუკუნის დამდეგს, 1609 წელს, ქართლს ახალი უბედურება დაატყდა. თურქეთის ვასალი, ყირიმის მფლობელი თათარხანი ბრუნდებოდა ბაღდადის ლაშქრობიდან. ,ყირიმში დასაბრუნებლად მან გზად ქართლი აირჩია (მდინარე ხრამის ხეობა, თრიალეთის მთები, მცხეთა, შემდეგ დარიალის ხეობა, ჩრდილო კავკასია და ყირიმი).

თათარხანს მთებში გზა დაებნა და გზის ჩვენება ძალით დააავალა ერთ მღვდელს, სახელად თევდორეს. თევდორემ განიზრახა უცხო ჯარის განადგურება და ულრან ტყეში შეიყვანა. დარწმუნდა რა ამაში, თათარხანმა ბრძანა მოეკლათ თევდორე. თათარხანმა დიდის სიძნელით დააღწია თავი მთებს და აღმოაჩინა, რომ დასახული გზის დასავლეთით მიდიოდა, გორის ახლოს.

თათარხანმა გადაწყვიტა ქალაქ გორისა და ციხის აღება, მაგრამ გორის მცხოვრებლებმა დროულად გაიგეს უცხო ჯარის მოახლოება და მოასწრეს მდინარე მტკვარზე ხიდის დანგრევა. თათარხანი იძულებული იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირით წასულიყო ბორჯომის ხეობისაკენ. აქ მას დაეწია და შეებრძოლა ქართველთა ლაშქარი მეფე ლუარსაბ II-სა და ცნობილი სარდლის გიორგი სააკაძის მეთაურობით. თათარხანის ჯარი დაამარცხეს და გაფანტეს.

აღმოსავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით საზარალო იყო ირანის მფლობელის შაჰ-აბაზის შემოსევა. მან 1616 წელს აიღო თბილისი, გორიც და ქართლის მეფედ დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი ბაგრატ-მირზა. გორის მოურავად გახდა ანდუყაფარ ამილახორი, რომელიც ირანის კარზე აღიზარდა და გამაჰმადიანებული იყო. ანდუყაფარი დიდი ერთგული იყო შაჰ-აბაზისა. ირანის ჯარების საშუალებით ანდუყაფარი სასტიკად სპობდა თავის და ირანის მოწინააღმდეგეთ, ამასთანავე შეუბრალებლად სძარცვავდა მოსახლეობას.

1625 წელს სარდალმა სააკაძემ, რომელიც ირანელებთან ბრძოლებს აწარმოებდა, გორის ციხე აიღო და გაანადგურა ირანის გარნიზონი.

კათოლიკე მისიონერების აღწერით, რომლებიც რომიდან საქართველოში იყვნენ გამოგზავნილნი, ქალაქი მთლად დანგრეული იყო ირანელების მიერ. მოსახლეობაც ძალზე შემცირებულიყო.

მისიონერები ჩამოვიდნენ რომის პაპის წერილით ქართლის მეფე თეიმურაზ I-სადმი. მეფე თეიმურაზი გორის ახლო მდებარე სოფელში ცხოვრობდა. მან კარგად მიიღო მისიონერები და გორში

მისცა საცხოვრებელი სახლი და ეკლესია. ამავე მისიონერების საშუალებით თეიმურაზმა ირანიდან მიიღო შაჰ-აბაზის მიერ წამებული ქეთევან დედოფლის, თეიმურაზის დედის, გვამის ნაწილები.

მოიგეს რა თეიმურაზის გული, მისიონერები შეუდგნენ გორში კათოლიკობის გავრცელებას. ექიმობდნენ კიდეც და თეიმურაზ მეფის მძიმე ავადმყოფი მეუღლეც მოარჩინეს, თუმცა-ღა მისიონერები რომში მიწერილ წერილში აღიარებდნენ: დედოფალს სრულიად უვნებელი წამლები მივეცით და იგი თავისთავად განიკურნაო.

მეფე თეიმურაზმა მისიონერებს ყმა-გლეხები, ვენახი და სახნავი მიწები მისცა.

მფარველობდა რა კათოლიკობას, თეიმურაზი რომის პაპისაგან რეალურ დახმარებას ელოდა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისიონერები გორში მომრავლდნენ, მისიონი გაიზარდა.

კათოლიკების მოღვაწეობას საქართველოში თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან ქართველი მეფეები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პაპებთან და იმედოვნებდნენ — პაპი მხარს დაგვიჭერს აზიის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაშიო. მაგრამ რომის ეკლესიის დახმარება მხოლოდ მოსახლეობის გასაკათოლიკებლად მისიონერების გზავნით იხატებოდა. ეს მისიონერები არსებითად იტალიური სავაჭრო კაპიტალის მზვერავები იყვნენ, რომელიც ახალ ბაზრებს ეძებდა.

XV საუკუნიდან ჩვენ უკვე ვხვდებით კათოლიკური მისიონერების კვალს გორში. არის ცნობები მათ მიერ გორში სახლებისა და მამულების შესყიდვისა.

რომში მყოფმა ქართველმა ბერმა ნიკიფორე ირბახმა (ირუბაქიძე) კათოლიკობა მიიღო და მისიონერებს ქართული ენა შეასწავლა. 1629 წელს მისი დახმარებით გამოიცა იტალიურ-ქართული სიტყვარი (პირველი დაბეჭდილი წიგნი ქართული შრიფტით).

1633 წელს გორი ხელახლა დაიკავეს ირანის ჯარებმა, რომელთაც გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი როსტომ-ხანი მეთაურობდა. თეიმურაზ მეფე იძულებული გახდა გაქცეულიყო. დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ გორისა და ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებნი ირანელთა ჯარის ბანაკობის გამო.

როსტომ--ხანმა, რომელმაც მეორე წელს ქართლის მეფობა მიიღო, 25 დღეში აღადგინა ნახევრად დანგრეული გორის ციხე. ციხის აშენებაზე 20.000 კაცი მუშაობდა.

გორში მყოფი ერთი კათოლიკე მისიონერი, ქრისტეფორე კასტელი, მხატვარი იყო და როსტომმა მას დაავალა ახალი გორის ციხის



გორის ციხე. ნახატი ჯოანიტელთაგან გაკეთებული (1653 წ.)

სურათის დახატვა. კასტელიმ შეასრულა მისი დავალება. ციხის სურათი როსტომმა შაჰს გაუგზავნა.

ქრისტეფორე კასტელს ეკუთვნის დიდი სერია ნახატებისა ტექსტითურთ, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრების შესახებ საქართველოში.

კათოლიკების მისიონერები თეიმურაზის დამარცხების შემდეგაც განაგრძობდნენ თავის მოღვაწეობას გორში, მაგრამ უკვე არა იმ მასშტაბით, როგორც წინათ. როსტომმა პირველ ხანებში თუმცა-ღა დაადასტურა მათი რწმუნებანი. მაგრამ შემდგომ გამოსცა ბრძანებულება ქართველთა სხვა სარწმუნოებაში გადასვლის აკრძალვის შესახებ, გარდა მაჰმადიანობისა, და მალე სრულებით აკრძალა კათოლიკობის პროპაგანდა. ამასთანავე ქართლში შავი ჭირი გაჩნდა და დიდი მსხვერპლი შეიწირა. ამის შემდეგ გორის მისიონი დაიხურა და გადარჩენილი მისიონერები, მათ შორის ბერი მხატვარი კასტელი, დასავლეთ საქართველოში გადასახლდნენ.

როსტომის შემდეგ ქართლში მეფობდა ქართველ-მაჰმადიანი შახ-ნავაზი (1658 — 1676).

შახ-ნავაზის მეფობის დროს საქართველოთი ირანში მგზავრობდა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. იგი გორშიც იყო. მის საინტერესო მოგზაურობის წიგნში არის გორის აღწერაც: „ქართლში მხოლოდ 4 ქალაქია: გორი, სურამი, ალი და თბილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ვაკეზე ორ მთას შუა, მტკვრის ნაპირას, ერთი გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული. ციხის მცველები სპარსელები არიან. ეს ციხე აუშენებია გურჯისტანთან უკანასკნელი ომის დროს, 40 წლის წინათ, რუსტენ-ხანსა, რომელიც სპარსეთის ჯარის სარდალი იყო. ციხის გეგმა შეუდგენია ერთ მისიონერს, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა. ციხეს არა ჰყავს ბევრი მცველი. ციხე ძალიან მაგარია, მოხერხებულ ადგილზეა აშენებული. ციხეში ასი კაცია მეციხოვნედ. თვით ქალაქი პატარაა. სახლები და ბაზარი მიწურებია. მცხოვრებლები სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულებიც. აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება“.

ქალაქ გორის ცხოვრების შესახებ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ცნობებს ვხვდებით კვლავ კათოლიკე მისიონერების მოხსენებებში, რომლებსაც ისინი საქართველოდან რომში გზავნიდნენ.

1663 წელს საქართველოში მოვიდა მისიონერთა ახალი ჯგუფი. ორი მათგანი გორში წავიდა მისიონის აღსადგენად. მაგრამ ადგილობრივი სამღვდელოება მათ ყოველის გზით ხელს უშლიდა.

1684 წელს, შიმშილობისა და გაჭირვების გამო, აღმოსავლეთ

საქართველოში შავი ჭირი გაჩნდა. ეპიდემია შვიდ თვეს გრძელდებოდა და მრავალი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს. შავი ჭირის გორში გაჩენისას მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მთებში გაიხიზნა.

XVII საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ქართველი ხალხის მტკიცე ბრძოლა ირანსა და თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ხალხი გმინავდა უცხოელ დამპყრობთა და საკუთარი ფეოდალების უღელში. მოსახლეობის მონად გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ საქმეს აწარმოებდნენ ქართველი დიდებულნი, საქართველოში მდგომი ირანელთა და თურქთა გარნიზონები და აგრეთვე მთიელი-ლეკები, რომლებიც მუდმივ არბევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს.

მიუხედავად მრავალი უბედურებისა, ქართველმა ხალხმა უმძიმეს პირობებშიც-კი შესძლო თავისი კულტურის შენარჩუნება და ახალი მიღწევებით გამდიდრება.

III

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ხელახლა აატყდა ომი ირანსა და თურქეთს შორის. თურქები შემოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და 1723 წელს დაიპყრეს ქართლის ტერიტორია დედაქალაქ თბილისით.

ქართლის მეფე ვახტანგ VI ოჯახითურთ და დიდი ამალით რუსეთში გადასახლდა რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ. მან თან წაიღო დიდძალი სიმდიდრე და ისტორიული დოკუმენტები. რუსეთში გადასახლებულ თავად-აზნაურთა შორის იყო რამდენიმე ოჯახი გორის ფეოდალ ამილახორთა. ერთი მათგანი, ვახტანგ ამილახორი, რუსეთში ნამყოფი იყო და რუსული ენაც კარგად იცოდა.

ცხოვრობდნენ რა რუსეთში ვახტანგი და მისი შვილი ვახუშტი, ნიჭიერი და განათლებული ისტორიკოსები და ლიტერატორები, მათ დაწერეს უძველესი შრომები საქართველოს ისტორიისა და ცოდნათა სხვადასხვა დარგიდან.

თორმეტი წელი ეჭირათ თურქებს ქართლი და ქალაქი გორიც, მაგრამ ირანის დაძალებით ბოლოს იძულებული გახდნენ დაეცალათ აღმოსავლეთ საქართველო.

ამ ხანებში ქართლისა და გორისათვის ყურადსაღები ფიგურაა ახალი მოურავი გორისა გივი ამილახორი. იგი ენერგიული და მხნე ადამიანი იყო, მაგრამ თავის უნარს ქართველი ხალხისა და სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ არ იყენებდა. თავისი სიმუხთლითა და ყმა-გლეხებისადმი მძვინვარედ ანგარიშის გასწორებით მან მეტად ცუდი ნახსოვრობა დაგვიტოვა.

ირანსა და თურქეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებამ გივი ამილახორს საბაბი მისცა შეურილიყო გორის ციხეში და გაენადგურებინა თურქთა გარნიზონი, თუმცა იგი ადრიდან თურქთა ორიენტაციისა იყო. შემდეგ ამისა გივი ამილახორი და ქართლის სხვა ფეოდალნი წინ აღუდგნენ ირანს და ომი დაიწყეს. ბრძოლების დროს ირანელებმა გაიმარჯვეს. მათ დაანგრიეს გორის ციხე და ტყვედ წაიყვანეს მრავალი მცხოვრები.

გივი ამილახორის ამბოხებები გარეგნულად დადებითი ფაქტო-

რი იყო გარეშე მტრებთან ბრძოლის საქმეში, არსებითად კი ეს ბრძოლა გამოწვეული იყო ამილახორის ეკონომიური ინტერესების შეკვეცით.

ირანის შაჰის-ნადირის მიერ დანიშნულმა ქართლის მმართველმა სეფიხანმა მოტყუებით მიიხმო გორში კახ-ბატონი თეიმურაზი, გივი ამილახორი და სხვა ფეოდალნი, დაატყვევა იგინი და ირანში გაუგზავნა ნადირ-შაჰს. გორში მოურავ გივი ამილახორის მაგივრად სეფე-ხანმა მმართველად დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი, ბატონიშვილი აბდულ-ბეგი.

ნადირ-შაჰმა თეიმურაზს აპატია და კახეთი დაუბრუნა. პატიებულ იქნა აგრეთვე გივი ამილახორიც. ირანელებმა გადაწყვიტეს იგი ქართლის მოსახლეობისაგან გადასახადების და ხარკის ასაკრებად გამოეყენებინათ, რომელიც მეტად მძიმე იყო.

1741 წელს გივი ამილახორმა ნადირ-შაჰისაგან მიიღო ქართლის ვექილობა (შაჰის მოადგილეობა ქართლში). ექვსი ათასი ირანელი ჯარით მოვიდა იგი თავის სამფლობელოში (ჯარში ავღანელები და ინდოელები იყვნენ) და გულმოდგინედ შეუდგა მოსახლეობისაგან გადასახადების ართმევას.

ხალხი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა გივი ამილახორის მძვინვარებას. საქმე შეიარაღებულ გამოსვლებამდისაც-კი მივიდა.

მიუხედავად ამისა, ნადირ-შაჰმა წინადადება მისცა გივი ამილახორს ერთი თვის განმავლობაში ქართლში კიდევ შეეკრიბა ხარკი დაღესტანში მყოფი ირანის ჯარებისათვის, მილიონამდე ფუთი პური, 6.000 ხარი და 500 ურემი.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღწერს ხალხის [illegible] მდგომარეობას ამ ხარკის აკრეფის გამო. „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯერ ეწახენ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდნენ და იმას სჭამდნენ; დაუწყეს თხოვნა პურისა, ეკოდა კაცი და დედაკაცი. მრავალი სული [illegible] მტკდა, თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვნიდნენ, თავისი ხელით შვილებს აძლევდნენ, მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გადაიხვეწა“.

ნადირ-შაჰი ამ ხარკითაც არ დაკმაყოფილდა, მან კვლავ მოსთხოვა გივი ამილახორს დიდძალი პურის შეგროვება და აგრეთვე 300 ახალგაზრდა ქალი და 500 კომლი ყმა. ამ მოთხოვნის ასრულება გივისაც-კი აღარ შეეძლო. შიში ჰქონდა რა ნადირ-შაჰის მრისხანებისა, გივი ამილახორმა თურქებისა და ლეკების დახმარებით ირანის წინააღმდეგ ამბოხება მოაწყო.

გორის ირგვლივ ბრძოლები გაიმართა. ამბოხების ჩაქრობა ნადირ-შაჰმა კახ-ბატონს თეიმურაზს დაავალა.

თეიმურაზი გორში შევიდა, მაგრამ გივი ამილახორი დაეცა გორს და თეიმურაზი იძულებული გახდა გორიდან აღმოსავლეთით დაეხია. თეიმურაზის დასახმარებლად მოვიდა მისი შვილი ერეკლე. მათ საერთო ძალებით შეუტიეს გივის ლაშქარს. გივი დამარცხდა, გორი დატოვა და გორიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მდებარე სურამის ციხე დაიკავა.

ამ დროისათვის (1744 წ.) თეიმურაზი ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ განაწესა. კახ-ბატონად თეიმურაზის ნაცვლად მისი შვილი ერეკლე დანიშნა.

სურამის ციხეში ჩაკეტილი გივი ამილახორი თეიმურაზს არ ნებდებოდა. უნაყოფო მოლაპარაკებათა შემდეგ თეიმურაზ II და ერეკლემ ციხეს ნალმი მისცეს. აფეთქდა ციხის ერთი კედელი. გივი დანებდა მათ და ნადირ-შაჰთან იქნა გაგზავნილი. შაჰმა მას ახლაც აპატია და თავის კარზე დატოვა, როგორც საჭირო კაცი თავისი პოლიტიკის გასატარებლად საქართველოში.

ამ ხანების ქალაქი გორი დაწვრილებით აწერილია ისტორიკოს ვახუშტის მიერ: „...ამის გარდა მოხვეული ლიახვიდამ ლიახვამდე ქალაქი. 83 მეფემან სვიმონ წარუხვნა ოსმალთა და შემუსრა ციხე. 89 მეფის როსტომის მეფობას, აღაშენა შაჰსეფიმ კვალად ციხე, და მიერით ეპყრათ ყიზილბაშთა. 94 მეფის ვახტანგის ჟამს იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შაჰ-ნადირ დაარღვია ციხე, არამედ და ძალყოფილი ოსმალთა და ლეკთა და ყიზილბაშთაგან, შემცირდა ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა, ეკლესიანი კეთილშვენიერნიცა. განა ერთი შემუსრეს ოსმალთა, სომხისა. აქა 89 მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდნითა დიდი. ავაზანნი წყლიანნი დიდ-დიდნი შვენიერნი. 94 მეფემან ვახტანგ განაახლა, შემუსრეს ოსმალთა. არამედ არს ადგილი ჰავითა შვენიერი, წყალი კარგი. გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი, სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაც. ხილნი და საზრდელნი მრავალნი. გემოიანნი. მსახლებელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი. ტანოვანნი, მშვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი“.

ირანელთა ბატონობის გამო ქალაქის მძიმე მდგომარეობის დახასიათებას შეიცავს მოხსენება გორის მელიქის (ვაჭართა წოდების მეთაური) ფარსადანისა მეფე თეიმურაზ მეორისადმი: „ავღანის ჯარი გებოძებინათ, ორი უზბაში თავის თაბუნებითა, თითოს ორო-

ლი ცოლი, სამ-სამი ტყვე, სამსამი-ოთხოთხი ცხენი და იაბუ ჰყავთ. მოგეხსენებათ ამათი საყოფი სახლი გორს არ არის. ზამთარი არის, ოთხ-ოთხი კომლი რიიათი ქეთხუდები თითო სახლში დამიყენებია, სხვა ამათ მივეცი. კიდეე არ ეყოფათ. ქალანთარმა ნახა. ახლა კიდევ ყასუმა ბეგი უზბაში მოვიდა თავის თაბუნებითა, ხიზნითა, ტყვითა. ალაგი აღარ არის, რომ ამათაც ალაგი მივსცეთ, დიაღ ფერიმანი შეიქმნა რიიათი, თუ ამათ ერთს წყალობას არ გვიზამთ, ერთს და ერთს უზბაშს სხვაგან არ უბრძანებთ დადგომასა გორი დიაღ წახდება. ჩვენ მოგვიხსენებია და საბაეხტიარი თქვენ ბრძანდებით. ბზის წყალობაც გვიყავით, ქალანთარს უბრძანოთ, რომ სოფლებში ავლა უყოს. დღეში ოთხას ორმოცდაათ ლიტრა ბზეს თხოულობენ, რასაც პატრონებისას დახარჯვენ, იმას გარდა, ამდენი უნდებათ. ერთი რაყამიც მიბოძეთ, ციხე ყულაები კარები გაამაგრონ და ქეშიკი გასწიონ".

ირანელთა რაზმებისა და მათი ტყვეების შენახვა მძიმე ტვირთად აწვა პატარა ქალაქის მოსახლეობას.

ნადირ-შაჰ ქართლიდან და კახეთიდან უფრო და უფრო მეტ ხარკს მოითხოვდა. უკანასკნელად მან მოითხოვა ორი მილიონი მანეთი.

ამ ხარკის მიცემაზე თეიმურაზმა და ერეკლემ უარი სთქვეს. განმარტების მისაცემად თეიმურაზი იძულებული გახდა ირანში გამგზავრებულიყო და იქ ნადირ-შაჰთან ორი წელი დაჰყო. 1747 წელს ნადირ-შაჰი მოკლეს. ატყდა ძალაუფლებისათვის ბრძოლა შაჰის კარის სხვადასხვა ჯგუფს შორის. არეულობამ შეასუსტა ირანის ძალა. ამ სისუსტით ისარგებლეს თეიმურაზ II და ერეკლემ და უცხოთა ბატონობიდან განთავისუფლება დაისახეს მიზნად. შეუდგნენ ქართლისა და კახეთის გაწმენდას ირანელთა გარნიზონებისაგან. საქმე წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ გორის ციხეში მყოფი გარნიზონის განდევნა ისე ადვილად არ მოხერხდა.

გორის გარნიზონმა, რომელიც ავღანელებისაგან შედგებოდა, გაიგო-რა, თუ რას აპირებდა თეიმურაზი, გადაწყვიტა მას არ დანებებოდა და ციხეში ჩაიკეტა. მოსალოდნელი შეტაკებების შიშით ქალაქის მოსახლეობამ ნაწილობრივ ციხეშივე შეაფარა თავი, უმრავლესობა კი ტყეში გაიხიზნა. ქალაქი თითქმის დაცარიელდა.

თეიმურაზმა შეადგინა რაზმი მთიელთა ტომებისა და ქართლელებისაგან, ქალაქსა და ციხეს ალყა შემოარტყა და წინადადება მისცა ავღანელებს ციხე დაეტოვებინათ. ავღანელებმა უარი თქვეს ციხის დაცლაზე. თეიმურაზი იძულებული გახდა ციხისათვის ალყა შემოერტყა.

მოლაპარაკებას და ციხის ალების მომზადებას რამდენიმე დღე მოუნდა. ამ ხნის განმავლობაში თვით თეიმურაზის ჯარში მღელვარება დაიწყო. ნახევრად მშიერი გლეხები ქსნის ხეობიდან აჯანყდნენ და ქალაქის რბევა იწყეს. თეიმურაზი ბევრს ეცადა ჯარი დაემშვიდებინა, მაგრამ ცდა ამაო იყო. ქსნელებმა დაარბიეს ქალაქი, გაიტაცეს გორის ვაჭრების ქონება და ეკლესიების განძები, დაამტვრიეს ხატები. თეიმურაზი იძულებული შეიქნა ალყა მოეხსნა და უკან დაეხია.

უცხოელთა გარნიზონი გორიდან შემდეგ თავისით წავიდა.

1750 წელს მთელი აღმოსავლეთ საქართველო გაწმენდილი იყო ირანელთა ჯარებისაგან.

IV

თეიმურაზმა და ერეკლემ მომავალში ირახისა და თურქეთის შემოსევათა თავიდან ასაცილებლად მოლაპარაკება დაიწყეს რუსეთთან, კავშირისა და მფარველობის შესახებ.

რუსეთის მეფეები უკვე დიდი ხანია ინტერესს იჩენდნენ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს მიმართ და აგზავნიდნენ ელჩებს მოსალაპარაკებლად. ქართველი მეფეები აგრეთვე არა ერთხელ მიმართავდნენ რუსეთის ტახტს დახმარებისათვის. თეიმურაზი თვით გაემგზავრა რუსეთში მოსალაპარაკებლად და უკან გაბრუნებისას ასტრახანში გარდაიცვალა 1762 წელს. ამის შემდეგ ერეკლე II გააერთიანა თავის ძალაუფლების ქვეშ ქართლი და კახეთი. საქართველოს ხსნას იგი ხედავდა ცალკეულ სამეფოთა გაერთიანებაში, ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებასა და ფეოდალების უფლებათა შეკვეცაში.

ერეკლე II არსებითი რეფორმები გაატარა ქვეყნის თავდაცვის საქმეში. შექმნა რეგულარული ჯარი, განაახლა დანგრეული ციხეები, მათ შორის გორის ციხეც, მოაწყო თოფხანა, დენთის (თოფის წამლის) ქარხანა და ზარაფხანა.

ფეოდალები ყოველი ღონით ეწინააღმდეგებოდნენ მეფის მიერ შემოღებული რეფორმების გატარებას, რადგან ეს რეფორმები არსებითად მათი ეკონომიური ინტერესების შელახვას ნიშნავდა. მეფის შეურიგებელი მტრები იყვნენ ფეოდალი ამილახორები. ერთმა მათგანმა, დიმიტრი ამილახორმა, თავის შვილ ალექსანდრესა და სხვა თავადებთან ერთად ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო.

ერეკლემ II მიიღო რა ცნობა შეთქმულების შესახებ, უეცრივ თავს დაესხა შეთქმულების მონაწილეთ. ისინი სასტიკად იქნენ დასჯილი. შეთქმულების მონაწილე ბატონიშვილ პაატას თავი მოჰკვეთეს. დიმიტრი ამილახორი პირუკუღმა შესვეს ვირზე და ქალაქში ისე გაატარეს. ალექსანდრე ამილახორს ცხვირი მოსჭრეს.

ალექსანდრე ამილახორი რუსეთში გაიქცა და იქ პამფლეტი გამოუშვა ერეკლე მეფის წინააღმდეგ. იგი დააპატიმრა იმპერატორ ეკატერინე II, ალბათ, ერეკლე მეფის მოთხოვნით.

XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოსათვის დიდ უბედურებას წარმოადგენდა მთიელთა ტომების, კერძოდ ლეკების, მუდმივი შემოსევანი. დიდ რაზმებად გაერთიანებული ლეკები ეცემოდნენ ქალაქებსა და სოფლებს, არბევდნენ მცხოვრებლებს და ტყვედ მიჰყავდათ თურქეთში გასასყიდად.

ერეკლე II ყოველდღიურად ცდილობდა დაეცვა ქვეყანა ლეკების თარეშისაგან. ყოველწლიური ხარკიც კი დაუწესა ლეკების მეთაურს. 1765 წელს ლეკები გორს დაეცნენ, გაცარცვეს ქალაქი, ტყვეები წაიყვანეს და მრავალი სიმდიდრე წაიღეს. ერეკლე II დაედევნა ლეკებს და სამგორის მინდორზე მთლად გაანადგურა. გორს დაუბრუნდა გატაცებული ქონება და დატყვევებული მოსახლენი.

ერეკლე II განაგრძობდა მოლაპარაკებას ეკატერინე II-თან და თხოულობდა დახმარებას ჯარით და საჭურველით ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის მონარქიზმი ამ ხანად საქართველოს უცქეროდა მხოლოდ რთგორც პლაცდარმს თურქებთან ომის დროს.

1768 წ. დაიწყო ომი რუსეთსა და თურქეთს შორის. საქართველოში გაიგზავნა 4000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით.

ქართლში მოსული ტოტლებენი ისე მოქმედობდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. ადგილი ჰქონდა მის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვასა და მკვლელობას. ტოტლებენი ანგარიშს არ უწევდა ერეკლეს, როგორც საქართველოს მეფეს, და განიზრახა მისი ტახტიდან ჩამოგდება. მისი რაზმი ძალიან ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, რის შედეგად დაიწყო მასობრივი დეზერტირობა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ოფიცრები ლაპარაკობდნენ ტოტლებენის ჩამოყენების შესახებ.

უხეირო სარდალმა ტოტლებენმა საქმე გამცემლურად წაიყვანა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სოფ. ასპინძასთან მან მიატოვა ბრძოლის ასპარეზი და ქართველები მარტო დატოვა. მდგომარეობა გამოსწორდა მხოლოდ ქართველი ჯარის განსაკუთრებული გმირობითა და თვით ერეკლეს მამაცობით.

1769 წლის ზამთარში ტოტლებენის რაზმი გორში და ახლო მდებარე სოფელ ცხინვალში იყო დაბანაკებული. ტოტლებენი აქაც თვითნებობდა, ართმევდა სურსათს მოსახლეობას და სასტიკად სჯიდა მათ.

რუსეთის კართან ტოტლებენის შესახებ საჩივართა და დიდიხნის მიწერმოწერის შემდეგ პეტერბურგიდან საქმის გამოსარკვე-

ვად გამოგზავნილ იქნა კაპიტანი იაზიკოვი. მისი დასკვნის მიხედვით ტოტლებენი რუსეთში გაიწვიეს.

კაპიტანმა იაზიკოვმა შეადგინა ვრცელი „მოხსენება საქართველოს შესახებ“ (1770 წ.), რადგან მას ტოტლებენის კონფლიქტის მოგვარებასთან ერთად დავალებული ჰქონდა საქართველოს დაწვრილებით აღწერაც. „მოხსენებაში“ იაზიკოვი წერს: „ქალაქი გორი მდებარეობს მტკვარზე, თბილისიდან 80 ვერსის დაშორებით. შემოვლებული აქვს ქვის დაბალი და სუსტი კედელი. მთაზე ძველი ციხეა, სადაც მხოლოდ მცველები ცხოვრობენ. ამჯამად ქალაქში ცოტა მცხოვრებია, მაგრამ ნანგრევებზე ეტყობა, რომ მეტი იყო. რამდენიმე სახლი რიგიანია, უმეტესი მათგანი კი მიწურია“.

ერეკლე II, ზრუნავდა რა საქართველოს კეთილი მდგომარეობის შესახებ, ენერგიულ თანაშემწეებს ირჩევდა. ერთი ასეთი თანაშემწე იყო ევროპიელი, გვარად რეინეგსი. წარმოშობით იგი საქსონიიდან იყო, სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში და ემზადებოდა აღმოსავლეთში სამოგზაუროდ. იცოდა მედიცინა. იგი ფრიად სასარგებლო გამოდგა ერეკლესათვის მის მიერ დასახული რეფორმების გატარების დროს.

რეინეგსის მოღვაწეობა არ მოეწონა რუსეთის კარს, რომელიც საბოლოო ანგარიშში საქართველოს შემოერთებისათვის ემზადებოდა. 1783 წელს შესძლეს მისი რუსეთში „გატყუება“ და შეწყვიტეს მისი რეფორმატორული მოღვაწეობა საქართველოში.

რეინეგსი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და ქვეყანას კარგად იყო გაცნობილი. მის „ისტორიულ-ტოპოგრაფიულ აღწერაში კავკასიისა“ არის სტრიქონები გორის შესახებაც: „მთის ციხე, რომელიც ქალაქს იცავს, არის ნამდვილი სპარსული სიძველე. და ღირსია ნახვისა თავის კარგი მდებარეობის გამო. კარგად არის შენახული. გარნიზონი იცვლება 4 კვირაში ერთხელ. აქ დიდი სიმრავლეა პურისა და ხილისა. აგრეთვე მნიშვნელოვანია მესაქონლეობა და მეაბრეშუმეობა“.

გარნიზონის აღნიშნული ცვლა აიხსნება ერეკლეს მიერ შემოღებული სამხედრო სამსახურის სისტემით. ყოველი მოსახლე, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, მოვალე იყო წელიწადში ერთი თვე ჯარში ემსახურა. ამით უზრუნველყოფილი იყო მთელი მოსახლეობის სამხედრო სწავლება და მზადყოფნა ქვეყნის დასაცავად.

ერეკლე II მოლაპარაკება პროტექტორატის შესახებ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თან დაბოლოს გაფორმებულ იქნა ტრაქტატით, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1783 წელს. ტრაქტატის ერთ-

ერთი ძირითადი პირობა იყო საქართველოსადმი ჯარით დახმარება ირანისა და თურქეთისაგან დასაცავად.

რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ საქართველოს მშვიდი ცხოვრება უნდა მოეპოვა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. ტოტლებენისა და სხვა ასეთი მაგალითებიდან ჩანს, რომ რუსეთის მონარქიზმი, თუმცა უარზე არ იყო დახმარებოდა საქართველოს, სინამდვილეში ატარებდა ქვეყნის დაუძლურებისა და დასუსტების თანმიმდევრობით პოლიტიკას, საქართველოს შემდგომი კოლონიზაციის მიზნით.

ირანი ძალიან შეშფოთებული იყო ტრაქტატის დადების გამო. შიშობდა რა, რომ საბოლოოდ დაკარგავდა გავლენას საქართველოში, მოიკრიბა ძალები საქართველოზე მორიგი დაცემისა და დარბევისათვის. კარგახნის მზადების შემდეგ საქართველოზე დიდი ჯარით გამოილაშქრა ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა.

1795 წლის სექტემბერს მოადგა ირანის ჯარი თბილისს. ერეკლე თავგამოდებით იცავდა დედაქალაქს, მაგრამ მას უღალატეს თავადებმა. მისმა მემკვიდრე გიორგიმაც-კი არ გამოუგზავნა დამხმარე ჯარი. არ ჩანდა დახმარება რუსეთიდანაც. თბილისი დაეცა რამდენიმე დღის შემდეგ. ჯარის სიმცირის გამო, ბრძოლაში კარის თეატრის მსახიობებმაც-კი მიიღეს მონაწილეობა.

2 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შევიდა. ქალაქი დაარბია და დაწვა.

აღა-მაჰმად-ხანის ჯარები გორამდე მივიდნენ, ხოლო თვით ქალაქში არ შესულან. აღა-მაჰმად-ხანი შიშობდა, ერეკლემ ჯარები არ შეკრიბოს საპასუხო შეტევისათვისო და ამიტომ საქართველო დაჩქარებით დატოვა. წაიყვანა ათასობით ტყვეები და წაიღო მრავალი სიმდიდრე.

მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა დაგვიანებული დახმარება რუსეთიდან, 2000 კაცისაგან შემდგარი რაზმის სახით.

ირანის ეს უკანასკნელი შემოსევა საქართველოსათვის კატასტროფული გამოდგა. ქვეყანა, რომელსაც შიგნით ფეოდალური წინააღმდეგობანი ღრღნიდნენ, უძლური იყო გარეშე მტრისათვის საკმაო წინააღმდეგობა გაეწია.

ერეკლე II 1798 წელს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე უფროსი შვილი მეფე გიორგი XII, ავადმყოფი და უნებისყოფო ადამიანი. მეფე გიორგის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ მისი უმცროსი ძმები, რომელთაგან იულონი მეფის ტახტის დაკავებაზე პრეტენდენტობდა.

მეფე გიორგი XII სიკვდილის შემდეგ, არსებული წესის მიხე-

დვით, მემკვიდრეობა ეკუთვნოდა გიორგის უფროს ვაჟს დავითს, მაგრამ ერეკლე მეფის ცოლმა დარეჯანმა სიკვდილის წინ დააწერინა ერეკლეს ანდერძი, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის წესი იცვლებოდა და გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ იულონი უნდა ყოფილიყო. უკანასკნელმა ტახტის ძიების დასაყრდნობ პუნქტად აირჩია ქალაქი გორი და გორის სამოურავო.

იულონისა და მისი მომხრე ძმების ვახტანგისა და მირიანის მიერ გამოქვეყნებული იყო სპეციალური მოწოდება გორის მცხოვრებთადმი, ამ მემკვიდრეობის საკითხის გამო (20 დეკ. 1800 წ.). ამ მოწოდებაში ისინი წესიერად არ იხსენიებდნენ რა გარდაცვლილ შეფე გიორგის, არწმუნებდნენ მცხოვრებლებს მხარი დაეჭირათ იულონის კანდიდატურისათვის სამეფო ტახტზე: „ახლა ის ჟამი მოვიდა, — თქმული იყო მოწოდებაში — მეფის გიორგის შემდგომი ძმა ვინცა ვარ ამას წინად იმის დიდებულების რუსეთის იმპერატორსაც გამოუცხადეთ, აგრეთვე მესაზღვრე ვინც არის ისპეხტორი და აგრეთვე აქ მყოფთ იარანლებსაცა. ღვთის სიმართლით და მამის ჩვენის განაწესებით ამას გწერთ, როგორც მამის ჩვენის განწესებულს დამტკიცებულზედ ისე მტკიცედ უნდა დასდგეთ...

ჩვენ გარშემო ვიქნებით და იქ შემოგვეყარენით. ამაზე კიდეც გვევედრებით, კიდეც გირჩევთ და კიდეც გიბრძანებთ, რომ ეს ჩვენი სიტყვა გაიგონოთ, და თუ თქვენ ამას იქით ამ ჩვენს სიტყვას მამი ჩვენის განწესებისამებრ დაიჯერებთ, ჩვენც ამ სიკეთეს გიზამთ. სხვას სიყვარულს და წყალობას გარდა, თქვენი ცოლ-შვილის გულისათვის ჩვენ სისხლს დავაქცევთ და თუ არ დაიჯერებთ, ამოწყვეტა იქნება და ჩვენგან ამ საქმის დათმობა არ იქნება. ჩვენ უვალონი ვიქნებით და თქვენ წინაშე ღვთისა მოვალენი დარჩებით. როგორც თქვენ გწერთ, ასე მთლად ქართლსა და კახეთსა ვწერთ“.

მემკვიდრედ თბილისში გამოცხადებული ბატონიშვილი დავითი თავის მხრივ დიდ საქმიანობას ეწეოდა თავისი მდგომარეობის გასამტკიცებლად. გორის სამოურავოში თავის ძმა თეიმურაზი დანიშნა და უბრძანა თავად-აზნაურობა მის სასარგებლოდ დაეფიცებინა.

დავითი გორის სამოურავოში პოპულარობით არ სარგებლობდა და იულონმა შესძლო თავის მხარეზე ბევრი თავადი და აზნაური გადაეყვანა.

საქმემ სერიოზული მიმართულება მიიღო და ქიშპობაში უკვე რუსეთის მთავრობა ჩაერია. რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა მიმართული იყო ქართლის სამეფოს ლიკვიდაციისაკენ (დავითი მეფედ არ იქნა დამტკიცებული; ის ითვლებოდა, და ისიც ცოტა ხნით, საქარ-

თველოს მმართველად). მეფის ტახტის ყოველი პრეტენდენტი ხელის შემშლელი იყო რუსეთის ცარიზმის პოლიტიკისათვის.

იულონის შეთქმულების მოსასპობად გორში გაიგზავნა ორი როტა ჯარი, რუსეთის ჯარის იმ გარნიზონის დასახმარებლად, რომელიც უკვე იდგა გორში.

იულონს ძალა არ შესწევდა რუსეთის ჯარისათვის წინააღმდეგობა გაეწია და გაიქცა.

ამავე დროს გამოქვეყნებულ იქნა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი (თბილისში, 12 სექტემბერს, 1801 წ.) ამ მანიფესტის შინაარსის მიხედვით საქართველო მთლიანად უერთდებოდა რუსეთის იმპერიას. უკვე ლაპარაკი აღარ იყო პროტექტორატისა და დახმარების შესახებ.

ფაქტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა მაინც ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე მუდმივი საშიშროება შაჰის ირანისა და სულთანის თურქეთის მიერ ჩაყლაპვისა.

ამიერიდან ქართველი ხალხის ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა რუს და სხვა ხალხებს, რომლებიც რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ და ფეოდალურ-ბიუროკრატიული ჩაგვრის ქვეშ იყვნენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცხადია, ადმინისტრატიული აპარატი საქართველოში რუსეთის ყაიდაზე ეწყობოდა და არავითარი ანგარიში არ ეწეოდა ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებასა და სხვა პირობებს.

რუსეთის ემისარი, გენერალი ლაზარევი, პირველ დღეებშივე მოახსენებდა მთავარსარდალს საქართველოში, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს: „ვიმოგზაურე რა ქართლში, საჭიროდ დავინახე ქ. გორში, მისი დიდი მოცულობის გამო, დავაწესო პოლიციური წესრიგი. ქალაქი მე გავყე ორ ნაწილად, თითო ეს ნაწილი სამ კვარტალად და ქალაქის გარეთ კიდევ ერთი კვარტალი. პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩის წარმოდგენით, პოლიცმეისტერის თანამდებობა დავაკისრე აქაურ მამასახლისს ისაი ამირაღოვს და დავნიშნე, სიმონოვიჩის წარმოდგენისთანავე, კერძო და უბნის ბოქაულები. ყველას მათ დარიგება მივეცი და ვუბრძანე ჯამაგირი მიეცათ მათთვის, ისევე, როგორც თბილისის ჩინოვნიკებისათვის, ქალაქის საზრგადოებიდან. პოლკოვნიკ სიმონოვიჩს კი ვუბრძანე ადევნოს თვალყური როგორც პოლიცმეისტერს, ისე მთელს ქალაქსა და ციხეს“.

კოლეჟსკი სოვეტნიკი სტავროვსკი, რომელიც თბილისიდან გორში იყო მივლინებული, მოხსენებაში დაწვრილებით აღნიშნავდა დაწესებულებათა გახსნის ცერემონიალს გორში, რაც შედგა 1802 წლის 25 მაისს: „გორის სამაზრო დაწესებულებათა გახ-

ОПИСАНІЕ

ГРУЗИНСКАГО

ГОРОДА

ГОРІИ.

ВЪ САНКТПЕТЕРБУРГѢ,

въ типографіи Іос. Іоаннесова

1816 года.

• ა. თუმანოვის წიგნი „აღწერილობა ქართული ქალაქის გორისა“. გამოცემული ს.-პეტერბურგში 1816 წელს.

ისნის დღეს, — წერდა მეფის მოხელე, — მაისის 25-ს შუალამიდან ეკლესიებში შესრულებულ იქნა მწუხრი, დილის 7 საათზე კი მიცემულ იქნა ნიშანი ზარბაზნის სამი გასროლით, თითო გასროლა ნახევარი საათის შემდეგ. ცხრის ნახევარ საათზე დაიწყო რეკვა წირვისათვის და გაგრძელდა ცერემონიის მისვლამდე ეკლესიაში; მოხელენი, თავადები და აზნაურები რვა საათზე, უწყებების თანახმად, მოვიდნენ სამოქალაქო ექსპედიციის უფროსის ბინაზე. უფროსმა მათ განუმარტა დავალება, რომელიც მან მიიღო ბატონ საქართველოს მთავარსარდლისაგან და საქართველოს მმართველისაგან, გორში სამაზრო დაწესებულებათა უფლის დახმარებით გახსნის შესახებ მისი იმპ. უდიდესებ. მანიფესტისა, საქართველოს შესახებ შემადგენლობისა და დადგენილების თანახმად, ბრძანა აქვე წაკითხულ იქნას სია ყველა მოხელისა, რომლებიც განწესებულნი არიან თანამდებობაზე. ამის შემდეგ დაიწყო სვლა ეკლესიისაკენ შემდეგნაირი წესით"...

აღნიშნავდა რა სვლის წესს, კოლეჟსკი სოვეტნიკი სტავროვსკი წერდა, რომ თავში პოლიციის მსახურნი მიდიოდნენ „რომელთა მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინათ, რათა მსვლელობის დროს სიზუსტით ყოფილიყო დაცული სათნოება, სიჩუმე და წესრიგი". ეკლესიაში წირვა იქნა გადახდილი, მანიფესტის კითხვით, და შემდეგ სამღვდელოებამ „ნაკურთხი წყალი" ასხურა გასამართლებისა და დასჯის დაწესებულებებს.

გორის სამოურავოს გაუქმებისას უკანასკნელმა მოურავმა გიორგი ამილახორმა რუსეთის მთავრობისადმი დახმარებისათვის სტატსკი სოვეტნიკის ხარისხი მიიღო და შემდეგ არჩეულ იქნა ადგილობრივ თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

ამილახორნი ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ქართული ფეოდალიზმისა. მათი დამახასიათებელი იყო ცენტრალური მთავრობისადმი დაუმორჩილებლობა და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების გვერდის ახვევა. ისინი ყმა-გლეხების მკაცრ ექსპლოატაციას ეწეოდნენ და გორის მოქალაქეთაც სძარცვავდნენ.

V.

ცარიზმს ეშინოდა ერეულობებისა და არ იყო დარწმუნებული შაჰის ირანისა და სულთანის თურქეთის კეთილმეზობლურ განწყობილებაში. ამიტომ მან საქართველოში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები დააყენა. 1806 წელს რუსეთთან შეერთებულ აღმოსავლეთ საქართველოში დაბანაკებული იყო დაახლოებით 26 ათასი ჯარისკაცი.

საქართველოს მმართველად დანიშნული კოვალენსკი მიმართავდა რა „უპატიოსნეს სამღვდელოებას, საპატიო თავადებს, აზნაურებს, მოქალაქეებსა და მთელ ქართველ ხალხს“, 1802 წელს წერდა თავის განცხადებაში: „მოვალედ ვთვლი გაცნობოთ, რომ ყოველგვარი დაუშვებელი მოძახებანი, შეკრებანი, შეჯგუფებანი, თათბირები, წერილებისა და თხოვნების შედგენა საერთო ხელმოწერებითა და სხვა საწინააღმდეგო და მთავრობის მიერ ნებადაურთველი ამბები სასტიკად იკრძალება კანონის ძალით“.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და ჯარისათვის სურსათის დამზადებასთან დაკავშირებით მიღებული სასტიკი ზომები მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მოსახლეობიდან გადასახადებისა და ხარკის აკრეფის დროს ძალაუფლება და ბოროტმოქმედებანი ხდებოდა, რასაც ვერ ფარავდნენ თვით რუსეთის ჩინოვნიკებიც. თავის მოხსენებებში „ამიერ-კავკასიის მოქალაქეობრივი მმართველობის შესახებ“ ისინი შემდეგს სწერდნენ: „მუდმივი გარეშე ომები და ლეკების შემოსევანი, რომლებიც თბილისამდე აღწევდნენ; ჟამი და შაკი ჭირი, რომელსაც ათიათასობით მსხვერპლი მიჰქონდა; მიმოსვლის შეწყვეტა, მოუსავლობა და ვაჭრობის დაცემა; ყაზარმების უქონლობა და ჯარების ჩაყენება მოსახლეობაში, უხეში და გამანადგურებელი, როგორც მტრის შემოსევა; უსამართლოდ განაწილება საგზაო და გადასაზიდ საშუალებათა ბეგარისა, რასაც ზოგიერთი სოფელი სრულ განადგურებამდე მიჰყავდა; ქიშპობა და სიძულვილი მეფის სასახლისა, იქამდის მისული, რომ მარიამ დედოფალმა რუსეთში წაყვანის დაძალებისას საკუთარი ხელით მოჰკლა გენერალი ლაზარევი; უკმაყოფილება თავად-აზნაურთა დიდი

უმრავლესობისა, რომლებიც ჯერ ისევ ბატონიშვილებისაკენ იწევდნენ და დაჰკარგეს ძველი შემოსავლები და უპირატესობანი; ბოროტმოქმედებანი დიდ მოხელეთა, რომლებიც საქართველოში დიდ სიმდიდრეს იძენდნენ, და საყოველთაო ლოთობა პატარა მოხელეთა, რომელთაც გუდოვიჩი ამის გამო ყარაულის ქვეშ აყენებდა და დღისით საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა; და ყველა ამის შემდეგ საჩივრები, უკმაყოფილება, მღელვარებანი ერთ ადგილებში და აშკარა აჯანყებანი მეორეში, — აი პირობები, რომლებშიც უხდებოდათ საქართველოში უფლებრივი წესებისა და სამოქალაქო მმართველობის შემოღება ბატონიშვილს და მის უახლოეს მონაცვლეთ ფელდმარშალ გრაფ გუდოვიჩს, გენერალ ტორმასოვს, მარკიზ პაულუჩს და გენერალ რტიშჩევს“.

გლეხობის მღელვარება თითქმის მთელ საქართველოს მოედო.

გორის მაზრასთან მდებარე სამხრეთ-ოსეთის მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს რუსეთის მონარქიზმისადმი ფიცის დადებაზე. ოსები 1804 წელს აჯანყდნენ. ეს სახალხო აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი დამსჯელი ექსპედიციის მიერ. მოსახლეობიდან ამანათები იქნა წაყვანილი, რომელთა გორში ცხოვრების შესახებ დაცულია ტრაგიკული დოკუმენტი. ციციანოვის შეკითხვაზე ქ. გორის კომენდანტი რეიხი, აღწერს რა ტყვეთა მდგომარეობას (1805 წ.), მოახსენებს ციციანოვს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ოს ტყვეთა შორის გადამდები სნეულებანი არ არის, შიმშილისა და სიცივეს არ განიცდიან. რაც შეეხება მას, რომ დიდი რიცხვით კვდებიან ეს იმიტომ ხდება. რომ სხეულის არავითარი მოძრაობა არა აქვთ, გამუდმებულად ტირიან, ჯაკრისაგან ავადმყოფდებიან და ბოლოს კვდებიან. თქვენი ბრწყინვალების მოწერილობის დამატებით, საკვების გარდა მე მათ ჩემი საკუთარი ფულით ვუყიდე ქონი ორი ჩერვონეცისა და ხორცი 1 მ. 60 კ. ვერცხლით, რათა დავხმარებოდი კვებაში. მაგრამ ეს მათ არ შველით. ამიტომ ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, თქვენი კეთილსურვილი ხომ არ იქნება, რომ იმ საკვების გარდა, რომელნიც ოსებს ეძლევათ, მიეცეს მათ თითოს ხუთი კაპიკი სპილენძით. ამით შეუძლიათ მათ იყიდონ, რაც კი დასჭირდებათ“.

აჯანყებებს ოსეთში თავისი დიდი ისტორია აქვს და საესეა გმირული სურათებით პატარა ხალხის ბრძოლისა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ქართველ მეფეთა დროს ოსები თავადთა და აზნაურთა (ერისთავების, მაჩაბლების, ამილახორთა და სხვ.) ყმები იყვნენ. ერეკლე მეორემ განიზრახა საქართველოს საზღვარზე რუსეთის ყაზახების მინაგვარი სამხედრო ზონის შექმნა და ამ მიზნით მებატონეთ ჩამო-

ართვა ოსი ყმა-გლეხების ნაწილი და სახელმწიფო გლეხებად ჩარიცხა. ამ ღონისძიებით მათი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა.

რუსეთის ცარიზმის დამკვიდრების შემდეგ, 1803 წელს, აღდგენილ იქნა მებატონეთა ძველი ბატონყმური უფლებები.

რუსეთის ჯარის ხიშტებზე დანდობილი მემამულენი შეუდგნენ მძიმე გადასახადების აკრეფას ოსთაგან. გლეხობა იარაღით ხელში ხვდებოდა თავიანთ დამმონებელთ. ჯანყდებოდნენ აგრეთვე სხვა ეთნიელნიც.

მღელვარება განსაკუთრებით გაძლიერდა 1807 — 1810 წლებში.

1810 წელს ოსეთში გაგზავნილმა დამსჯელმა ექსპედიციამ დაწვა 20 სოფელი და ასობით ხალხი ამოწყვიტა. შემდეგ დაიწყეს უმორჩილო ოსთა ციმბირში გადასახლება. აგრეთვე მთელს სოფლებს ასახლებდნენ საქართველოს სხვა კუთხეებში.

მნიშვნელოვანი გამოსვლები იყო აგრეთვე ქართველი გლეხობისა მებატონეების (ერისთავები) წინააღმდეგ ქსნის ხეობაში 1809 წელს.

აჯანყებულ გლეხებს თავისი მოთავენი ჰყავდათ, როგორც, მაგალითად, პაპა ცხოვრებაშვილი, რომელიც შემდეგ ტყვედ ჩავარდა და დასჯილ იქნა.

ცარიზმი უსასტიკეს ზომებს ღებულობდა მღელვარების ჩასაქრობად.

მეფის ჯარების მთავარსარდალი საქართველოში გენერალი ტორომასოვი აშკარა ცინიზმით აძლევდა ამის შესახებ განკარგულებებს საქართველოს მმართველ გენერალ ახვერდოვს: „არ დაკარგოთ აგრეთვე დრო, შეგროვდით საკმაო ძალებით, რათა დაამარცხოთ, დაფანტოთ და სამაგალითოდ დასაჯოთ აჯანყებული ოსები... თანაბრადვე ნებას ვრთავ თქვენს განკარგულებას იმის შესახებ, რომ გამოძახებულ იქნას ორასი შეიარაღებული გუდამაყრელი და მთიელი ოსთა სოფლების დასანგრევად... მოიყვანეთ ეს სისრულეში აჯანყებულთა სრულ დაუზოგავად, ხალისით ოანახმა ვარ და მსურს, რომ თქვენ შეჰყაროთ ქართველებისა და მთიულების და ვინც კი იქნება მათგან ჯგუფი და ზარბაზნიანი ქვეითა ჯარის მიერ დაფარვით გაგზავნოთ აჯანყებულ ოსთა სოფლების დასანგრევად, სულ ერთია, რომელი მებატონისაც-კი იყოს. აქედან მიღებული ნადავლი მის საკუთრებად გადადის, ვინც მას იშოვნის. ნებას გაძლევთ ჩამოახრჩოთ ბატონიშვილის ლევანის ჯაშუშები და დაჭერილი და ტყვე აჯანყებულები, სხვათა შესაშინებლად, ცხინვალში და სადაც საჭიროდ დაინახავთ“.

მეფის გენერალი ცდილობდა მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორეზე აემხედრებინა, რისთვისაც, მაგალითად, ოსებთან საბრძოლველად აიარაღებდა გუდამაყრელებსა და მთიულებს, მაგრამ იგი ანგარიშში ტყუვდებოდა.

ჯალათ ტორმასოვის ახალი განკარგულებანი მთელს სოფლებს განადგურებას უქადდა... „მაშასადამე, ძალა და შიში, შიში და ძალა, სამართლიანობასთან ერთად — მხოლოდ ამათ შეუძლიანთ აქ წარმატებით იმოქმედონ. ლმობიერებასა და მოწყალებას კი აქაური ხალხი არა გრძნობს და არც ესმის იგი. სახელმწიფო სოფლები ცხინვალის ზემოდ, თუ არის იმედი, რომ მომავალში ერთგულნი და მშვიდნი იქნებიან, წინადადებას გაძლევთ სულ არ დაანგრიოთ, მაგრამ მთავარი მოთავენი აუცილებლად ხელთ იგდეთ; საბატონო კი ძირიან-ფესვიანად გაანადგურეთ...“ ტყვედ ჩავარდნილი ყაჩაღობაში განთქმული ოსი პაპა ცხოვრებაშვილი ნება გეძლევათ გაუსამართლებლივ ჩამოახრჩოთ ცხინვალში. მის ამხანაგებსაც ასე მოექეცით და ჩამოახრჩეთ იგინი ოსეთის სხვადასხვა მოსაზღვრე ადგილზე. ეს დამაჯერებელი მაგალითი იქნება აჯანყებულთათვის, ვაქებ თქვენს მოქმედებას, რომ თქვენ უბრძანეთ იმ სოფლების დანგრევა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ლევანთან და მას ხელს უწყობდნენ. კარგი არ ჰქენით, რომ სხვა სოფლები შეიწყალეთ იმ ანგარიშით, რომ ვითომდაც ეს მაგალითი საკმარისი იყო. პირიქით, ყველას თანაბარი მართლმსაჯულებით მოეპყარით და არ დაინდოთ აჯანყებულები. ეს მათ დაუმტკიცებს, რომ ვერავინ გადაურჩება სამართლიან სასჯელს გამცემლობის გამო და რომ ჩვენ მიკერძოება არავითარი გვაქვს. ვწუხვარ, რომ რაზმი, რომელიც თქვენ აჯანყებულთა შუაგულში გაგზავნეთ, მათი დაფანტვის შემდეგ მყისვე უკან გამოაბრუნეთ. მე ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა ორი ან ერთი კვირა მაინც იგი დაგეტოვებინათ აჯანყებულთა ადგილებზე და გებრძანებინათ შიშით მოეცვათ და დაერბიათ დამნაშავენი და დახმარებოდნენ მორჩილთ. თუ პირობები საშუალებას იძლევიან, რომ ეს რაზმი გამოჰყოთ, გაგზავნეთ იგი ხელახლა ოსების დასასჯელად და რუსეთის ჯარის სავნებლად მათი შეკრების ხელის შესაშლელად, ვინც იქნენ გაფანტულნი“...

მეფის მთავრობამ თავის დამსჯელ ექსპედიციებს გორში მოუყარა თავი და გორი აჯანყებულ გლეხთა დასჯის ადგილად მიიჩნია.

ქალაქი დიდი შიშის ქვეშ ცხოვრობდა, მით უმეტეს, რომ 1811 წელს საქართველოში შავი ჭირი გაჩნდა.

გორის მაზრის მოუსავლობა კიდევ უფრო ართულებდა მოსახლეობის უნუგეშო მდგომარეობას.

1812-1813 წლებში, არსებული რეჟიმით უკმაყოფილებისა და მეფის მოხელეთა თავაშვებულობის გამო, დიდმა აჯანყებამ იფეთქა კახეთში. აჯანყებულებმა ამოჟლიტეს რუსეთის ჯარის გარნიზონები, გაანადგურეს სახელმწიფო დაწესებულებანი, აპირებდნენ თბილისზე შემოტევას, გაჩდნენ რა ქალაქიდან 12 ვერსის დაშორებით.

აჯანყებამ გამოძახილი გორის მაზრაშიც ჰპოვა. მთავრობის მოხსენებაში წერდნენ:... „მაზრაში თუმცა ხალხში არავითარი მღელვარება არ არის შემჩნეული, მაგრამ კახეთში მომხდარი ამბების გამო სიხარულს ვერ ფარავდნენ“... მიღებულ იქნა სასტიკი ზომები. გააძლიერეს გუშაგები, გაამაგრეს სტრატეგიული პუნქტები და ამრიგად აირიდეს გორის მაზრის გლეხობის გამოსვლები.

საქართველოს მთავარსარდალი მარკიზი პაულუჩი აღიარებდა, რომ კახეთის აჯანყება დიდი სიმკაცრით იყო ჩაქრობილი. ამ აჯანყებას იგი რევოლუციას უწოდებდა.

კახეთის გლეხთა აჯანყება, როგორც გლეხთა სხვა აჯანყებანი საქართველოში, სტიქიური ხასიათისა იყო. ამ აჯანყებებს ორგანიზებული ავანგარდი არ ხელმძღვანელობდა და ამიტომ მუდამ მარცხით თავდებოდა.

VI

დაცულია ლიტერატურული შრომები, რომლებიც აგვიწერენ ქალაქ გორს XIX საუკუნეში. 1816 წელს პეტერბურგში გამოვიდა წიგნი, რუსულად დაწერილი გოელ ავთანდილ თუმანოვის მიერ. ავტორი პეტერბურგში ცხოვრობდა ბატონიშვილ დავითთან ერთად (მეფე გიორგის XII-ის შვილი) და მისი მდივანი იყო. თუმანიშვილის გვარი დიდად ცნობილი იყო საქართველოში. ავთანდილის ძმა მიხეილ თუმანიშვილი, გარდაცვლილი 1875 წელს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ავთანდილ თუმანოვის წიგნს ეწოდება „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა“. იგი დაწერილია ბუკოლიკის სტილით, რომელიც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებთათვის. (წიგნი რუსულიდან თარგმნილია ი. ზურაბიშვილის მიერ). „ქალაქი ეს, — წერს ავთანდილ თუმანოვი, — ძევს ძირსა მაღალ მთისასა, მორთულსა ბუნებისაგან სასწაულებრივი ნაირსახეობითა, რაც მშვენებითა თავისითა აღიტაცებს გულსაც და გონებასაც. სასურველია რათა ყალამმა ახალის რაფაელისამან გამოხატოს ესე სამოთხისებრი ადგილმდებარეობა“.

ავტორი აქებს ქალაქის მიდამოების ბუნების სიმდიდრეს: „არსად ქართლში ესოდენ თეთრი და ნოყიერი პური არ მოდის, ლიახვის ნაპირების სოფელთა გარდა, როგორც ადგილსა ამასა. აქ ღვინო მოდის უფრო უხვად, ვიდრე ქალაქის მიდამოების სხვა ადგილებში; იგი ფერით, სუნით, გემოთ და სიმაგრით არამც თუ კახურ ღვინოს არ ჩამოუვარდება, არამედ აღემატება კიდეც მას, ვინაიდან კახური ღვინით დამთვრალი ოდნავ თავის ტკივილსა გრძნობს, გარნა ამ ღვინოს-კი, პირიქით, გარდა სიმხიარულისა და ჯანსაღობისა სხვა არა მოაქვს რა, და ამავე მიზეზის გამო იგი ღირსია მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა...

არ ვიზრახავ აქ ცალცალკე ვთქვა რამ თვითეულ ხილსა და მიწის ყოველსა აღმონაცენზე, რასაც ცხოვრებისათვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს; აგრეთვე ზედმეტი იქნებოდა გავიხსენოთ ყველა

აქ მოტანილი საქონელი და სხვადასხვაგვარი პროდუქტი, რაც ხანგრძლივ აღწერილობას მოითხოვს.

ამა მხარის კეთილმყოფელმა ბუნებამ, ადამიანის უფრო მეტის განცხრომით არსებობისათვის დაურთო ქალაქის თვალწარმტაც სიტურფეს წყარო აღმატებული სიუხვისა ყველაფერში; ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მას გარშემო არტყია უამრავი ვენახი და ბაღი, სადაც მრავლადაა თითქმის ყოველგვარი ხილი, ტკბილი და საამო, კეთილსურნელოვანი და მიმზიდველი ყვავილები, მთლად სავსენი ლამაზ ფრინველთა აღტყინებული და ჰარმონიულად შეხმატკბილებული გალობით".

ავთანდილ თუმანოვი დაწვრილებით აღწერს გორის ციხეს, თუმცა-ღა აზვიადებს მის დაცვითს საშუალებებს: „ამა ვაკისა შუაგულ, მაღალ ბორცვზე აგებულია ციხე დიდრონ-დიდრონი ლოდითა. ციხე მიიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთით; მისი ზღუდენი მტკიცეა და მაღალი, გამაგრებული მრავალი ბურჯით, სიმაღლით 50 და სიგრძით 8 ფუტი; ზღუდენი აღმართული არიან მთლად თავიანთ ფუძეზე (ბორცვზე); სხვა საშუალება არ არის მასში შესვლისა, თუ არა მხოლოდ ვიწრო და გრეხილოვანი კიბე, რომელიც გარე ზღუდეებთან იწყება და, მიდის რა სულ მაღლა-მაღლა, თავდება ციხის შესავალთან, სადაც ვით ამ კიბისა, ისე შესავლის დასაცავად აღმართულია ბურჯები, რომლებზედაც მრავალი მოსაგერიებელი ქვემეხია... ამ ციხეში დიდრონ-დიდრონი ბურღი 35-ია, საცხოვრებელი სახლი — 410; ციხეში შეიძლება მოთავსდეს 50.000 მეომარი, სრულიად უჭირვებლად".

თუმანოვის წიგნი გვაძლევს ზოგიერთ ცნობას ქალაქის ისტორიის შესახებ: „ჩვენი ისტორიკოსები ძალიან ნანობენ, რომ არავინაცის ამა ქალაქის თავდაპირველად აშენება, გარნა იმაზე ყველა თანახმაა, რომ საბერძნეთის იმპერატორმა ირაკლიმ, სპარსეთის წინააღმდეგ რომ ომი განიზრახა და წინასწარ იგი ჩვენს ივერიაში მოვიდა, სცნო ეს ადგილი უმაგრეს ადგილად სხვებთან შედარებით, რისთვისაც უწოდა მას ოქროს მთა. აშენა ქალაქი და ციხე და აქცია იგი საომარ საჭურველთა საცავად; მან დააპირა მეორედ გალაშქრება იქითკენ, მაგრამ, იგულისყურა-რა ზოგი რამ მარცხი, იძულებულად სცნო თავისი თავი უკან დაუხია და შაშინ, გაამაგრა რა ქალაქი ესე წინანდელზე უკეთესად, დაკრძალა აქ ყველასათვის უცნობ ადგილას განძეულობანი. ქალაქი ესე, თუმცა ძალით მისი დაპყრობა შეუძლებელი იყო, დროთაგან მისი დაარსებისა, ქედს იხრიდა სხვადასხვა გარემოებათა წინაშე, რომელთაც გადააქციეს იგი სარბიელად და დავლად ბარბაროსებისა. იგი განუწყვეტლივ

ხელიდან ხელში გადადიოდა სპშინელ უბედურებათ; ერთნი სძარ-
ცვავდნენ, მეორენი აქცევდნენ, ხოლო ისინი, ვისაც უნდოდა დაე-
ტოვებინა შთამოებათათვის სახელი და დიდება — ამაგრებდნენ მას,
ანახლებდნენ, აღადგენდნენ და ამკვიდრებდნენ მას შინა მშვიდობას
და მყუდროებას. გარდა ამ ჟამთა სიავეთა შიგან მცხოვრებნი სრუ-
ლიადაც არ იცვლიდნენ თავიანთი ზნეთა, ჩვეულებათა და სხვა
მისთანათა, რაც ზნეობრივ ხასიათს მათსა შეადგენდა".

ქალაქის ქუჩებისა და სახლების აღწერაც თუმანოვის წიგნში თა-
ვისუფალი არ არის გადამეტებისაგან. გადამეტებულად არის მოხ-
სენებული აგრეთვე მცხოვრებთა რიცხვიც — 5.000 სული. იმ დროს
გორის მცხოვრებთა რიცხვი 1.500 სულს არ აღემატებოდა. მცხოვ-
რებლებს თუმანოვი მეტისმეტად აქებს: „ისინი ცხოვრობდნენ ურთი-
ერთთან თანხმობით და ერთსულოვნად, არიან შრომისმოყვარენი,
სწრაფი და მოხერხებულნი; ტყუილსა და გაუტანლობას მეტისმე-
ტად გაურბიან; არიან შემწყნარებელნი — თვითნიერ ფლიდობისა,
ბედნიერნი — თვინიერ ქედმაღლობისა, უბედურნი — თვინიერ
სასოწარკვეთილებისა; საზოგადოებაში თავაზიანნი, მეგობართმოყვა-
რულნი, მხიარულნი; ბრძოლის ველზე გულადნი, შემმართებელნი
და შმაგნი; დაბოლოს გაბედულნი და უშიშარნი, სიტყვამოსწრებუ-
ლნი და ენათმეტყველნი: გარნა ერთი რამ შეიძლება ჩაეთვალოთ
მანკიერებად — ბევრი ლაპარაკი უყვართ, თუმცა ამ შემთხვევაში
უგუნურს არას იტყვიან; სახეზე ოდნავ ამპარტავნობის იერი სდევთ;
ტანით დიდნი და მკვრივნი, სანახაობით დარბაისელნი და ახოვანნი;
იცმენ ქართული ჩვეულების წესზე, თანაც სუფთად და საკადრი-
სად; დღესასწაულებს იხდიან საერთო პარაკლისით და მსხვერპლთ
შეწირვით; თავაწყვეტილთ ქალაქში არ იღებენ იმის შიშით, რომ
იქაურ მოზარდთა ზნეობას არა ევნოს რა, ბავშვებს ფრიად სასტი-
კად უფრთხილდებიან. ხოლო ვინიცობაა ამისთანა ვინმე ფარულად
შეიპარა ქალაქში, ჯერ სთხოვენ მას გავიდეს ქალაქიდან, გარნა
უკეთუ იგი არ დაემორჩილათ, ერთხმად გააგდებენ; პირიქით, ზნეკე-
თილ სტუმარს არამცთუ იღებენ, არამედ ერთმანეთში დაობენ კი-
დეც იმის გამო, თუ ვის სახლში მოისურვებდა იგი გაჩერებას და
ყველაფერს უფულოდ უთმობენ".

ავთანდილი წერს მოსახლეობის გასართობთა შესახებ: „მათში
დღემდეც არსებობს ოლიმპურ თამაშობათა მაგვარი რამ. ასეთია:
ჭიდაობა, როკვა, კრივი და ჯოხებით ბრძოლა. ამ უკანასკნელ თა-
მაშობას ასე აწყობენ: შეიყრებიან ქალაქგარეთ სააუგოზე; გაიყოფი-
ან ორ ნაწილად; ხმლის ყაიდაზე გაკეთებული ჯოხებით ხელში ერ-
თმანეთს მიეტევიან გამძვინვარებით და დიდი ხმაურობით; მათში

მეშურდულენიც ურევიან ხოლმე; დამხდურთა მხარე ცდილობს თავის ადგილზე გამაგრდეს, ფეხი არ მოიცვალოს, ხოლო მიმხდომნი მედგრად ებრძვიან დასაძლევად; ბრძოლა რამდენსამე საათს გასტანს ხოლმე; ბევრნი დაჭრილნი ეცემიან მიწაზე, ბოლოს სიმამაცე და ღონე იმარჯვებს".

შემდეგ თუმანოვს მოჰყავს ბიოგრაფია ცნობილი ქართველი პოეტის სტეფანე ფერშანგიშვილისა, რომელიც წარმოშობით გორელი იყო: „მე თუ ვლაპარაკობდი ქალაქზე, მის ადგილმდებარეობაზე, სილამაზეზე, ნაყოფიერებაზე და მცხოვრებლებზე, რატომ არ შეიძლება ითქვას ცოტა რამ ისეთ კაცზე, რომელიც თავის მოქალაქეთა შორის გამხდარა საგანი განცვიფრებისა, სიყვარულისა და პატივისცემისა და რომელიც სადიდებელია არა მარტო ამით, არამედ სათნოებათა თავისითა ღირსია შთამომავლობის ხსოვნისა, ვინაიდან სულიერმა თვისებებმა მისმა აღიყვანეს იგი ამ ზნეობრივ ღირსებამდე. გორელი მოქალაქე სტეფანე ფერშანგიშვილი დაიბადა 1773 წელს; ჭაბუკობის წლებიდანვე იგი მიეცა მოშაირობას; თითქმის მუდამ კითხულობდა ძველთაძველ და ახალ ქართველ მოშაირეთ, როგორნიც არიან რუსთაველი, ჩახრუხაძე, ბესარიონი, საქართველოს ბატონიშვილი დავითი და სხვანი, და სწავლობდა მჭერმეტყველობის წესებს; ჯერ პატარ-პატარ ლექსებს სთხზავდა და უკითხავდა თავის ამხანაგებს, ხოლო შემდეგ, დაინახა რა მან ნაყოფნი თვისის ვარჯიშობისანი, ხელი მიჰყო მალე რომანებისა, პოემებისა, დრამებისა, ელეგიებისა და სხვ. თხზვასაც. ლექსნი მისნი შეიცავენ მრავალ ზნეთა სწავლულობის წესებს, გვიჩვენებენ სიმაღლესა წარმოსახვისა. აღტაცებას სულისა და სიმახვილესა მისი გონებისასა. უბრალოება, სიცხადე, აღტყინება და კარგი გუნება მისი ლექსების წილხვედრია; მის მიერ წარმოდგენილი საგანი გამოხატულია ცოცხალი, ნამდვილი და მართალი ფერადებით; ლექსნი მისნი სამაგალითო ქმნილებებია ბევრთა მის თანამედროვეთათვის, წინათ რომ ცდილობდნენ მეტოქენი ყოფილიყვნენ მისი ვარჯიშობაში"...

თუმანოვი მოგვითხრობს ქალაქში სხვადასხვა ხელოსნობის შესახებ, მათ შორის ოქრომჭედლობისა და ქსოვისა.

ვაჭრობის შესახებ მოკლედ არის ნათქვამი: „ამა ქალაქის მცხოვრებნი აერცელებენ თავიანთ ვაჭრობას რუსეთსა, თურქეთსა და სპარსეთში და, მაშასადამე, აქ უხვად არის საქონელი, ამა მშვენიერი ქვეყნებიდან შემოზიდული".

თუმანოვიც ამთავრებს რა წიგნს, წერს: „აჰა დასასრული ამა მოკლე აღწერილობისა მშვენიერი ქვეყნისა, დასახლებულისა ისეთი მცხოვრებლებით, რომელნიც ოდესღაც ჰგმირავდნენ თურქებს, ფარ-

სებსა და ლეკებს; ერთთ, ვითა დაძაყოოიელთ უკვე დროთა გახძავ-ლობაში განდევნიდნენ ქალაქიდან, ხოლო სხვათ არ უშვებდნენ მის სიახლოეს; გარნა მესამეთ თავს ესხმოდნენ და იბრუნებდნენ თავი-ანთ ტყვეთ და ნივთთ, ყაჩაღურად მათგან გატაცებულთ; მცხოვრე-ბნი ესე, რომელთაც საქართველოს მეფენი საკადრისად აფასებდნენ და განუჩენდნენ განსაკუთრებულ პრივილეგიას, რაც ბატონიშვი-ლის დავითის რეგენტობისას უფრო და უფრო გაცხოველდა, ესო-დენ იყვნენ შერაცხული უპირასტესობით, რომ როდესაც მოხდებო-და რაიმე ამბავი და საჭირო იყო ელჩობა საქართველოს სამეფო კარისაგან თურქეთის ან სპარსეთის კარის წინაშე, გზავნიდნენ გო-რელ მოქალაქეთ; ეჭვი არ არის, რომ მათ ესე დაიმსახურეს თავი-ანთი ყოფაქცევით, განათლებით, ზნეობით, საქმეში გამოცდილები-თა და ენამჭევრობით".

ავთანდილ თუმანოვის წიგნი მთლიანად უტყუარად საინტერე-სოა. ეს არის პირველი ცდა ქართული ქალაქის შედარებით დას-რულებული აღწერისა.

მართალია ავთანდილ თუმანოვის მითითება, რომ გორის მცხოვ-რებნი წარსულში სახელმწიფო მოღვაწეებად ხდებოდნენ. გორელი ფეშანგი ხითარიშვილი, ავტორი პოეტური ნაწარმოების „შაჰნა-ვაზიანისა" (XVII საუკ.), ქართლის მეფეთა თეიმურაზ I-ისა და როსტომ I-ის მდივანი — დიპლომატი იყო. შემდეგ იმერეთში გადა-ვიდა მეფე ალექსანდრესთან და მისი სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა იმერეთში მოსულ რუსეთის მეფის წარმომადგენლებ-თან, სტოლნიკ ტოლოჩანოვთან და დიაკ იევლევთან. შემდეგ ფე-შანგი ქართლის მეფე შახნავაზის მდივნად იყო.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში გორის შესახებ ლიტერატუ-რა შეივსო ევროპიელ მოგზაურის კლაპროტის წიგნით „მოგზაუ-რობა მთის კავკასიასა და საქართველოში".

„თბილისის შემდეგ — წერდა კლაპროტი, — გორი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია საქართველოში. მასში 300-მდე სახლია, რომელთაც შემოვლებული აქვთ მრგვალი კედელი".

აი რას წერს კლაპროტი თვით ქალაქის შესახებ: „სახლები სა-ერთოდ მიწურებია, როგორც თბილისში; შედგებიან იგინი 10 ან 15 ფუტის სიმაღლის 4 კედლისაგან; შენობის შუაში აღმართულია კონუსისებური ბუხარი პროპორციული სისქისა. აქვს რგვალი ნახვ-რეტი 3 ფუტის სიგანისა კომლის გასასვლელად და სინათლისა-თვის. კერა მოთავსებულია მიწაზე, ნახვრეტის დაბლა. ზოგიერთი სახლი-კი განირჩევა ამ საერთო კონსტრუქციისაგან და ევროპიული სტილზეა აგებული, აქვთ გრძელი ოთახები, კედლები კირითაა შე-

ლესილი, არის ბუხარი, კარი, ფანჯარა, მინის მაგივრად ფანჯარაში ქაღალდია გაკრული. ღამე ფანჯრები დარაბებით იხურება. სახურავი გადმოწეულია ფანჯრებსა და კარებებზე და იცავს წვიმისა და ქარისაგან, მაგრამ ამავ დროს ჩრდილავს მათ. თვით სახურავები სწორეა, თიხით დაფარული, რომელზედაც ბალახია ამოსული".

მოგზაური კლაპროტი განსაკუთრებით დააინტერესა ქალაქის სავაჭრო ცხოვრებამ: „6 მაისს დილას, — წერს იგი, — გამოველი ბაზრის დასათვალიერებლად, რომელიც ასეული დუქნისაგან შედგება. დუქნები დიდია, მაგრამ მათში საქონელი ისე ცოტაა, რომ ყოველ ვაჭარს თავისი საქონელი შეუძლია ზურგით წაიღოს. ბაზარზე იყო აბრეშუმისა და ქაღალდის საქონელი დაბალი ხარისხისა და აღმოსავლური ფეხსაცმელი. ბეწვეულობათაგან იყო ციყვის ტყავი და ცუდი ხარისხის მელის ტყავი.

დუქნების უმეტესობა სურსათის სავაჭროა. აქ იყო: თევზი, ხიზილალა, ყველი, ხახვი, თაფლი, მარილი, წაბლი, კაკალი, ვაშლი, მსხალი, კომში, ლეღვი, ყურძენი. აგრეთვე შეიძლებოდა გეშოვა შაბიაბანი, შაბი, სინგური, თეთრა, საპონი და რევანდი. ხალი ძალიან ცუდი იყო. ყავა, რომელიც თურქეთიდან იყო მოტანილი, საუკეთესო იყო.

ქალაქს აქვს ქაღალდის ქსოვილების რამდენიმე ფაბრიკა... ქალაქის მცხოვრებლები ქართველები და სომხებია. ისინი მოვაჭრენი არიან და ნაკლებად დაინტერესებული არიან პურეულის კულტურითა და ღვინის წარმოებით. ქალაქის დიდი ნაწილი თავად ამილახორებს ეკუთვნოდა".

ქალაქ გორის ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა, როდესაც ამიერ-კავკასიაში XIX საუკუნის ოცეულ წლებში შემოღებულ იქნა შეღავათიანი ტრანზიტი.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ აღდგენილ იქნა უძველესი საქარავნო გზა ევროპასა და აზიას შუა, მდინარე რიონისა და მტკვრის ხეობით მიმავალი.

ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობას უმთავრესად ინგლისის ვაჭრები აწარმოებდნენ საზღვაო გზით. საფრანგეთის კაპიტალი აგრეთვე ეძებდა ბაზრებს აზიაში და ხელსაყრელ სატრანზიტო გზად მიიჩნია გზა რუსეთით, კერძოდ ამიერ-კავკასიასა და საქართველოზე. რუსეთის მთავრობაც დაინტერესებული იყო აზიასთან სავაჭრო კავშირით. პირველ ხანებში გადაწყდა ამიერ-კავკასიის გზით ევროპის საქონლის გაშვება, რათა შემდეგ უკვე გაკაფული გზით მოეპოვა ბაზარი რუსეთის საქონელსაც. ამ მიზნით იყო შემოღებული ეგრეთწოდებული შეღავათიანი ტრანზიტი ამიერ-კავკასიაში.



გორი. ეშხატვ. ჩერნეცოვის სურათიდან (XIX საუკ. 30-იანი წლ.).

1821 წელს გამოცემულ იქნა კანონი, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასიაში მფარველობითი ბაჟის ნაცვლად დაწესდა შეღავათიანი საბაჟო გადასახადი (5% საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის საფასურისა).

ათი წლის განმავლობაში შეღავათიანმა ტრანზიტმა საქართველოში ვაჭრობა საგრძნობლად გამოაცოცხლა. საქონელი დიდი რაოდენობით მოდიოდა ევროპიდან აზიაში და პირუკუ. ვაჭრობაში ადგილობრივი მოვაჭრენიც ჩაებნენ. თბილისში დიდი ქარვასლები აშენდა. სავაჭრო გზა შემდეგი იყო: ოდესა, ყულევი, მარანა, ქუთაისი, სურამი, გორი, თბილისი, ბაქო. საქონელი გადაჰქონდათ: ნავებით, ურმებით, აქლემებით და ცხენებით.

ამ შეღავათიანმა ტრანზიტმა რუსეთის კაპიტალს დიდი სარგებლობა ვერ მოუტანა. რუსეთის ვაჭრები შეეცადნენ საზღვარგარეთის საქონლის საერთო დენში რუსული საქონელიც შეერიათ, მაგრამ ვინაიდან უკანასკნელი ღირსებით მდარე იყო და თანაც ძვირი, ამიტომ აზიაში საკმაოდ ვერ გავრცელდა.

შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმების შემდეგ საქართველოში ვაჭრობა შენელდა. ვაჭრები გაკოტრდნენ. ბევრმა მათგანმა თავისი კაპიტალი თურქეთსა და ირანში გადაიტანა. ვაჭრობა გორშიც შენელდა.

გარდა ამისა, გრძელდებოდა უწესრიგობანი ადმინისტრატიულ მმართველობაში. იზრდებოდა ბოროტმოქმედებანი, განსაკუთრებით მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფისა და ჯარისათვის სურსათის ჩაბარებისას. დაუსრულებელი იყო ექსპედიციები გლეხთა გამოსვლების ჩასაქრობად. მუდამ მღელვარებაში იყო ოსეთი. სხვათა შორის, ოსეთის დასამშვიდებლად მოწყობილ იქნა „ოსეთის სასულიერო კომისია". „სულის საცხონებელი" ბაასით უნდა დაემორჩილებინათ ხუცებს თავისუფლების მოყვარული ხალხი. სამღვდელოების მოღვაწეობა არ იყო ნაყოფიერი, რაც ნათლად ჩანს ქვემომოყვანილი ფაქტიდან.

თავად მაჩაბლის მრავალი საჩივრის შემდეგ, ოსების მიერ პირუტყვთა გატაცებისა და გადასახადების გაღებაზე უარის თქმის გამო, ნაბრძანებ იქნა „იარაღით დასჯილ იქნან ახლად მონათლული ოსები".

რაზმი რუსეთის ჯარისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის მოხალისეთა გაემგზავრა ლაშქრად ჰატარა ლიახვის ხეობაში, სადაც ოსები ბინადრობდნენ, 1821 წლის თებერვალში. „...რაზმმა, ადგილობრივი სამღვდელოების გადმოცემით, წაართვა მოსახლეობას პირუტყვი და ქონება, დასწვა 6 სოფელი და დანარჩენი 20 სრუ-

ლებით დაანგრია. ამავ დროს ჯარისკაცები აუპატიურებდნენ ოსის ქალებს და თვით რაზმის უფროსმა ერთ-ერთი თავისი საყვარელი მზარეულს მისცა. ამ დარბევის შემდეგ, რომელმაც მიტროპოლიტ თეოფილაქტეს მკაცრი პროტესტი გამოიწვია, გაბოროტებულმა ოსებმა გარეკეს მღვდლები. რაზმის უფროსი უარყოფდა ამ ცნობებს. ამბობდა, რომ მან წაართვა ოსებს არა უმეტეს 1.000 სული პირუტყვისა, 135 ლიტრა პური, დასწვა 15 სოფელში მხოლოდ 27 სახლი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ამ ექსპედიციამ ჩვენი გავლენა არ გააძლიერა ოსეთში. როდესაც საჭირო გახდა ადგილობრივ გამოძიება რაზმის მოქმედებისა, ველიამინოვი იძულებული იყო აღიარებინა, რომ ეს შეუძლებელია. გაგზავნილ მოხელეს ტყვედ წაიყვანდნენ და მიჰყიდდნენ მათ, ვინც ხალხით ვაჭრობს".

მეფის კოლონიზატორები ცეცხლითა და მახვილით უსწორებდნენ ანგარიშს ყოველ პროტესტს მათ მიერ დამყარებული სასტიკი რეჟიმისა და ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების დახშობის წინააღმდეგ.

ცარიზმი ახშობდა ყოველ მისწრაფებას კულტურისა და განათლებისადმი. თუ რამდენიმე სკოლა გახსნა, ისიც საკუთარ მოხელეთა და სასულიერო პირთა კადრების აღსაზრდელად.

განსაკუთრებით მწვავედ საჭირო იყო სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებანი. ხოლერის, შავიჭირის, ციებცხელების ხშირი ეპიდემიები ანადგურებდა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ რუსეთის ჯარსაც. კავკასიის მთავარსარდალის გენერალ ერმოლოვის სიტყვით, „ჯარში სიკვდილიანობა არაჩვეულებრივი იყო". ამიტომ იყო, რომ ჯარისკაცთა შორის რუსეთის ახალ კოლონიას „დამღუპველი კავკასია" ეწოდებოდა. იზრდებოდა დეზერტირობა სამხედრო ნაწილებიდან. ამ დეზერტირებს ყოველ მხრივ დახმარებას უწევდა ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა.

1828 წელს გორის მაზრაში შავი ჭირი გაჩნდა. ავადმყოფობა შემოიტანა თურქეთის ფრონტიდან ხერსონის გრენადერთა პოლკმა, რომელიც გორში იყო დაბანაკებული. ორი წლის შემდეგ გორში ხოლერა გაჩნდა, რომელიც ამავე თურქეთის ფრონტიდან იყო შემოტანილი. ეპიდემიები მძვინვარებდა, მაგრამ რა დახმარების გაწევა შეიძლებოდა მოსახლეობისადმი, როდესაც მთელს ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ერთი აფთიაქი იყო, თბილისში. აქედან წამალს დაღისტანშიც კი აგზავნიდნენ. მხოლოდ 1830 წელს გაიხსნა აფთიაქები საქართველოს ზოგიერთ პუნქტში. აფთიაქი გორშიც გაიხსნა „წლიური პროპორციით მედიკამენტებისა, მასალებისა და მარაგისა 50 კაცზე".

მეფის რუსეთის ფინანსთა სამინისტრო ამიერ-კავკასიას უყურებდა როგორც კოლონიას, რომელსაც შეეძლო რუსეთისათვის დიდი სარგებლობა მოეტანა, თუ მისი სიმდიდრენი სათანადოდ იქნებოდა გამოყენებული. საქმის ვითარების გამოსარკვევად სამინისტრომ 1828 წელს ამიერ-კავკასიაში მოხელეთა ჯგუფი მოავლინა ამიერ-კავკასიის დასათვალიერებლად და დაწვრილებით ასაწერად. მუშაობა რამდენიმე წელს გაგრძელდა და ამ მუშაობის შედეგები პეტერბურგში გამოიცა 1836 წელს შემდეგი საერთო სათაურით: „მიმოხილვა რუსეთის სამფლობელოთა კავკასიის იქით, სტატისტიკურ, ტოპოგრაფიულ და ფინანსიურის მხრივ, წარმოებული და გამოცემული უმაღლესი ნებართვით“.

„გორის ციხე, — ნათქვამია „მიმოხილვაში,“ — მიუხედავად იმისა, რომ სივიწროვის გამო დიდ გარნიზონს ვერ დაიტევს, ქართლისათვის მუდამ მნიშვნელოვანი იყო. პირველად ყოვლის მნიშვნელოვანი იყო თავისი მიუვალობით და, რაც უმთავრესია, თავისი სტრატეგიული მდგომარეობით, რადგან მდებარეობს გზაზე, რომელიც აკავშირებს თბილისს იმერეთთან და ახალციხესთან. გარდა ამისა, ციხე გზას უღობავდა ლეკებს ჯავახეთის მხრივ ხეობებიდან შემოსევისას. საჭიროა მაინც აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბალღური მდგომარეობა სამხედრო ოსტატობისა აზიაში და არტილერიის ნაკლებობა უქმნიდა ამ ციხეს დიდმნიშვნელობის სახელს“.

შემდეგ აღწერილია ქალაქი: „სახლების არქიტექტურა ძალზე უბრალოა და არაფრით არ განირჩევა იქაური ქალაქებისაგან. მხოლოდ უკანასკნელად აქ გამოჩნდა ევროპიული არქიტექტურის რამდენიმე სახლი, ორსართულიანი, შიგნით ხელსაყრელი განაწილებით. საერთოდ გორი ამჟამად იმავ მოვლენას გვიჩვენებს, როგორც თბილისი. რუსებისაგან გადმოღებული საუკეთესო გემოვნება და ცხოვრების კარგი პირობების შეგნება აძლევს აზიატიზმს, რომელსაც აქ მაგარი ფესვები აქვს. ამ შემთხვევაში ქალაქს შეიძლება პატარა თბილისი ვუწოდოთ. ქალაქი თავიდან მონაწილეობას იღებდა ვაჭრობაში ევროპასთან ათწლიანი შეღავათის დროს. აქაური ვაჭრები ზოგჯერ ლაიპციგსა და მარსელში 1 მილიონ მანეთამდე აგზავნიდნენ.

გორში ითვლება ეკლესიები: ერთი ბერძნულ-რუსული (სამხედრო), სამი ქართული, ამდენივე სომხური და ერთიც კათოლიკური. სახლია 600. მცხოვრებთა რიცხვი მამრობითი სქესისა 1700. ქალაქის საუკეთესო დამამშვენებელია ყაზარმები და ჰოსპიტალი ქართულ გრენადერთა პოლკისა. დუქანია 174, რომელთა შორის 40-ში იყიდება ფართალი და დანარჩენში-კი ღვინო, არაყი, რძის

ნაწარმი და სურსათი; აგრეთვე სწარმოებს სხვადასხვა ხელოსნობა. გარდა ამისა, ქალაქში არის 13 წისქვილი, 1 კარგად მოწყობილი აბანო, 2 თიხის ქარხანა. 2 აგურქარხანა და 1 სამღებრო. ქალაქს ეკუთვნის ქალაქის ახლო მდებარე 48 ვენახი და ხილის ბაღი. სამხედრო შტაბისა და ბინათა გორში მუდმივად ყოფნა და მდებარეობა ხელს უწყობს ქალაქის გარეგნობის გაუმჯობესებას და გაელენა აქვს ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ რუსული ენისა და ზნეჩვეულებათა შეთვისებაზე. გორელებს ემჩნევათ შვილების სწავლების ხალისი, რომელთაც ასწავლიან აქ მოწყობილ სამ სასწავლებელში: სახალხოს, სასულიერესა და კათოლიკურში. მოწაფეთა რიცხვი ყველა სასწავლებელში აღწევს 180 კაცამდე".

ამ მიმოხილვის-შედგენის პერიოდში რუსეთის გაზეთებში უკვე ჩნდება კორესპოდენციები, სადაც გორია აწერილი. „მოსკოვის ტელეგრაფში" 1833 წელს მოთავსებული იყო სტატია — „გორი — ძველი დედაქალაქი ქართლისა". მისი ავტორია „ხერსონელი", ალბათ, ერთი ოფიცერთაგანი გორში დაბანაკებული ხერსონის გრენადერთა პოლკისა.

„...გორი, — მოგვითხრობს უცნობი ავტორი, — სამხედრო თვალსაზრისით არის ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტი რუსეთის ძლევამოსილებისა საქართველოში. ჩრდილოეთიდან და ჩრდილოდასავლეთიდან იგი კლიტეა თბილისისა და დაკავშირებულია ციხესიმაგრეებთან, რომლებიც თურქეთის საზღვრიდან და შავი ზღვის ნაპირიდან მოდიან...

შეძლებულთა სახლები გორში მეტ ნაწილად ორსართულიანია, სწორი სახურავით, აუცილებელი აივნით — ჰვრეტითი ცხოვრებისათვის, რაც ასე უყვართ აზიელებს. ღარიბები ცხოვრობენ ქოხებსა და მიწურებში... ქალაქის შუაში ბაზარია და დუქნები ქარვასლის სახელწოდებით. ვერ ვიტყვი, თითქოს აქ დუღდეს ვაჭრობა-წარმოება, პირიქით, იგი კნინდება, დუნდება, როგორც საერთოდ ამ მხარის წარმოება... წარმოება საზომია, თერმომეტრია ხალხის კეთილდღეობისა. თუ გორისა და საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიის მხარის კეთილ-დღეობის გრადუსის ძებნას დაიწყებ, გასკვირი არ იქნება, თუ გაყინვის წერტილს წააწყდები... წარმოების შტოების ნომენკლატურა მდიდარია: აქ არის მიწათმოქმედებაც, ბამბის მოყვანაც, მევენახეობაც, მეაბრეშუმეობაც; მოჰყავთ ენდრო და ვინ იცის კიდევ რა... მაგრამ რა მდგომარეობაშია ეს ყველაფერი! ერთი შეხედვა ყანაზე, ან ყურძნის წურვაზე და ან კიდევ მეშულოვეს უშნო მუშაობაზე — კეთილგანზრახვიანი ადამიანის სულს უშესაბრალისს

ელეგიაზე დააყენებს. ჩემთვის ნაღვლიანად ვამბობდი: აქ წარმოება უმოძრაოა"...

1832 წელს თბილისში მოეწყო შეთქმულება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყება უნდა მომხდარიყო ერთბაშად თბილისში, თელავში, სიღნაღში, დუშეთსა და გორში.

შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ქართველი თავად-აზნაურობის უცნობილესი წარმომადგენლები, მათ შორის გორის მემამულენიც — ამილახორები, ერისთავები, და სხვანი. ისინი აპირებდნენ საქართველოში რუსეთის ცარიზმის ბატონობის დამხობას და ქართველ მეფეთა დინასტიის აღდგენას.

შეთქმულება ჩაიშალა. იგი გახსნილ იქნა და მისი მონაწილენი დაიჭირეს. მეფის მთავრობისათვის ნათელი შეიქნა, რომ მის მხარეზე არ იყო საქართველოში თავად-აზნაურთა ყველა ფენა, ამიტომ შეთქმულების გახსნის შემდეგ დაიწყო პოლიტიკა ქართველ თავად-აზნაურთა მომადლიერებისა მათთვის თანამდებობაზა და სხვადასხვა შეღავათის მიცემით.

1844 წელს კავკასიაში რუსეთის იმპერატორის ნაცვლად — „ნამესტნიკად" დანიშნულ ვორონცოვს თითქმის შეუზღუდველი რწმუნებულებანი მიეცა და მან საგრძნობლად შეცვალა დამონების პრიმიტიული პოლიტიკა, რომელსაც მისი წინამოადგილენი აწარმოებდნენ. განაგრძობდა რა სისხლიან ბრძოლებს მთიელთა წინააღმდეგ, საქართველოში იგი შეუდგა რეფორმების გატარებას, რომელთაც ხელი უნდა შეეწყოთ რუსეთის ცარიზმის პოზიციების გამაგრებისათვის. მან დაიწყო საქართველოს თავად-აზნაურობის მომადლიერება და ცდილობდა ისინი გადაექცია ცარიზმის სანდო მსახურად.

საჭირო იყო რუსული საქონლისათვის ფართოდ გახსნილიყო ამიერ-კავკასიის ბაზარი. ამ მიზნისათვის მოწყობილ იქნა საზღვაო მიმოსვლა შავსა და კასპიის ზღვებზე, გაუმჯობესებულ იქნა საქართველოს სამხედრო გზა და სხვა მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალები. ადგილობრივი ვაჭრობისა და ნაწილობრივ მრეწველობისადმი ხელისშეწყობის ღონისძიებები რუსეთის კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდნენ.

გამარტივებულ იქნა მართმსაჯულება, ჩატარდა ადმინისტრატიული აპარატის რეორგანიზაცია, გაიხსნა სკოლები სამხედრო მოწაფეთათვის, მეფის არმიის მომავალ ოფიცერთა მოსამზადებლად, გამოიცა გაზეთი, დაარსდა საოპერო და დრამატიული თეატრები. ამასთანავე ერთად ზედმიწევნით ტარდებოდა ქვეყნის რუსიფიკაცია. ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ იქნა რამდენიმე ათასი რუსი გლეხი — რასკოლნიკები.

ამ ხანებში გორის ცხოვრება ბევრით არაფრით იყო შესანიშნავი. ქალაქი ზანტად იზრდებოდა და ვითარდებოდა, იშუშებდა რა ჭრილობებს შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმების შემდეგ, რის გაუქმების შედეგადაც წვრილი მოვაჭრენი გაღარიბდნენ, და რამდენიმე მსხვილი ვაჭარი-კი უფრო გამდიდრდა და ქალაქის მთელი ვაჭრობა მათ იგდეს ხელთ. მიუხედავად ამისა, ქალაქს მაინც შედარებით დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მოწმდება სხვადასხვა გადასახადის შემოსავლის ციფრებით. 28 ათასი მანეთი იყო შემოსავალი სააქციზო გადასახადისა 5 წლის განმავლობაში (1841 — 1846 წ.).

VII

ორმოცდაათიანი წლების დამლევს მოგზაურობდა რა კავკასიაში, მწერალი ალექსანდრე დიუმა, თანამგზავრ მხატვარ მოინესთან ერთად, გზად გორშიც შეჩერდა. მოგზაურნი იყვნენ ბაქოში, შემდეგ თბილისში, გორში, ქუთაისში და ფოთიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. თავის წიგნში კავკასიაში მოგზაურობის შესახებ დიუმა რამდენიმე გვერდს უთმობს გორს.

მან ქალაქი დაათვალიერა მოკლე ხნის განმავლობაში, ვიდრე ცხენებს დაელოდებოდნენ. „ამ დაკარგული დროს განმავლობაში,— წერს დიუმა, — მე გავბედე მომერბინა ქალაქ გორის ქუჩები. საუბედუროდ, უქმე დღის გამო, ბაზარი დაკეტილი იყო. კავკასიის ქალაქებში, რომლებშიც მონუმენტები არ არის, გარდა რაიმე ბერძნული ეკლესიისა, რომელიც ყოველგან ერთნაირად არის აგებული, ეკუთვნის იგი უძველეს თუ უახლოეს არქიტექტურას, X თუ XIX საუკუნეს. თუ ბაზარი დაკეტილია, — უკვე აღარაფერია დასათვალიერებელი, გარდა ხის ქოხმახებისა. ამ ქოხებს მცხოვრებნი სახლებს უწოდებენ. არის კიდევ ქვის ან აგურის ერთი სახლი, მწვანე-სახურავიანი, კირით შელესილი, რასაც სასახლე ეწოდება. ასეთ სახლში უეჭველად ქალაქის უფროსი ცხოვრობს. მაგრამ გორის მიშართ მე უმართებულო ვიქნებოდი რომ მეთქვა აქ მეტი აღარაფერიაო. მე აქ შევნიშნე XII ან XIV საუკუნის ციხის ნანგრევები, რაც მშვენიერებად მეჩვენა. ნანგრევები კლდის მწვერვალზეა და იმ მხრიდან, საიდანაც მე ვუყურებდი, სწორედ საკვირველი იყო, თუ მშენებლები როგორ ადიოდნენ ამ კლდეზე. უფრო შეიძლება გეფიქრა, რომ ციხე ღმერთმა ჩამოუშვა ციდან მავთულებით, დადგა კლდეზე და თქვა: „აი ღვთაებრივი უფლება!“.

დიუმა ამთავრებს ქალაქის აღწერას და შემდეგ მოგვითხრობს, თუ რა გაჭირვებით გადავიდნენ ისინი მდინარე ლიახვზე: „გორიდან ერთი ვერსის მანძილზე მან შეგვიკრა გზა; წყალი მიდიოდა გააფთრებით და ხმაურით...“

წყალზე გადასვლის შემდეგ განაგრძობდა რა გზას, დიუმა დიდხანს ტკბებოდა ქალაქის სანახაობით. „საშინელ სურათს წარმოა-



გორის ციხე. მხატვ. მოინეს ნახატი (1860 წ.).

დგენდა ქალაქის გადამყურე ძველი ციხე, — წერს დიუმა. — წარმოიდგინეთ 500 ფუტის სიმაღლე კლდე, კედლებისა და კოშკებისაგან შემდგარი, უზარმაზარი კიბით, რომელიც ადის კლდის ძირიდან ციხის თავამდის და შედგება შვიდი თანამიმდევარი განაყოფისაგან, კუთხის კოშკებით. დაბოლოს მერვე, უკანასკნელი, განაყოფისას ციხის ნანგრევებია. მოინეს ძალზე სციოდა და ვერ შესძლო ადგილობრივვე დაეხატა ეს ლანდშაფტი. მან ქალაქის ხედი მეხსიერებაში აღიბეჭდა და საღამოს ქაღალდზე გადაიტანა".

ქალაქი გორი ამ ხანებში არაფრით არ განირჩეოდა რუსეთის ტიპიური პროვინციალური სავაჭრო — ადმინისტრატიული ქალაქებიდან. ქალაქი ნელა იზრდებოდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს მოსახლეობის რიცხვი 3500 სულს უდრიდა, 1880 წელს კი 5668 სულს.

1871 წელს თბილისსა და ფოთს შორის რკინისგზის ლიანდაგის გახსნის შემდეგ გორის სავაჭრო მნიშვნელობა პირველ ხანებში დაეცა. გორი უკვე აღარ იყო სატრანზიტო პუნქტი იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობა დაკარგა ძველმა საქარავნო გზამ. საქონელი რკინისგზით გადაჰქონდათ, გორის საწყობებისა და ვაჭრების გარეშე; მაგრამ გორმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახელი როგორც ადგილობრივი პროდუქტების გატანის მნიშვნელოვანმა პუნქტმა (ბოსტნეულის, ხილისა და პურისა).

გორელ პედაგოგ ა. ჯავახოვის აღწერის თანახმად, გორში სამოცდაათიანი წლების დამლევს დაახლოებით 1300 სახლი იყო, მეტწილად ერთსართულიანი. სახანძრო რაზმი გორში არ არსებობდა. იყო მხოლოდ ერთი სახანძრო მილი, რაც იმ დროისათვის ქალაქის თვითმართველობის მნიშვნელოვან მიღწევად ითვლებოდა.

1876 წელს გორში გაიხსნა ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული პირველდაწყებითი სასწავლებლებით.

ამ სასწავლებლების სასწავლო პროგრამები იმ ანგარიშით იყო შედგენილი, რომ დაემახინჯებინათ ახალგაზრდობის შეგნება. თუმცა-ღა საოსტატო სემინარიაში დაშვებული იყო პატარა შეღავათი: შემოღებული იყო... მუსიკა. ა. ჯავახოვი წერს, რომ „მოწაფეთა ესთეტიკური განვითარებისა და მათი ხასიათის მორბილების მიზნით სემინარიის მიერ შეძენილია საკრავები — ვიოლინი და ფისგარმონია..."

ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სომხური სასულიერო სასწავლებელი, ქალთა სკოლა და ქალთა პროგიმნაზია, — აი ნუსხა გორის სასწავლებლე-

ბისა, სადაც სწავლობდა 830 მოწაფე. ეს რიცხვი იმ ხანებისათვის მნიშვნელოვანი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ცარიზმი ყოველი ღონით აფერხებდა ახალი სასწავლებლების გახსნას.

1876 წელს გორში ქალაქის თვითმართველობა იქნა დაწესებული, მაგრამ მას სამოღვაწეოდ საკმაო თანხები არ მოეპოებოდა. ქალაქის შემოსავალი ისაზღვრებოდა 23 ათასი მანეთით და შემოსავლის მთავარ წყაროს შეფასებითი გამოსაღები წარმოადგენდა.

ქალაქის თვითმართველობის აპარატის შესანახად ასიგნებული იყო 8000 მანეთამდის, პოლიციის შესანახად და ჯარის სადგომად— 6000 მანეთზე მეტი, ხიდისა და ბორანის გასაკეთებლად და შესაკეთებლად — 5.400 მან. დანარჩენ ხარჯებს შორის იყო 80 მანეთი „გაჩირაღდნებისათვის"...

ყოველ შეძლებულ მოქალაქეს ხეხილის ბაღი და ვენახი ჰქონდა. „საცოლე, რომელსაც ბაღი არ ჰქონდა, ხეირიან საცოლედ არ ითვლებოდა" — აღნიშნავს ა. ჯავახოვი. გორელებს მოჰყავთ კომბოსტო, კარტოფილი, რომელიც გორში პირველად 1830 წელს შემოიტანეს.

გორელი ვაჭრები ფართლის შესაძენად ყოველწლიურად მოგზაურობდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, მოსკოვში, ოდესაში, ვარშავაში, როსტოვში.

გორის ბაზარზე მუდამ უხვად იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მაგრამ ვაჭრობა დიდი მოცულობისა არ იყო. მთელი წლიური ბრუნვა შემოტანილი და გატანილი საქონლისა 80-იან წლებში დაახლოებით 500.000 მანეთს უდრიდა.

1880 წელს ქალაქში იყო 19 წვრილი საწარმოო წამოწყება. სადაც სულ 30 კაცი მუშაობდა. 1879 წელს გორში ხელოსანთა და მათი შეგირდების რიცხვი 837 კაცს უდრიდა.

გარეგნულად გორი მშვიდობიანი პროვინციალური ქალაქი იყო. მაგრამ მცხოვრებთა პროგრესიული ფენები სხვა, დამძაფრული ცხოვრებით სულდგმულობდნენ, ემზადებოდნენ-რა რევოლუციური ბრძოლისათვის თვითმპყრობელური წესწყობილების წინააღმდეგ.

რუსეთში აღზრდილმა ახალგაზრდობამ საქართველოში დაიწყო ხალხოსნური შეხედულებების გატარება. გორელ ხალხოსანთა შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები არსებობს. გამოცემულია მოგონებები მწერლის სოფრომ მგალობლიშვილისა, რომელიც საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის მონაწილე იყო.

1873 წლიდან მგალობლიშვილმა გორში დაიწყო მუშაობა ქართული ენის მასწავლებლად. საქართველოში იგი დაუახლოვდა მასწავლებელ პავლე ბურჯანაძეს და მას გაუზიარა თავისი ახალი იდე-

ები. შემდეგ მათ ვასო დეკანოზიშვილი მიემატა. მათ დაიწყეს რევოლუციონური მუშაობა. 1875 წელს მოეწყო პირველი რევოლუციური წრე.

წრის მონაწილეს სამადაშვილს, რომელიც ტყვიავში ცხოვრობდა, არალეგალური სტამბა ჰქონდა მინდობილი. ჟანდარმები ამაოდ შეეცადნენ ეს სტამბა ეპოვათ.

გორის ორგანიზაციაში გაჩნდა პროვოკატორი. მისი დაბეზღებით 1876 წლის სექტემბერში ორგანიზაცია ჟანდარმებმა დაარბიეს.

ხალხოსნებმა გამცემი დიდხანს ეძებეს, მაგრამ ჟანდარმერიამ იგი შორს გადამალა. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ მგალობლიშვილი შემთხვევით შეხვდა მას ფოთში ერთ ოჯახში და მაგრად სცემა.

მგალობლიშვილი და სხვა ხალხოსნები „გავიდნენ ხალხში", მაგრამ მათი პროპაგანდა რეალურ შედეგებს არ იძლეოდა. ამის შეხახებ მოგვითხრობენ თავის მოგონებებში სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი...

„გლეხთა შორის აგიტაციის წარმოებისათვის, — წერს დავითაშვილი, — ხელსაყრელ დროს ეუცდიდი. სანამ საზაფხულოდ სასწავლებლებს დახურავდნენ. ეს დროც დადგა და მეც გავემგზავრე გორს. აუარებელი აკრძალული წიგნი წავიღე თან და ვესტუმრე სოფრომ მგალობლიშვილს. ის ახლა იქ მასწავლებლად იყო განწესებული. აქედან ქართლის სოფლებისაკენ დავიკავე გეზი და მოვეარე ის სოფლები, სადაც ნაცობ-ნათესავები მეგულებოდა".

დავითაშვილი შემოდგომაზე თბილისში დაბრუნდა გულგატეხილი, რადგან მის ხალხში სიარულს იმდენი და ისეთი შედეგები არ მოჰყვა, რისი იმედიც ჰქონდა.

„ნაროდნიკები თავდაპირველად შეეცადნენ აემხედრებინათ გლეხები მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით რევოლუციური ინტელიგენტური ახალგაზრდობა, გლეხის ტანსაცმელში გადაცმული დაიძრა სოფლისაკენ — „ხალხში", როგორც მაშინ ამბობდნენ. აქედან წარმოდგა თვით სახელწოდება „ნაროდნიკები" (ხალხოსნები). მაგრამ გლეხობა არ გაჰყვა მათ, ვინაიდან ისინი არც გლეხებს იცნობდნენ, როგორც საჭიროა, და არც ესმოდათ მათი. ნაროდნიკების უმრავლესობა დააპატიმრა პოლიციამ. მაშინ ნაროდნიკებმა გადაწყვიტეს განეგრძოთ ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მარტო თავისი ძალებით, უხალხოდ, რახაც კიდევ უფრო სერიოზული შეცდომები მოჰყვა". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია". მოკლე კურსი).

გორში დააპატიმრეს ყველა „არაკეთილსაიმედო" პირი. რეპრე-

სიები მთელს რუსეთს მოედო, რაც გამოწვეული იყო პეტერბურგში ჟანდარმთა გენერალ მეზენცოვის მკვლელობით.

გორში დაპატიმრებული ხალხსნები გორის საპყრობილეში და თბილისში, მეტეხის ციხეში მოათავსეს. საპყრობილის რეჟიმი ვერ გადაიტანეს, შლექით ავად გახდნენ და გარდაიცვალნენ ვასო დეკანოზიშვილი და სიმონ ფავლენიშვილი.

ვასო დეკანოზიშვილი გორში დაასაფლავეს. მგალობლიშვილს აწერილი აქვს დეკანოზიშვილის გასვენების დღე: „მთელი გორი გლოვობდა თავის საყვარელ შვილს. გლოვის ნიშნად დუქან-ბაზარი დაიკეტა. პროცესიას მიუძღოდნენ დასტები მეზურნე-მედუდუკენი, მეარღნეები ნელის დაკვრით, მეგობრები, ხელოსნები, ქალი თუ კაცი. საფლავში ჩასვენებისას მეზურნე ზურაბა რაზმაძემ სალამურზე ააკვნესა ვასოს საყვარელი ხმა — „სულო ბოროტო". გლეხმა ვანომ, ვასოს გაზრდილმა, ლექსი წარმოსთქვა..."

შიო დავითაშვილი გორის მაზრის სოფლებში ამაო მოგზაურობისა და თბილისის ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშაობის შემდეგ კვლავ გორში გაემგზავრა და მკაზმავად მიეწყო სემინარიაში. იგი დაუახლოვდა შეგირდებს და დაიწყო მათ შორის რევოლუციური პროპაგანდა. რამდენიმე თვის შემდეგ სემინარიის ადმინისტრაციამ ეჭვი აიღო და იგი სამუშაოდან დაითხოვა როგორც „არაკეთილსაიმედო".

შიო გორში დარჩა, ქალაქის თვითმართველობაში მდივნად მოეწყო და სოფრომ მგალობლიშვილთან ერთად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ეწეოდა. მათ ქართული დრამატიული წრე მოაწყეს, რომელშიაც ქალაქის მოწინავე ხალხი იღებდა მონაწილეობას. აქ პირველად გამოვიდა სცენაზე შემდგომ ცნობილი მსახიობი ქალი ნატო გაბუნია (ცაგარელი).

დრამწრე ლექციებსაც აწყობდა და ლექტორებს თბილისიდან იწვევდა.

1878 წელს გორის მაზრაში სასოფლო სკოლების გახსნა იწყეს. ამ სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლები თითქმის ყველანი დაკავშირებულნი იყვნენ დავითაშვილთან და სხვა ხალხოსნებთან.

1881 წელს გორში გადასახლებიდან დაბრუნდა ხალხოსანი მიშო ყიფიანი და გორის საოსტატო სემინარიაში მოეწყო ქართული ენის მასწავლებლად. მიშო ყიფიანის მოსვლით გაძლიერდა გორის რევოლუციონური ჯგუფის მუშაობა. კონსპირაციის მიზნით ჯგუფმა ლეგალური ორგანიზაციის სახელი დაირქვა — „ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება". შიო დავითაშვილი თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ჯგუფი იმდენად წათამამდა, რომ 1882 წელს ჯუზეპე გარიბალდის გარდაცვალების გა-



– გორის საერთო ხედი. XIX საუკ. 80-იანი წლების გრავიურიდან.

მო იტალიაში სამძიმრის დეპეშა გაგზავნა. დეპეშას ხელს აწერდა 82 ქალი და კაცი. გავიდა ხანი და ერთ იტალიურ გაზეთში გარიბალდის დასაფლავების ამბავში მოხსენებული იყო, რომ სამძიმრის დეპეშა მოვიდა რუსეთის რომელიღაც პატარა ქალაქ გორიდან, რომელიც გეოგრაფიულ რუქაზე აღნიშნულიც არ არისო. ამ დეპეშის გამო ჟანდარმები კბილებს ილესავდნენ: „ეს თქვენ გაუგზავნეთ დეპეშა გარიბალდის ოჯახს? კარგია, კარგი, ჩინებულია — ბრაზმორეული ამბობდნენ ისინი ამის შესახებ“.

პეტერბურგიდან გორში დასაკავშირებლად ხშირად ჩამოდიოდნენ რუსი ხალხოსნები, აქ მათ შორის იყო ვინმე „სერგეი პეტროვიჩი“. მან სთხოვა დავითაშვილს როგორმე ერთი ემიგრანტი მოეწყო გორში სამსახურში, რომლის მონაწილეობითაც აპირებდნენ გორის ხაზინის ექსპროპრიაციას. რამდენიმე ხნის შემდეგ გორში ჩამოვიდა ერთი ახალგაზრდა, აზაროვის პასპორტით. დავითაშვილის დახმარებით იგი გორის თვითმართველობაში მოეწყო სამსახურში. შეუდგნენ ექსპროპრიაციის მზადებას, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც აზაროვი რაღაც საქმეზე თბილისში გაემგზავრა, გორს ჟანდარმერია დაეცა: აზაროვს ეძებდნენ. დიდის ვაივაგლახით შეძლო დავითაშვილმა ეცნობებინა აზაროვისათვის, რომ გორში აღარ გამოჩენილიყო.

იფიქრა რა დავითაშვილმა, თუ ვის შეეძლო გაეცა აზაროვი, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ „სერგეი პეტროვიჩი“ პროვოკატორი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ გორის ორგანიზაციის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს, მათ შორის დავითაშვილიც. ჩაიშალა აგრეთვე გორში არსებული სამხედრო-რევოლუციური ორგანიზაცია. დაპატიმრებულნი თბილისში გადაგზავნეს, მეტეხის ციხეში. პეტერბურგიდან სპეციალური საგამომძიებლო კომისია ჩამოვიდა.

დაკითხვისა და მთელ რიგ სხვა ნიშნებით დაპატიმრებულნი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ორგანიზაცია ნამდვილად „სერგეი პეტროვიჩმა“ გასცა. ეს იყო პროვოკატორი დეგაევი.

„თუმცა ნაროდნიკების ფარული ორგანიზაცია დაამსხვრიე მეფის მთავრობამ, მაგრამ ნაროდნიკული შეხედულებები კიდევ დიდხანს რჩებოდა რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციაში. ნაროდნიკების ნაშთები დაეინებით უწევდნენ წინააღმდეგობას მარქსიზმის გავრცელებას რუსეთში, ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის ორგანიზაციას.

ამიტომ მარქსიზმი რუსეთში შეიძლებოდა გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო მხოლოდ ნაროდნიკობასთან ბრძოლაში („საკ. პ. (ბ) ისტორია“. მოკლე კურსი).

VIII

საინტერესო ცნობებია გორის შესახებ პედაგოგ ა. გარსევანიშვილის მოგონებებში. იგი მოგვითხრობს პოეტ ვაჟა ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილის) შესახებ, რომელიც გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა, ესწრებოდა არალეგალური წრის კრებებს და მონაწილეობას იღებდა გორის ხალხოსნური ინტელიგენციის სხვადასხვა კულტურულ საქმიანობაში.

ცარიზმის რეპრესიებმა ვერ შეასუსტეს გორის მოწინავე ინტელიგენციის საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობა, ისევ მართავდნენ წარმოდგენებს, საღამოებს, ლექციებს. ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ადგილობრივი ძალები: გორში ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მსახიობები. პოეტი აკაკი წერეთელი გორში კითხულობდა ლექციებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის" შესახებ, კითხულობდა საკუთარ ლექსებს. მან გორზე დაწერა ლექსი — „გორო, ქართლის მეთაურო".

„აკაკის მოსვლა გორში და ქართლად სწორედ დღეობა იყო, — იგონებს სოფრომ მგალობლიშვილი.—მას გარს ერტყმოდა ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა საოსტატო სემინარიისა, ქართული ოჯახები, სადაც შერჩენილი იყო კიდევ ძველი ოჯახური სული, ფაქიზი ზნეობა და მამულის სიყვარული. დიდს გავლენას ახდენდა აკაკი მოსწავლე ახალგაზრდობაზე — მომავალ მასწავლებლებზე ჩვენი ხალხისა. იგინი პირადად ისმენდნენ აკაკის ტკბილ, მოსწრებულ ნალაპარაკევს: ერთხელ ზაფხულში, გორიდან ტფილისისაკენ გავაცილეთ. აკაკი გაიტაცა ჩვენს მომავალზე ფიქრმა, მას ღრმად სწამდა ჩვენი ბედის შეცვლა, ბრწყინვალე მომავალი.

— „განა დაგვიდგება ხანი ცარიზმის ბრჭყალებისაგან თავის დახსნისა? — ვუთხარი მე. — „შენ პესიმისტი ყოფილხარ. მე ღრმად მწამს, რომ რუსთველის სამშობლო აღსდგება. ჩვენს საქართველოს ბევრი რამ გადახვედრია, მაგრამ ჩვენში იმოდენა ნიჭებულებაა, ჩვენს ერში ისეთი დაფარული სულის ძალაა, რომ ჩვენი სიკვდილი შესაძლებელი არ არის. თუმცა ჩვენ უკვე ანდერძს აგვი-

ვო გიორგი მუხრან-ბატონმა, მაგრამ სტყუის უბედური, ჩვენს სიკვდილს ვერავინ მოესწრება“.

ზემოხსენებული ბაგრატიონ-მუხრანსკი იყო სენატორი, კავკასიაში მეფის ნაცვალთან მყოფი. იგი დამყაყებული რეაქციონერი იყო, 1872 წელს მან რუსულად გამოსცა ბროშურა: „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილ ხალხთა ერთეულების განმანათლებელი მნიშვნელობის შესახებ“. ამ უკაცრავად პასუხია „მროგაში“ გატარებული იყო აზრი „მცირე ერების“ აუცილებელი გათქვეფისა „დიდ ერებში“.

მას მომაკვდინებელი პასუხი გასცეს, პრესის საშუალებით მწერლებმა აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ. კერძო წერილში ილია წერდა ამ მუხრანსკის შესახებ: „მონა მხოლოდ ძლიერის უფლებას ეთაყვანება...“

გორის ინტელიგენციასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გორის მაზრელი ანტონ ფურცელაძე, სწორედ მან ურჩია გორელებს 1882 წელს ჯუზეპე გარიბალდის სიკვდილის გამო იტალიაში სამგლოვიარო დეპეშის გაგზავნა.

გორის ინტელიგენცია ეხმაურებოდა საქართველოს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ამბავს.

როდესაც მწერალი ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა, გორში პანაშვიდი იქნა გადახდილი. ამ პანაშვიდზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა გორელმა მასწავლებელმა ფერაძემ. მისი სიტყვა მთავრდებოდა მოწოდებით ემუშავათ ხალხის საკეთილდღეოდ. სიტყვაში მას მოჰყავდა ილია ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონები ხალხისათვის თავდადების შესახებ.

ქართული თეატრის ცნობილი მსახიობი ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი და სხ. გორში ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს, დგამდნენ პოპულარულ ქართულ პიესებს: ა. ცაგარლის კომედიებს „ხანუმას“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ზურაბ ანტონოვის კომედიას „მზის დაბნელება“, ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილს“, გ. სუნდუკიანის კომედიას „პეპოს“, გ. ერისთავის კომედიას „დავას“, აგრეთვე ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნიდან“, მოლიერის პიესებს, ვოდევილებს. იმართებოდა რუსული წარმოდგენებიც.

გორელები სანახაობათა დიდი მოყვარულნი იყვნენ. ყველიერში ჩვეულებრივად ყეენობას მართავდნენ. კრივი, ჭიდაობა ხშირი მოვლენა იყო უქმე დღეებში.

გორს არაერთხელ სტუმრებია პირველი ქართული ხალხური ხოროები, რომლებიც 80-იან წლებში მოაწყეს ლადო აღნიაშვილმა და რატილმა. ხოროები არა მარტო ასრულებდნენ, არამედ აგროვე-

ბდნენ კიდეც ქართულ სიმღერებს, რითაც ამდიდრებდნენ ქართულ მუსიკალურ კულტურას.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, ქართული პროფესიონალური თეატრის აღდგენის პერიოდში, გორმა მოგვცა ცნობილი თეატრალური მოღვაწე, ქართველი რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელი გიორგი ერისთავი, მსახიობი და ნიჭიერი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი და კიდევ მთელი პლეადა ქართული თეატრის აქტიორებისა.

გორის კულტურული ცხოვრება ოთხმოციან წლებში აღინიშნა სტამბის გახსნით. იგი ეკუთვნოდა არსენ კალანდაძეს, მანვე გახსნა წიგნის მაღაზიაც. გორის მცხოვრებნი იწერდნენ ქართულ, სომხურ და რუსულ გაზეთებსა და ჟურნალებს. მაგ., 1887 წელს გორში მოდიოდა: „ივერია“ — ილია ჭავჭავაძის რედაქციით — 69 ცალი, სომხური გაზეთი „მშაკ“ — 7 ცალი, რუსული გაზეთები — 98 ც. და 14 სხვადასხვა ჟურნალი.

როდესაც 1893 წელს აღინიშნა გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წლისთავი, გაზ. „ივერიაში“ ამ სასწავლებლის შესახებ მოთავსებული იყო დაწვრილებითი ინფორმაცია, რომელიც აცნობდა მკითხველებს სასკოლო განათლების ისტორიას გორში.

გორის სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა 1818 წელს და იმ დროს ერთად ერთი სასწავლებელი იყო მაზრაში. პირველ წელს ძლივს 27 მოწაფე მოაგროვეს, მაგრამ ბავშვები უხალისოდ დადიოდნენ სკოლაში. სკოლის უფროსნი ჩიოდნენ, რომ „მოწაფეებმა სასწავლებლებში სიარული შესწყვიტეს ადგილობრივი ხალხის უცნაურ და ველურ ზნეობის გამო“, მაგრამ საქმე „ველურობაში“ არ იყო: სკოლაში შემოღებული იყო გაწკეპლვა, როგორც ერთ-ერთი „აღმზრდელობითი“ ღონისძიება. სასკოლო რეჟიმი მეტად მძიმე იყო.

1836 წელს სკოლას სამისიონერო სკოლის ხასიათი მისცეს და შემოიღეს ოსური და აზერბაიჯანული ენის სწავლება. აპირებდნენ მღვდლების მომზადებას უმორჩილო ხალხთა შორის ქრისტიანობის პროპაგანდისათვის.

სასტიკი ექსპლოატაციით დაჩაგრული გლეხობა გორის მაზრისა ხშირად გამოდიოდა მემამულეებისა და მეფის სატრაპების წინააღმდეგ, არბევდა მემამულეთა კარ-მიდამოს, მეფის მთავრობა, იცავდა რა, მემამულეთა ინტერესებს, სასტიკ ანგარიშს უსწორებდა „ბუნტოვჩიკებს“, „ყაჩაღებს“, სჯიდა გლეხებს, რომლებიც საშინელი ჩაგვრის გამო იძულებულნი იყვნენ იარაღი აეღოთ ხელში.

ერთი ასეთი დასჯა მოწყობილი იყო თვით გორში 1892 წლის 13

თებერვალს. ორ გლეხს, სანდრო ხუბულურსა და ტატე ჯიოშვილს, რომლებიც ტყეში გაიჭრნენ სოციალური ჩაგვრის გამო, ეცემოდნენ მემამულეთ და ამიტომ მათ „ყაჩაღები“ ეწოდებოდათ, გორის დროებითი სამხედრო სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა ჩამოხრჩობა „ადგილობრივი გარნიზონის ჯარის თანდასწრებით“.

მცხოვრებლებმა დილიდანვე თავი მოიყარეს დასჯის ადგილთან. დასჯის მოწმე იყო ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიც, რომელიც იმ დროს საქართველოში დადიოდა. დასჯა მან დაწვრილებით აწერა ნარკვევში „გორში“, რომელიც დაბეჭდილი იყო „ნიჟეგოროდსკი ვესტნიკში“.

საინტერესოდ გადმოგვცემს ა. მ. გორკი სამხედრო წრთვნით დაჩაგრული ჯარისკაცების განწყობას დასჯისადმი: „მზისგან დამწვარ რუს ჯარისკაცებს თოფები მხარზე ჰქონდათ გადებული; იდგნენ უხასიათო გამომეტყველებით, თითქოს ხის ყოფილიყვნენ, ან მიწაში ჩასობილნი. იყურებოდნენ თვალებით, რომლებიც არაფერს არ გამოხატავდნენ“.

მშვიდად და ვაჟკაცურად ეჭირათ თავი მსჯავრდადებულთ. მათ უარი უთხრეს ხუცესს „აღსარებაზე“. იმ დროინდელმა გაზეთებმაც-კი აღნიშნეს სულიერი სიმშვიდე მსჯავრდადებულთა: „საერთოდ მათ თავი მშვიდად ეჭირათ. სანდრო ხუბულური სულ გაჩუმებული იყო, ტატე ჯიოშვილი-კი ხუმრობდა კიდეც“.

დასჯამ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა გორის მცხოვრებლებზე. მოწაფენი, მათ შორის გორის სასულიერო სასწავლებლისაც დიდხანს იყვნენ ამ სამძიმო ამბის შთაბეჭდილების ქვეშ და ერთმანეთში ბაასობდნენ მასზე.

ა. მ. გორკის ნარკვევში გლეხთა დასჯის შესახებ მოცემულია გორისა და ქართლის ხეობის აღწერაც.

„გორი ძველი ქართული ქალაქია მტკვრის ხეობაში. იგი დიდი არ არის, მოზრდილი რუსული სოფლის ოდენაა. ქალაქის შუა მაღალი გორაკია აღმართული და მასზე ციხეა. გორაკის ფერდობზე და მის ძირში გაბნეულია პატარა სახლები, თითქმის ყველა ქვისაა. მთელ ქალაქს რაღაც განცალკევებისა და ველური ორიგინალობის კოლორიტი სდევს. მცხუნვარე ცა, გიჟმაჟი და მღელვარე ტალღები მტკვრისა. ახლოს მთებია, მათში რაღაც თანაბრად განლაგებული ხვრელებია — ეს მღვიმეთა ქალაქია. შორს, ჰორიზონტზე, მუდამ უძრავი თეთრი ღრუბლები—ეს მთებია კავკასიის მთავარი ქედისა, დაფარული ვერცხლის უდნობი თოვლით“.

მეფის ჯალათების ხელით ასეული სხვა გლეხებიც იღუპებოდნენ ისე, როგორც ჯიოშვილი და ხუბულური.

ძველი გორის მთავარი ჭრა._მარცხნივ:სასულიერო სასწავლებლის შენი ბა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობა თითქმის იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორც ბატონყმობის დროს. თუ მებატონეთ უკვე აღარ შეეძლოთ გლეხების ყიდვა-გაყიდვა, როგორც მონებისა, ყოველმხრივად ძარცვავდნენ მათ და კაბალურ პირობებში აყენებდნენ.

მეფის მიერ გატარებული მიწის „რეფორმის" შედეგად გლეხებმა საქართველოში დაკარგეს დიდი ნაწილი იმ მიწებისა, რომლებზედაც მუშაობდნენ ბატონყმობის დროს.

80-იან წლებში გორის მაზრის მიწების დიდი ნაწილი მსხვილ მემამულეთა ხელში იყო: თავ. ციციანოვების ხელში — 41760 დესიატინა, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის (ბორჯომის მამული) — 63616 დეს., თავ. ფალავანდოვების — 19.000 დეს. და სხვ. ეს მემამულენი თითქმის არავითარ სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიდნენ. ერთადერთი გადასახადი, საშუალოდ დესიატინაზე წელიწადში 3 კაპეიკი, მუდამ ნარჩენად ითვლებოდა მემამულეებზე და საბოლოო ანგარიშში მათ ჩამოეწერებოდათ ხოლმე მეფის რაიმე მანიფესტის ძალით.

თბილისის გუბერნიაში (რომელშიც გორის მაზრაც შედიოდა) მცხოვრები მოსახლეობიდან 2 — 3% თავად-აზნაურნი ფლობდნენ 961 ათას დესიატინა მიწას, და გლეხებს-კი, რომლებიც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, დარჩათ 134 ათასი დესიატინა. გლეხები იძულებულნი იყვნენ იჯარით აეღოთ მიწა მემამულეთაგან. მემამულენი საიჯარო ხელშეკრულების ვადას თავისი შეხედულებით აწესებდნენ (ჩვეულებრივად არა უმეტეს ერთი წლისა) და ფასსაც თავისი შეხედულებით ახდევინებდნენ. გორის მაზრაში საიჯარო ფასად დაწესებული იყო: სახნავ მიწაზე — მოსავლის ნახევარი, ვენახზე, — მოსავლის მეოთხედი, სათივეზე — ერთი მესამედი.

მეფის მოხელეთა დახმარებით მემამულენი ძარცვავდნენ გლეხობას, ართმევდნენ რა ცხოვრების უკანასკნელ სახსრებს. მემამულე ციციანოვებმა გლეხებს კიდევ დამატებითი ხარკი დაუწესეს: მსხვილფეხა საქონლის საძოვარი თითო სულზე წელიწადში 30 კაპეიკი, მემამულის ტყეში ნაპოვნ სკაზე — 1 მანეთი, გარდა ამისა, გლეხებს ყოველწლიურად უნდა ეძლიათ საკომლო გადასახადი — 5-დან 20 მანეთამდის.

მხოლოდ და მხოლოდ გლეხებს აწვებოდათ ყველანაირი ადგილობრივი ხარჯიც, საგზაო ბეგარა, სოფლის კანცელარიისა და მცველების შენახვა, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები. გლეხე-

ბის ხარჯზე აშენებდნენ ეკლესიებს. გლეხებს ტყავს აძრობდნენ კულაკური ელემენტებიც.

გორის მემამულეებმა მალე გამონახეს საერთო ენა მეფის კოლონიზატორებთან, განაგრძობდნენ რა გლეხობის ძარცვასა და ჩაგვარს. მემამულეთა თვითნებობა, მეფის მოხელეთა თავგასულობა, უმძიმესი ბეგარა-გადასახადები, რომლებიც გლეხობას აწვებოდა და რის შემდეგაც ხშირი იყო მოუსავლობა და შიმშილობა — ყველაფერი ეს იწვევდა გლეხთა მუდმივ აჯანყებებს გორის მაზრაში.

მაგრამ გლეხთა გამოსვლებს სტიქიური, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. საჭირო იყო მაორგანიზებელი ძალა, რომელიც შესძენდა მშრომელი გლეხობის ხელმძღვანელობას. ეს ძალა იყო მუშათა კლასი.

ამიერ-კავკასიიის რკინისგზის გაყვანის დროიდან და მას შემდეგ, რაც თბილისსა და ბათომში კერძო ქარხნები და ფაბრიკები იხსნებოდა, მუშათა რიცხვმა საქართველოში მნიშვნელოვნად იწყო ზრდა. 1899 წელს მარტო თბილისის გუბერნიაში უკვე 12.500 მუშა ითვლებოდა.

90-იან წლებში გორის მაზრაში იმ დროის მიხედვით მნიშვნელოვანი მუშათა ცენტრები იყო. ეს გახლდათ რკინისგზის დეპო, სოფ. ხაშურში, გორიდან რამოდენიმე ათეულ კილომეტრზე, და ტყის სახერხი კერძო ქარხანა ზეზემანისა სოფ. ატენში, გორიდან რამდენიმე კილომეტრზე.

სახერხ ქარხანაში და ტყის სამუშაოებზე 1891 წელს 600-მდის კაცი მუშაობდა. მუშებმა არა ერთხელ ჩაატარეს ეკონომიური გაფიცვები და მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას.

1891 წელს ზეზემანმა მიმართა კაპიტალისტების მიერ ნაცადხერხს ექსპლოატატორის თვალსაზრისით „არასაიმედოთაგან" განთავისუფლების მიზნით; მან სამუშაოდან დაითხოვა ქართველ მუშათა ჯგუფი, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, და სამუშაოზე აიყვანა რუსი გლეხები, რომლებიც გამოქცეული იყვნენ დამშეული გუბერნიებიდან. რუსი გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მათ დათხოვნილ მუშათა მაგივრად ამუშავებდნენ, უარი განაცხადეს მუშაობაზე.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლას უწყვეტი კავშირი ჰქონდა რუსეთის მთელი მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობასთან. საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშები სულ უფრო და უფრო მჭიდროვდებოდნენ რევოლუციური

სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშის ქვეშ, ლენინის დროშის ქვეშ.

მასწავლებელი, ორგანიზატორი და ბელადი საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისა იყო ამხანაგი სტალინი.

„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და „სახელთან“ (ლ. ბერია — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საკითხისათვის“).

IX

ქალაქი გორი დიდი სტალინის სამშობლოა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დაიბადა გორში 1879 წლის 21 დეკემბერს, ღარიბ მშრომელთა ოჯახში. მამა იოსებ ბესარიონის-ძისა — ბესარიონ ივანეს-ძე ჯუღაშვილი, თბილისის ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხნის მუშა, სამუშაოს ძებნაში გორში მივიდა და იქ დაბინავდა. იქ შეუღლდა გორის მაზრის სოფელ ღამბარეულის გლეხი ქალის ეკატერინე გიორგის ასულ გელაძესთან. ოჯახი ღარიბად ცხოვრობდა. ამხანაგ სტალინის დედა იძულებული იყო დღიურად ემუშავა გორელებთან, იგი ჭრა-კერვას მისდევდა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა შეიცნო პირქუში, გაჭირვებით სავსე ბავშვობისა და ყრმობის წლები.

სასკოლო განათლების მიღება იმ დროს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდრებისა და შეძლებულთათვის.

იოსებ ბესარიონის-ძის დედამ მტკიცედ გადაწყვიტა განათლება მიეცა თავისი შვილისათვის, რომელიც სიმკვირცხლით, შეთვისების უნარითა და მეხსიერებით ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდის იპყრობდა ყურადღებას. ანბანი ძალიან ჩქარა ისწავლა. დედის თხოვნით მას წერა-კითხვა მეზობელმა კოტე ჩარკვიანმა შეასწავლა.

სასულიერო სასწავლებელში უმთავრესად იღებდნენ სასულიერო წოდების პირთა შვილებს. ამიტომ დიდი წვალებით შესძლო ეკატერინე გიორგის ასულმა შვილის სკოლაში მიბარება. იოსებ ბესარიონის-ძე მიიღეს მოსამზადებელ კლასში.

იოსებ ბესარიონის-ძის სტალინის ამხანაგი, სოფელ ბერშუეთის საშუალო სკოლის ორდენოსანი მასწავლებელი გიორგი ლევანის-ძე გლურჯიძე, მოგვითხრობს იოსებ ბესარიონის-ძის სასწავლებელში პირველად მისვლას.

„დამახსოვდა ტანსაცმელი, რომელშიაც იოსებ ჯუღაშვილი ზამთარში გაჩნდა სკოლაში. მისი მზრუნველი დედა, რომელიც ჭრა-კერვით ირჩენდა თავს, ცდილობდა რომ მისი შვილი თბილად და სუფთად ყოფილიყო ჩაცმული. იოსებს ეცვა ცისფერი პალტო, ჩექმები, ნაბდის ქუდი და რუხი მოქსოვილი ხელთათმანები. ჰქონდა

განიერი წითელი შარფი. ჩვენ მოგვწონდა ამ შარფის ღია ფერი. იოსები საშუალო ტანისა იყო, გამხდარი. სკოლაში დადიოდა მხარზე ჩამოკიდებული წითელი ნარმის ჩანთით. სიარული მტკიცე, გამომეტყველება — ცოცხალი, იყო მკვირცხლი, გულმხიარული"...

იოსებ ბესარიონის-ძემ სწავლაში პირველი დღეებიდანვე ნიჭი გამოიჩინა. იგი წარმატებით ითვისებდა ყველა საგანს. გაკვეთილებს მუდამ ყურადღებით ისმენდა. მასწავლებლის შეკითხვებზე წამსვე არ უპასუხებდა, არამედ პასუხს მუდამ მოიფიქრებდა და აწონ-დაწონიდა. იოსებ ბესარიონის-ძეს კარგი ხმა და სმენა ჰქონდა და სასკოლო ხოროში გამოდიოდა.

იოსებ ბესარიონის-ძის სტალინის სკოლის მეორე ამხანაგი, ხაშურის საშუალო სკოლის ორდენოსანი მასწავლებელი პეტრე კაპანაძე, წერს თავის მოგონებებში:

„იოსებ ჯუღაშვილი განირჩეოდა დიდი თავდაბლობით და კარგი, გულხმიერი ამხანაგი იყო. იგი არასდროს არ გაგრძნობინებდა თავის უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე უფრო განვითარებული იყო. იგი არასდროს არ ყოყოჩობდა იმით, რომ ჩვენზე ნიჭიერი იყო და, პირიქით, თავისი ცოდნით გვეხმარებოდა. გვეხმარებოდა გეოგრაფიული რუკების დახატვაში, ამოცანების გამოყვანაში, გაკვეთილების დამზადებაში. იოსები იყო მტკიცე, შეუპოვარი და ენერგიული. ამასთან ერთად მისი ხასიათი ამხანაგებთან ურთიერთობის დროს განირჩეოდა გულისხმიერებითა და მზრუნველობით. ამ მზრუნველობას მოწმობს ერთი ფაქტი. როგორღაც ერთხელ, გამოცდების წინ, მე ავად გავხდი და მივმართე თხოვნით სასწავლებლის ზედამხედველ ბელიაევს გამოცდებიდან გავეთავისუფლებინე. ბელიაევმა უარი მითხრა. უარმა მე ძალიან დამაღონა. ამის შესახებ იოსებმა გაიგო და დაბეჯითებით დამიწყო ლაპარაკი, რომ იმასთან ერთად წავსულიყავი ბელიაევთან და ხელმეორედ მეთხოვა. მე ვუარობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი გამოვიდოდა. იოსებმა ბოლოს მაინც დამიყოლია ბელიაევთან წასვლაზე და ისეთი სიმტკიცით, გაბედულობითა და დაჟინებით დაუწყო რწმუნება ზედამხედველს, რომ მან დასთმო".

იოსებ ბესარიონის-ძის სიმტკიცის, გაბედულობისა და სიყრმეში შეძენილ ცოდნათა სიძლიერის შესახებ წერს მოგონებებში პ. ადამიშვილი:

„მესამე კლასში არითმეტიკას გვასწავლიდა მასწავლებელი ილურიძე. ერთხელ, გაკვეთილის ახსნის დროს, ილურიძეს ამოცანის გამოყვანა სწორე ვერ მოუვიდა და პასუხს არ ესაბამებოდა. ამის გამო იგი შეკრთა. ჩვენ ეს ყველამ შევამჩნიეთ, მაგრამ მან

ი. ბ. სტალინი ყრმობის წლებში.

მოინდომა მდგომარეობიდან გამოსვლა, რათა ავტორიტეტი არ დაკარგოდა. მან აღიარა, ამოცანა სწორი არ არის და მისი გამოყვანა არ შეიძლებაო. იოსებ ჯუღაშვილი არ დაეთანხმა, აიღო ნებართვა, მივიდა დაფასთან და სწრაფად გამოიყვანა ამოცანა. მასწავლებელს მეტი აღარა დარჩენოდა, გარდა მისი ქებისა".

გორის სასულიერო სასწავლებელს საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მაგრამ წიგნები, უმეტესად რელიგიური შინაარსისა, მოწაფეთ არ აკმაყოფილებდა. იოსებ ბესარიონის-ძე ხშირად შესჩივლებდა ამხანაგებს, კარგ წიგნებს ვერ ვშოულობო. მაშინ უფროსი კლასის მოწაფე ლადო კეცხოველმა მოუთხრო მას გორში კალანდაძის კერძო ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ.

არსენ კალანდაძეს, რევოლუციური მოძრაობის მონაწილეს, გორში სტამბა, წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ჰქონდა. მის წიგნის მაღაზიაში იკრიბებოდა გორის მოწინავე ინტელიგენციის ჯგუფი.

ყრმა იოსებ სტალინი დაეწაფა წიგნების კითხვას და ხშირად დაიარებოდა ამ ბიბლიოთეკაში.

გორის სასულიერო სასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა დაამთავრა 1894 წელს, იმავე წლის შემოდგომაზე გადავიდა თბილისში და შევიდა სასულიერო სემინარიაში. ამ დროიდან დაიწყო 15 წლის სტალინის რევოლუციური ცხოვრება.

„რევოლუციონურ მოძრაობაში, — ამბობს ამხანაგი სტალინი. — მე ჩავები 15 წლის ასაკიდან, როცა დავუკავშირდი მაშინ ამიერკავკასიაში მცხოვრებ რუს მარქსისტების არალეგარულ ჯგუფებს. ამ ჯგუფებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე და შემაყვარეს არალეგარული მარქსისტული ლიტერატურა".

1894 წლიდან 1899 წლამდის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი სემინარიაში სწავლობდა. არდადეგებზე გორში დედასთან ჩამოდიოდა.

მთელი საათობით იყო იოსებ ბესარიონის-ძე არსენ კალანდაძის ბიბლიოთეკაში, ხვდებოდა ამხანაგებს გორის სასწავლებლიდან და ბაასობდა მათთან. არდადეგებს ამხანაგი სტალინი რევოლუციური მუშაობისათვისაც იყენებდა და გორში ორი მარქსისტული არალეგალური წრე მოაწყო.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის ერთ-ერთი მოწაფე მოგვითხრობს, რომ ერთხელ, არდადეგების დროს, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა, დატვირთული იყო,-რა თბილისში რევოლუციონური მუშაობით, თავის ახლო მეგობრებს დაავალა გორში პროკლამაცი-

СВИДѢТЕЛЬСТВО

Воспитанникъ Горійскаго духовнаго училища [illegible]
сынъ [illegible] Іосифъ [illegible] [illegible]
[illegible] крестьянскаго [illegible]
[illegible] дѣтей лишенъ [illegible]
[illegible] поступилъ в [illegible]
[illegible] первый классъ училища и при
[illegible] поведеніи (5)
сдалъ испытаніе:

По Священной исторіи Ветхаго Завѣта (5)
— — — Новаго Завѣта (5)
— Православному катихизису (5)
— Пѣнію [illegible] (5)
церковнымъ уставамъ (5)
Языкамъ: русскому съ церковно-славянскимъ (5)
греческому (5)
грузинскому (5)
— Грамматикѣ (4)
— Геометріи (5)
— Чистописанію (5)
Церковному пѣнію русскому (5)
и грузинскому (5)

[illegible]

[illegible]

По окончаніи полнаго курса ученія въ духовномъ училищѣ [illegible] 18[illegible] г. [illegible] переведенъ [illegible] въ первый разрядъ [illegible] училищъ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] полный курсъ ученія въ духовномъ училищѣ. (§ 124 ВЫСОЧАЙШЕ утв. 22 Августа 1881 г. Уст. дух. учил.)

По отправленіи полной повинности онъ пользуется льготами, предоставленными воспитанникамъ учебныхъ заведеній 3 разряда (ВЫСОЧАЙШЕ утв. 20-го Мая 1876 г. списокъ учебныхъ заведеній)

Въ удостовѣреніе чего и дано сей, [illegible] свидѣтельство отъ Правленія Горійскаго духовнаго училища за надлежащими подписями и приложеніемъ печати правленія. Горори 18[illegible] года [illegible] дня

Предсѣдатель училищнаго Правленія [illegible]
Смотритель училища [illegible]
Помощникъ Смотрителя [illegible]
Члены Правленія, учители [illegible]
Члены Правленія, Священники [illegible]
Члены Правленія, Священники [illegible]

ი. ბ. სტალინის მოწმობა გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (1894 წ.).

ები გაეკრათ. მათ უხაროდათ ამ დავალების მიღება, რადგან იცოდნენ, რომ პროკლამაციებს მთელი ქალაქი წაიკითხავდა.

ჩამოვიდნენ-რა გორში, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ამხანაგებმა გააკრეს არალეგალური ფურცლები.

ქალაქი აჩოჩქოლდა. გორის პოლიცია ფეხზე დადგა, დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ სემინარიელ ახალგაზრდათა ჯგუფის შეპყრობა ვერ მოახერხეს.

X

მრეწველობის კრიზისი, რომელიც XIX საუკუნის დამლევს ევროპაში გაჩნდა, რუსეთსაც მოედო. კაპიტალისტებმა მძაფრად დასწიეს ხელფასი, ქუჩაში ყრიდნენ აუარებელ მუშას.

კრიზისის პერიოდში რუსეთში 1900—1903 წლებში მუშათა მოძრაობამ გაძლიერება იწყო და სულ უფრო და უფრო რევოლუციურ ხასიათს ღებულობდა.

რევოლუციონური მოძრაობა საქართველოში დააფუძნა და სათავეში ჩაუდგა ამხანაგი სტალინი, რომელმაც გრანიტის საფუძველი ჩაუყარა ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

„საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი არის ამხანაგი სტალინი ამხ. ს. წულუკიძესთან, ლადო კეცხოველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, პირველ რიგში ქართველი „ლეგალული მარქსისტების“ წინააღმდეგ („მესამე დასის“ უმრავლესობასთან, ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძის და სხვ. მეთაურობით) ბრძოლაში ჩაისახნენ და გაიზარდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები“ (ლ. ბერია, „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საკითხისათვის“).

ამხანაგ სტალინის ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად 1898 წელს თბილისში რკინისგზის სახელოსნოებში პირველად იქნა მოწყობილი დიდი გაფიცვა და შემდეგ მთელი რიგი დიდი გაფიცვები თბილისის სხვა სამრეწველო წამოწყებებში.

ამხანაგმა სტალინმა და კეცხოველმა, მოწინავე მუშების დახმარებით, მოაწყეს ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალური ბეჭდვა და გავრცელება თბილისსა და ამიერ-კავკასიაში.

ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით 1901 წლის 22 აპრილს თბილისის მუშებში ჩატარებულ იქნა პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც პოლიციასთან შეტაკებით დამთავრ-

და. პირველად კავკასიაში მოხდა აშკარა შებრძოლება ძველ წყობილებასთან.

„ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ — აღნიშნავს ლენინური „ისკრა“, აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას თბილისის პროლეტარიატის პოლიტიკური აქტიობის ზრდას.

იმავ წლის დამლევს, 11 ნოემბერს, ამხანაგ სტალინის ინიციატივით მოწვეულ იქნა თბილისის პირველი კონფერენცია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 25 დელეგატმა — წარმომადგენლებმა თბილისის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიულ წრეებისა. ამ კონფერენციაზე არჩეულ იქნა რ. ს.-დ. მ. პ. თბილისის კომიტეტი, ლენინურ ისკრული მიმართულებისა, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდა ამხანაგი სტალინი.

მალე ამის შემდეგ ამხანაგი სტალინი თბილისის კომიტეტის დავალებით გაემგზავრა ბათუმში ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობისათვის მუშებს შორის.

მოკლე ვადაში შექმნილ იქნა მთელ რიგ მსხვილ წარმოებებში სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეები, ჩამოყალიბებულ იქნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ჩატარებულ იქნა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი.

ბათუმის ისტორიულმა დემონსტრაციამ 1902 წლის 9 მარტს უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციონური მოძრაობის ზრდაზე.

ამხანაგ სტალინის მიერ 1902 წლის ივნისში ბათუმის ციხეში დაწერილი სტალინური პროკლამაცია 9 მარტის ამბების შესახებ, რომელიც მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს რევოლუციურ ბრძოლისაკენ, და ცეცხლოვანი ფურცლები ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფისა ფართოდ ვრცელდებოდა მუშათა და გლეხთა შორის.

ბათუმიდან გამოსახლებული მუშები სოფლებში გამოდიოდნენ, როგორც ლენინურ-სტალინური იდეების პროპაგანდისტები. მათმა პროპაგანდამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა გორისა და გორის მაზრის მშრომელთა შორის. სოფლებში გრძელდებოდა გლეხთა მღელვარებანი, საჭირო იყო გლეხთა რევოლუციონურ გამოსვლებს ორგანიზებული ფორმები მისცემოდა. ამას ხელი მოჰკიდა რ. ს.-დ. მ. პ. გორის ორგანიზაციამ. იგი შექმნილი იყო 1902 წელს რევოლუციონური სოციალ-დემოკრატების — “ისკრელების“ სიკო ალიმ-

ბარაშვილისა და გიორგი ელისაბედაშვილის აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით.

სიკო ალიმბარაშვილი გორში ცხოვრობდა, გიორგი ელისაბედაშვილი-კი ბათუმიდან ჩამოვიდა, სადაც იგი ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

როდესაც 1902 წლის 5 აპრილს ი. ბ. სტალინი დაპატიმრებული იყო მეფის მთავრობის მიერ, ბათუმის ციხიდან მან კავშირი დაამყარა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავისუფლად დარჩენილ წევრებთან და მათ მუშაობას წარმართავდა.

ი. ბ. სტალინის დაპატიმრების შესახებ 1902 წლის აპრილში ბათუმის მოწინავე მუშებმა აცნობეს ეკატერინე გიორგის ასულ ჯუღაშვილს, გადასცეს მას სტალინის დარიგებანი, თუ რა ჩვენება უნდა მიეცა მას, თუ პოლიცია დაჰკითხავდა.

ბათუმის ჟანდარმთა როტმისტრის ეფთ მოხსენებაში ლაპარაკია, რომ „8 ამა აპრილს, მნახველებთან პატიმართა შეხვედრის დროს, ერთი პატიმრის მიერ გადმოგდებული იყო ციხის ეზოში 2 წერილი, ერთ მათგანში წერილის ავტორი სთხოვს უცნობ ადრესატს „გადასცეს გორში, რომ „სოსო ჯუღაშვილი დაპატიმრებულია". აგრეთვე „ახლავე აცნობეთ ამის შესახებ დედას, იმ შემთხვევაში, თუ ჟანდარმებმა ჰკითხეს შენი შვილი გორიდან როდის წამოვიდაო, უთხრას: „მთელ ზაფხულსა და ზამთარს, 15 ამა მარტამდის, აქ იყო (გორში)...

მეორე წერილში-კი ავტორი სთხოვდა ვიღაც ილარიონს! „თუ თბილისში გაგზავნილი კაცი ჩამოვიდა, უთხარი, რომ გიორგი ელისაბედოვი ჩამოიყვანოს და მასთან ერთად გაუძღვეს საქმეს".

პირველი წერილის შედარებიდან ჯუღაშვილის ამა თვის აპრილის 6 რიცხვის დაკითხვასთან, ნათლად ჩანს, რომ ამ წერილების ავტორი უდაოდ ჯუღაშვილია".

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველომ გაჩხრიკა გორში ეკატერინე გიორგის ასულის ჯუღაშვილის ბინა და დაჰკითხა იგი.

ამხანაგ სტალინის მითითებით გორის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გაშალა. ორგანიზაციაში მყოფი „ლეგალური მარქსისტები" იძულებული გახდნენ გვერდზე გადამდგარიყვნენ. ალიმბარაშვილმა და ელისაბედაშვილმა მთელი მაზრა მოიარეს და შეამჭიდროვეს რევოლუციური მუშები და გლეხები. თვით გორში, უფრო გვიან, ჩამოყალიბებულ იქნა არალეგალური წრე.

გორის ისტორიასა და გორის მაზრაში რევოლუციურ მოძრაო-

ბასთან დაკავშირებულია ცხოვრება და მოღვაწეობა ამხანაგ სტალინის თანამებრძოლისა და მეგობრისა ლადო კეცხოველისა, რომელიც შეუდრეკელი მებრძოლი იყო მუშათა კლასის საქმისათვის.

მეფის ჯალათებმა მხეცური საქმე მოიმოქმედეს, მოჰკლეს რა მეტეხის ციხეში ლადო კეცხოველი წინასწარ მოფიქრებული სისხლიანი გეგმით. მკვლელობა სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც გორიდან ჩამოიყვანეს დაპატიმრებულ ამხანაგთა ჯგუფი, მათ შორის სიკო ალიმბარაშვილიც. ლადო მიესალმა მეგობრებს ციხის საკნის ფანჯრიდან და ამ დროს იგი განგმირული იქნა მტრის ტყვიით.

1903 წელს გორის მაზრის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ადგილში და თვით გორშიც მაისობები იქნა ჩატარებული.

1903 წლის საყოველთაო გაფიცვამ სამხრეთ რუსეთში, რომელმაც ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები მოიცვა და მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის უდიდესი როლი ითამაშა, დიდი თანაგრძნობა და მხარის დაჭერა ჰპოვა გორის მაზრის მშრომელთა შორის.

ერთსა და იმავ დღეს თბილისის მუშებთან ერთად გაიფიცნენ რკინისგზელი მუშები მიხაილოვოში (ხაშური). პოლიციასთან შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა მემანქანე ს. ტიტვინიძე, მუშა რევოლუციონერი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას დახმარებას უწევდა არალეგალური ლიტერატურის გადატან-გადმოტანაში. ს. ტიტვინიძის დაკრძალვა მუშათა მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

1903 წლის 7 ნოემბერს გორში დანიშნული იყო სასამართლოს მიერ გარჩევა „საქმისა ამიერ-კავკასიის რკინისგზის სად. მიხაილოვოში მომხდარი არეულობის შესახებ“.

ჟანდარმერიამ გაიგო, რომ ამ დღისათვის გორში, პოლიტიკური დემონსტრაციის ჩასატარებლად, ჩამოსვლას აპირებდნენ თბილისის და მიხაილოვოს მუშები. გააძლიერეს სასამართლოს დაცვის ღონისძიებები და გორში გამოგზავნეს ერთი როტა ქვეითი ჯარი.

7 ნოემბერს თბილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოს მუშებს შორის და გორის ქუჩებში დიდი ოდენობით ვრცელდებოდა რ. ს.—დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის პროკლამაციები „ჩვენს ამხანაგებს ასამართლებენ“.

ლენინის „ისკრაში“ 1903 წლის 1 აგვისტოს მოთავსებული იყო კორესპონდენცია თბილისიდან, სადაც იტყობინებოდნენ, რომ „კავკასიაში გასაოცარი ამბები ხდება: მოძრაობა იცავს სულ უფრო და უფრო ფართე მასებს“ და რომ გორიც კი არ დარჩა ყრუ პოლიტიკური ბრძოლისადმი“...

საყოველთაო გაფიცვა ამიერ-კავკასიაში იყო შედეგი ამხანაგ სტალინისა და სტალინური რევოლუციონური ბრძოლის სკოლას გავლილ რევოლუციონური სოციალ-დემოკრატების წინამავალი მუშაობისა.

1904 წლის დამდეგს,- ირკუტსკის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ, ამხანაგი სტალინი რამდენიმე ხნით გორში, დედასთან, ცხოვრობდა არალეგალურად. მის გორში ყოფნას იგონებს ვანო კეცხოველი.

„1904 წელს, — მოგვითხრობს იგი, — მე გორის ორგანიზაციაში ვმუშაობდი. იმ დროს გორში ცხოვრობდა ამხანაგი სტალინის დედა. მისი ოთახი ისეთი პატარა იყო, რომ ცალპირად მდგარი საწოლი, კამოდი, მაგიდა, ორი ფეხმოტეხილი სკამით და კიდევ პატარა სკივრით გასასვლელ ადგილს ძლივსა ტოვებდა. კამოდთან იდგა თითბრის სამოვარი, ოთახის იატაკი აგურისა იყო. ოთახს ერთი დარკიწული ფანჯარა ჰქონდა. ამხანაგ სტალინის დედას დროგამოშვებით ვნახულობდი ფულადი დახმარების გადასაცემად, რომელსაც ვაგროვებდით ჩვენს რევოლუციონურ წრეში.

მახსოვს, აპრილის ერთ მზიან დღეს მივედი ეკატერინე გიორგის ასულთან ფულის გადასაცემად. ოთახის კარები რომ შევაღე, ვნახე საწოლზე მწოლარე ამხანაგი სტალინი, რომელიც წიგნს კითხულობდა. ძალზე გამხდარიყო. გორში თითქმის არავინ იცოდა მისი იქ ყოფნა. გამომკითხა ჩვენი მუშაობის ამბები... ამხანაგი სტალინი იმედიანობდა, რომ მალე გამოკეთდებოდა, მოშორდებოდა გორს და შეუდგებოდა თავის საყვარელ მუშაობას“.

ახლოვდებოდა ტრადიციული პროლეტარული დღესასწაული — მაისობა. გორში მაისობა მოწყობილ იქნა ქალაქგარეთ, მთაზე. ასწიეს წითელი დროშა. მაისობაზე გამოსულებმა მოიგონეს დაღუპული ამხანაგები, ლადო კეცხოველი და სხვანი. მოუწოდებდნენ რევოლუციონური ძალების შემჭიდროებისაკენ, მეფის წყობილების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ. მაისობას გორის სასწავლებლის მოწაფეებიც დაესწრნენ. მოწაფეთა შორის რევოლუციონური მუშაობა გორში ფართოდ წარმოებდა. მოწაფეები მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციებსა და გაფიცვებში. მარქსისტულ წრეს სამოქალაქო სასწავლებელში ხელმძღვანელობდა სტუდენტი მელიქოვი, რომელიც შემდგომ, 1906 წელს, გორში ჭლექით გარდაიცვალა.

გორში 1904 წლის შემოდგომაზე დემონსტრაცია იქნა მოწყობილი, მასში მონაწილეობა მიიღეს ჯარში გასაწვევმა ახალწვეულებმა, რომლებიც სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოვიდნენ გორში.

რ. ს. დ. მ. პ. კომიტეტის აგიტატორებმა მათ შორის არალეგალური წინასწარი სააგიტაციო მუშაობა ჩაატარეს რუსეთ-იაპონიის ომისა და ცარიზმის მტაცებლური გეგმების შესახებ. ბაზრის მოედნიდან დემონსტრანტები მთავარი ქუჩისაკენ გაემართნენ. ასწიეს წითელი დროშა. ავრცელებდნენ პროკლამაციებს. ისმოდა წამოძახილები: „ძირს ომი, ძირს სალდათობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!“ გაჩნდნენ პოლიციელები და იწყეს დემონსტრაციის დაშლა. დემონსტრანტებმა სასროლი იარაღი იხმარეს. პოლიციამ ვერც ერთი დემონსტრანტის დაპატიმრება ვერ მოახერხა.

1905 წელი აღინიშნება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის ფართოდ გაშლით.

„საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორის, თბილისისა და თელავის მაზრები), განსაკუთრებით გურიაში (ოზურგეთის მაზრა); გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყებები ხდებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები — რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული აჯანყების ორგანოები — ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადის გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოებისა და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს“. (ლ. ბერია „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“).

პირველსავე ნომერში ლენინის გაზეთისა „პროლეტარი“, რომელიც 1905 წელს ჟენევაში გამოდიოდა, მოთავსებული იყო კორესპონდენცია გორიდან. „გლეხთა მოძრაობამ,—ნათქვამია წერილში, — ერთბაშად მოიცვა ჩვენი მაზრის ყველა სოფელი. იმ ადგილებში, სადაც ჩვენმა ამხანაგებმა მიასწრეს, მოძრაობამ შეგნებული მიმართულება მიიღო: ბუენებდნენ მოთხოვნებს, როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს... დასაწყისში მოძრაობა გამოიხატა ცეცხლის წაკიდებასა და ტყის გაჭრაში... ამის შემდეგ დიდი მოთხოვნილება იყო კარგ ხელმძღვანელზე და აი აქ მხოლოდ იწყეს მოქმედება ჩვენმა ამხანაგებმა. სოფლის კრებები გარეთ იმართებოდა, 80 — 100 და 1000 კაცისაგან შემდგარი; მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან, 10-15 ვერსის მანძილზე... კრებები ტარდებოდა გორის მაზრის ყველა სოფლებში. ორატორები წმინდა პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკობდნენ, კრებებზე ესწრებოდნენ ახალგაზრდები და ბებრები, ქალები და ბავშვებიც“.

რ. ს.-დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტი აქტიურ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა.

გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის წარმატების ამბავს

თვით მეფის მოხელენიც ვერ მალავდნენ. გორის მაზრის უფროსი თავის მოხსენებაში თბილისის გუბერნატორს 1905 წლის თებერვალში სწერდა: „არეულობა, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს შიგნით ჩაისახა და ფართო ტალღით დაფარა მეზობელი ქუთაისის გუბერნია, ჩემდამი რწმუნებულ მაზრამდისაც მოაღწია. გლეხების სულისკვეთება დღითიდღე უფრო და უფრო მღელვარე ხდება. მიმართულება ისეთივე ემჩნევა, როგორც ზემოთ აღნიშნულ გუბერნიაში. პროპაგანდა ბოროტმომქმედ ხალხთა, რომლებიც არსებული წესწყობილებისადმი მტრულად არიან განწყობილნი, გლეხობაში ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს. არსებული წესით მისი წინააღმდეგობა შეუძლებელი ხდება. აგიტაცია წარმოებს და პროპაგანდა ვრცელდება იმდენად საიდუმლოდ და ფრთხილად, რომ პოლიციასა და საგამომძიებლო ორგანოებს საშუალება და საბუთი არ ეძლევათ სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემისა“....

რევოლუციური პროპაგანდის შედეგები აღნიშნულია იმავე მოხსენებაში: „სოფელ კავთისხევში თბილისიდან ჩამოვიდა რამდენიმე მუშა, რის შემდეგ რამდენიმე დღეში ფეხზე დადგა მშვიდი ადგილობრივი მოსახლეობა. ისე ააგულიანეს, რომ ჩემ მიერ შეიარაღებული მცველებით მიღებულმა ზომებმა ვერავითარი შედეგი ვერ მოგვცა. ყველა ერთს გაიძახის: „გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს თავისუფლებას“. მამასახლისი გააგდეს და უბრძანეს არ დაბრუნდეს სოფელში, თუ არა როგორც ჩვეულებრივი გლეხი“.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მუშებსა და გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისათვის ამზადებდნენ.

„ბოლშევიკები რევოლუციის დასაწყისიდანვე იცავდნენ და ატარებდნენ რევოლუციის ლენინურ. სტრატეგიასა და ტაქტიკას, ისინი იბრძოდნენ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის“. (ლ. ბერია. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“).

ამხანაგი სტალინის მიერ დაწერილი მოწოდება რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტისა, — „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“ მთელი რევოლუციური გატაცებით მოუწოდებდა ცარიზმთან შეურიგებელი ბრძოლისაკენ, შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. მომაკვდინებელ კრიტიკას უწევდა რა ბატონ-ლიბერალებს, რომლებიც ცარიზმს ხვეწნა-მუდარით სთხოვდნენ რაიმე შემწეობას, წვრილ რეფორმებს, ამხანაგი სტალინი წერდა:

„დიახ, დროა **დავანგრიოთ** მეფის მთავრობა და ჩვენ **დავანგრევთ** მას! ამაოდ ცდილობენ ბ-ნი ლიბერალები იხსნან მეფის შერყეული ტახტი! ამაოდ უწვდიან მეფეს ხელს საშველად! ისინი ცდილობენ გამოსთხოვონ მას რაიმე მოწყალება მაინც და დაითანხმონ თავისი „კონსტიტუციის პროექტზე", რათა, გაიკაფავენ რა გზას პოლიტიკური ბატონობისაკენ წვრილი **რეფორმებით**, გადააქციონ მეფე თავის იარაღად, შესცვალონ მეფის თვითმპყრობელობა ბურჟუაზიის თვითმპყრობელობით და, შემდეგ, სისტემატურად ახრჩონ პროლეტარიატი და გლეხობა!

მეორე მხრით, ხალხის აბობოქრებული მასები ემზადებიან **რევოლუციისათვის** და არა მეფესთან შერიგებისათვის; ისინი მტკიცედ ადგანან ანდაზას: „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო".

დიახ, ბატონებო, თქვენ ამაოდ ცდილობთ. რუსეთის რევოლუცია გარდუვალია, და იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! შეგიძლიათ თუ არა ამომავალი მზის შეჩერება? — აი რაშია საკითხი! **ამ რევოლუციის მთავარ ძალას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, მის მედროშეს კი — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია** და არა თქვენ, ბ-ნო ლიბერალებო! რატომ გავიწყდებათ ეს აშკარა „წვრილმანი"? დიახ, დროა შური ვიძიოთ!"

მოწოდება მთავრდება სიტყვებით: „მაშ, წინ, ამხანაგებო! როდესაც მეფის თვითმპყრობელობა მერყეობს, ჩვენი მოვალეობაა ვემზადოთ გადამწყვეტი შეტევისათვის! დროა შური ვიძიოთ!"

ამ სტალინურმა მოწოდებამ, რომელიც 1905 წლის იანვარში გამოვიდა, დიდი გამოძახილი ჰპოვა ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის. ქართლში ამხანაგ სტალინის იდეით იწყება შეიარაღებული წითელი რაზმების მოწყობა.

გორის მაზრის მოსახლეობის „დასამშვიდებლად" კავკასიის მეფის ნაცვალმა მაზრაში გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელიც დადიოდა სოფლებში და მართავდა სოფლის კრებებს.

ამ კომისიის მოგზაურობა ხელსაყრელად გამოიყენეს ადგილობრივმა რევოლუციურმა ორგანიზაციებმა. სოფლის კრებებზე პოლიტიკური მოთხოვნებებით გამოდიოდნენ მოწინავე გლეხები და ამ გამოსვლებს, ცხადია, დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთი კრება, უკვე კომისიის წასვლის შემდეგ, დიდ მიტინგად იქცეოდა. მაგალითად, ერთ ასეთ მიტინგზე სოფელ დგვრისში მონაწილეთა რიცხვმა 15 ათას კაცამდის მიაღწია. ამ მიტინგზე ერთმა გლეხმა თქვა: „არ გვინდა მამასახლისი, მწერალი, აქციზი, სტრაჟნიკები, რომლებმაც სული ამოგვართვეს, გაგვაღატაკეს, ცოლ-შვილი

შიმშილ-სიცივით, უექიმოდ — უწამლოდ გვეხოცება, პირდაპირ უკანასკნელ ლუკმას გვგლეჯენ და ისიც კიდევ პოლიციის მათრახის ცემა-ტყეპით, დარბევა-დაწიოკებით. აღარ შეგვიძლიან მოვითმინოთ მუდამ მწუხარება, მუდამ ტირილ-შიმშილი და სიცივე. მართალია, დღემდის, როგორც სხვებს, გვითმენია ყოველივე მწუხარება, მაგრამ რაკი სხვა ქვეყნებში ჩვენსავით ტანჯულებმა დაჰკრეს ზარი თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჩვენც იმ ზარის ხმისაკენ მივიწევთ, იმ ზარის ხმა გვაღვიძებს".

1905 წლის მარტში გორში დიდი დემონსტრაცია იქნა მოწყობილი. რ. ს.-დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის მოწოდებით მოქალაქენი შეიკრიბნენ ქალაქგარეთ, მდიდარ ამიროვის მინდორზე, გადაწყდა ჩამოერთვათ პატრონისათვის ეს მინდორი. მინდორი ჩამორთმეულად გამოაცხადეს და შემდეგ მოქალაქენი ორგანიზებულად, წითელი დროშებით, უკან გამოემართნენ. შეხვდნენ სამხედრო პატრულს და განიარაღების მიზნით მას გარს შემოერტყნენ. პატრულმა ესროლა დემონსტრანტებს. იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი.

როდესაც ქალაქში მუშების, ხელოსანთა შეგირდებისა და ნოქრების გაფიცვები ტარდებოდა, ამ შემთხვევებში ვაჭრობა სრულიად წყდებოდა. ვაჭრებს აძალებდნენ დუქნები დაეკეტათ. გაფიცვები პოლიტიკური ლოზუნგებით ტარდებოდა.

მაზრაში ზოგიერთ ადგილს ფაქტიურად უქმდებოდა მთავრობის ადმინისტრაცია და ამორჩეულებით იცვლებოდა. გლეხები რეკავდნენ მემამულეებს, რევოლუციონური წესით ეუფლებოდნენ მიწასა და ტყეს.

„გლეხთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა რუსეთის ცენტრში, პოვოლჟიეში, ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში.

სოციალ-დემოკრატებმა სულ უფრო და უფრო ღრმად იწყეს შეჭრა სოფელში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა გლეხებისადმი: „გლეხებო, ჩვენი სიტყვა თქვენდამია მომართული". ტვერის, სარატოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, ეკატერინოსლავის, თბილისისა და მრავალი სხვა გუბერნიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები აქვეყნებდნენ მოწოდებებს გლეხებისადმი. სოფლად სოციალ-დემოკრატები მართავდნენ კრებებს, აწყობდნენ წრეებს გლეხებისაგან, ჰქმნიდნენ გლეხთა კომიტეტებს. 1905 წლის ზაფხულში მთელ რიგ ადგილებში ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშათა გაფიცვები, რომლებიც მოწყობილი იყო სოციალ-დემოკრატების მიერ". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", მოკლე კურსი).

მემამულენი ძალიან შეფიქრიანებული იყვნენ გლეხთა მასობრივი გამოსვლებით და მთავრობის ორგანოებს დახმარებას სთხოვდნენ. ნებდა რა მემამულე გენერალ-ადიუტანტი ი. ამილახორი, ატყობინებდა რა თბილისის ვიცე-გუბერნატორს რევოლუციონურ მღელვარებათა შესახებ გორის მაზრაში, სწერდა: „...როგორც ადგილობრივი აზნაური და მემამულე, მოვმართავ თქვენს აღმატებულებას თხოვნით მიიღოთ საჭირო ზომები, რათა აცილებულ იქნას შეაირაღებული ბრძოლა მემამულეთა და გლეხთა შორის და გორის მაზრაში წესრიგი დამყარდეს...“

რევოლუციონური გამოსვლების ჩასახშობად მაზრაში ჯარი მოიყვანეს (პლასტუნები).

რევოლუციონური გლეხობა, აწყობდა-რა თავის წითელ რაზმებს, არაფრის წინ არ ჩერდებოდა, რომ იარაღი ეშოვნა. ართმევდა იარაღს მთავრობის მოხელეებსა და მემამულეთ.

იგივე ამილახორი თავის მოხსენებაში მეფის ნაცვლისადმი აღნიშნავს ამ ფაქტებს: „31 ივლისს 4 ბოროტმოქმედი თავს დაესხა კავთისხევის ახლოს მოურავ ლუკა ლაზარიშვილს და ბერდანკა წაართვეს... 6 აგვისტოს 30 შეიარაღებული მეჯვრისხევში თავს დაესხა აზნაურ ჩიკოიძეს, წაიღეს ორი თოფი და მიიმალნენ... 7 აგვისტოს სოფ. ხურვალეთში 15 კაცმა იარაღი წაართვა აზნაურ ლავრენტი ქარუმიძეს და თავად გიორგი ამირაჯიბს... 8 აგვისტოს 8 შეიარაღებული ცხენოსანი დაესხა რუსის სოფლის მამასახლისს ივანე ბუზიაშვილს, მოსთხოვეს მას იარაღი, რაც ჩაბარებულ იქნა“...

ხედავდა-რა, რომ გორის მაზრაში რევოლუციურმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, კავკასიის მეფეს ნაცვალმა ცალკე საგენერალგუბერნატოროდ გამოყო გორისა და მეზობელ დუშეთის მაზრა. გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები და მთელი ძალა-უფლება გადაეცა 77 ტენგინის პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ ალფტანს.

ალფტანმა დაიწყო ჯარების შეგროვება რევოლუციონური მოძრაობის ჩასახშობად. ამ დროს გორის მაზრაში მემამულე გ. ამილახორმა მოაწყო ეგრეთწოდებული „შავი რაზმი“ — კონტრრევოლუციონური შეიარაღებული ბანდა თავადთა და აზნაურთაგან. რაზმს მეთაურობდა აზნაური აბდუშელიშვილი.

ეს „შავი რაზმი“ მეფის ადმინისტრაციის ლოცვა-კურთხევითა და დახმარებით იქნა მოწყობილი. პოლკოვნიკი ალფტანი თავის მოხსენებაში კავკასიის მეფის ნაცვალს ატყობინებდა, რომ აზნაურთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა მას მიმართა ნებართვისათვის, რომ თავისი წრიდან მოაწყონ შეიარაღებული ცხენოსანთა რაზმი

და ეს რაზმი მთავრობის ორგანოების განკარგულებაში გადასცენ რევოლუციონური გამოსვლების ჩასახშობად.

თავად-აზნაურთა „შავი რაზმის“ თავხედობამ გლეხობის სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია. გამოცხადებულ იქნა ბოიკოტი ყველასადმი, ვისაც-კი „შავ რაზმთან“ რაიმე საქმე ექნებოდა. გაძლიერებული წითელი რაზმები ყოველი საშუალებებით სარგებლობდნენ, რომ იარაღი ჩამოერთმიათ „შავი რაზმის“ მონაწილეთათვის. შეტაკებათა დროს თავად-აზნაურნი არც თუ დიდ გულადობას იჩენდნენ. ისინი მამაცნი იყვნენ მხოლოდ მაშინ, როცა უქმამგო გლეხებს დაეცემოდნენ და როცა მოსახლეობას ძარცვავდნენ.

პოლკოვნიკმა ალფტანმა მოიფიქრა მთელი მაზრა ჯარით მოევლო და ამ საშუალებით დაეპატიმრებინა ყველა „არასაიმედო“ და „წამქეზებელნი“.

დამსჯელი რაზმები ჩხრეკდნენ ყველა სოფელს. წითელრაზმებში გაერთიანებული მუშები და გლეხები მათ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ. წითელ რაზმებთან შეტაკების დროს დამსჯელებს რამდენიმე ათეული კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

პოლკოვნიკი ალფტანი ერთს თავის მოხსენებაში კავკასიის მეფის ნაცვლისადმი წერდა, რომ რევოლუციონური იდეების პროპაგანდისტები არ კმაყოფილდებიან მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებითა და პროკლამაციების გავრცელებით და სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რევოლუციონერები გლეხების შეგნებაში ნერგავენ არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობის იდეას; დააჯერეს გლეხები, რომ მთელი მიწები მათ უნდა ეკუთვნოდეთ. ალფტანი აღნიშნავდა ხალხის შურისძიების ცალკეულ აქტებს მაზრის სხვადასხვა სოფელში: დაბა ცხინვალში მძიმედ დაჭრეს მემამულე მაჩაბელი. მოსახლეობას ისე სძულდა ეს მაჩაბელი, რომ არც ერთი მეეტლე არ დათანხმდა დაჭრილი შინ წაეყვანა. ექიმს აუკრძალეს საექიმო დახმარების გაწევა. აფთიაქში წამალი არ მისცეს. ფერშალმა უარი თქვა ჭრილობების შეხვევაზე. სად. მიხაილოვოში (ხაშური) მოჰკლეს ჩაფარი ტკაჩენკო. იგი ბაზრის მოედანზე მოჰკლეს. პოლიციის ცნობა ამბობს, რომ მას მოხსნეს ბრაუნინგი და 400 მანეთ ფულს-კი, რომელიც მას ჯიბეზე ჰქონდა, ხელი არ ახლეს. გორში თავადი ციციანოვი მოჰკლეს. რკინისგზელებმა უარი განაცხადეს რკინისგზაზე გადასაზიდად მიეღოთ კუბო ციციანოვის გვამით.

გორის მაზრაში დააპატიმრეს და ადმინისტრატიული წესით შიდა რუსეთში გადაასახლეს რამდენიმე ასეული რევოლუციონე-

რი. რეპრესიების საპასუხოდ გორში გაფიცვა მოაწყეს. მთავრობა მძვინვარებდა და მოიფიქრა მთელი სოფლების შიდა რუსეთში გადასახლება. მოხსენებაში მეფის ნაცვლისადმი 1905 წლის 13 სექტემბერს პოლკოვნიკი ალფტანი წერდა: „ზოგიერთ სოფლებში მკვლელობაში ან რევოლუციონურ პროპაგანდაში დამნაშავე პირთა მთავრობის მოთხოვნით გაცემაზე დაჟინებითი და მასობრივი უარის თქმა, ამ პირთა დაფარვა, აგრეთვე ყაჩაღური ბრბოების დანაშაულებრივი მოქმედებისადმი ხელის შეწყობა ბევრი სოფლების მიერ და, დაბოლოს, სრული უსურველობა ზოგიერთი სოფლებისა იცნონ მთავრობის ავტორიტეტი, — მაიძულებს მე მივმართო უსაჭიროეს ღონისძიებას, სახელდობრ, მთელი სოფლების გადასახლებას“.

მიუხედავად რეპრესიებისა, რევოლუციონური მოძრაობა უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა.

„1905 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში მასების რევოლუციური ბრძოლა კვლავ უდიდესი სიძლიერით ვითარდებოდა. გრძელდებოდა მუშების გაფიცვები.

გლეხთა ბრძოლამ მემამულეების წინააღმდეგ 1905 წლის შემოდგომაზე ფართო ხასიათი მიიღო. გლეხთა მოძრაობით მოცული იყო მთელი ქვეყნის მაზრათა მესამედზე მეტი. სარატოვის, ტაბოვის, ჩერნიგოვსკის, თბილისის, ქუთაისისა და ზოგიერთ სხვა გუბერნიებში მოდებული იყო ნამდვილი გლეხური აჯანყებები. და მაინც გლეხთა მასების შეტევა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. გლეხთა მოძრაობას აკლდა ორგანიზებულობა და ხელმძღვანელობა.

გაძლიერდა მღელვარება ჯარისკაცთა შორისაც მთელ რიგ ქალაქებში — თბილისში, ვლადივოსტოკში, ტაშკენტში, სამარყანდში, კურსკში, სოხუმში, ვარშავაში, კიევში, რიგაში. იფეთქა აჯანყებამ კრონშტატში და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა შორის სევასტოპოლში (1905 წლის ნოემბერში). მაგრამ ეს აჯანყებები ერთმანეთისაგან განცალკევებული იყო და ჩაქრობილ იქნა ცარიზმის მიერ“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, მოკლე კურსი).

1905 წლის 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტის შემდეგ, რომელიც მაცდური მანევრი იყო ცარიზმისა, მშრომელთა შესამჩნევი დემონსტრაციის ზეგავლენით, გორის ციხიდან გაათავისუფლეს დაპატიმრებული რევოლუციონერები. გორელებმა ქალაქის თვითმართველობის ახალი ხმოსნები აირჩიეს. ახალმა თვითმართველობამ მოაწყო მილიცია, მოაწესრიგა სურსათის მიწოდება მოსახლეობისათვის. სოფლებში ძალა-უფლება არჩევის წესით მოეწყო.

რ. ს.-დ. მ. პ. გორის კომიტეტს ეკავა გეზი შეიარაღებული აჯანყებისაკენ. გორში შექმნილი იყო სპეციალური სამხედრო ორგანიზაცია. გორის კომიტეტთან კონტაქტში მუშაობდა არტილერიის ოფიცერი, გორის მცხოვრები ვლადიმერ ენგელმანი. იგი აპირებდა აჯანყების მომენტში გორის ციხეზე აეტანა თავისი საარტილერიო ბატარია, რათა იქიდან ცეცხლი დაეშინა იმ ჯარის ნაწილებისათვის, რომლებიც არ გამოვიდოდნენ რევოლუციის მხარეზე.

ჯარისკაცთა ჯგუფი კომიტეტს უნდა დახმარებოდა ხაზინის დაკავებაში; მეორე ჯგუფს იარაღის საწყობი უნდა დაეკავებინა და იარაღი კომიტეტის განკარგულებაში გადაეცა.

ლონდონში 1905 წლის აპრილში შემდგარმა რ. ს.-დ. მ. პ. III ყრილობამ საგანგებოდ აღნიშნა უდიდესი თვალსაჩინო როლი რევოლუციაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში: „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა“ დაახასიათა რევოლუციური ძალების მდგომარეობა კავკასიაში: „ჩვენ გაგვისწრეს ამ მხრივ კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცილდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული“.

„ამ დროს ამხ. სტალინი უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამიერ-კავკასიაში.

ამხ. სტალინი ამხილებდა და ანადგურებდა მენშევიკებს, როგორც რევოლუციისა და შეიარაღებული აჯანყების მოწინააღმდეგეებს. ის მტკიცედ ამზადებდა მუშებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში შემდგარ მიტინგზე ამხ. სტალინი ეუბნებოდა მუშებს:

„რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი — ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, მოკლე კურსი).

ამხანაგი სტალინი მთელ რიგ სტატიებსა და პროკლამაციებში პროპაგანდას ეწეოდა-რა რევოლუციონურ შეიარაღებული ბრძოლის სასარგებლოდ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, დაუნ-

დობლად ანადგურებდა მენშევიკებს, რომელნიც, უარყოფდნენ რა შეიარაღებული აჯანყების საჭიროებას რევოლუციონური მთავრობის შესაქმნელად, წინადადებას იძლეოდნენ დავკმაყოფილებულიყავით ცარიზმის მიერ გადმოგდებული ნაწილობრივი „რეფორმებით“.

გორის ბოლშევიკები უკუეევად ატარებდნენ ცხოვრებაში ამხანაგ სტალინის მითითებებს და ააშკარავებდნენ მენშევიკებს, რომლებიც ხალხის შეიარაღებისა და წითელი რაზმების აქტიური მოქმედების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

XI

სტოლიპინის რეაქციის დაწყებისას თავი წამოყვეს გორის მაზრიდან გაქცეულმა მემამულეებმა, თავად-აზნაურობამ და კულაკობამ.

გორის მცხოვრებს ახალბედაშვილს მოჰყავს თავის მოგონებაში სასტიკი რეპრესიების სურათი. გორის მაზრის სოფელ ბერშუეთში დანიშნულმა მამასახლისმა მოსთხოვა სოფლის რევოლუციონერთა და წითელი რაზმის მეთაურის ვანო ქრისტესიაშვილის გაცემა. მიზანს ვერ მიაღწია და გლეხობას წამება დაუწყო. მან სუსხიან ზამთარში გლეხები წყალში ჩააყენა და გარს ჩაფრები შემოასია: ვინც წყლიდან გამოხვალთ, გესვრითო. შემდეგ სიკვდილის მუქარით გლეხები საბძელში ჩაამწყვდიეს. ამის შემდეგ ბევრი მაგანი ავად გახდა და გარდაიცვალა, მაგრამ თავისი მოძმე-რევოლუციონერები კი არ გასცეს.

წითელი რაზმები სამაგიეროს უხდიდნენ და ანადგურებდნენ მეფის მძულვარე დამქაშებს.

როდესაც ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი დასავლეთ საქართველოში მიდიოდა, მას თითქმის ყველა რკინისგზის სადგურზე გზას უკრავდნენ გორის მაზრის აჯანყებული გლეხები.

გორის მაზრის თითქმის ყველა სოფელი ცარიზმმა შეიარაღებული ძალით აიღო. ჯალათი ალიხანოვი გაუსამართლებლად ხვრეტდა გლეხებს, წვავდა მთელ სოფლებს.

კიდევ დიდხანს ებრძოდნენ წითელ პარტიზანთა ჯგუფები მამასახლისებისა, ჩაფრებისა და მეფის სხვა მსახურთა თვითნებობას.

ქართლის რევოლუციონური მოძრაობის ისტორია ჯერ კიდევ მცირედ არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ უძვირფასესი საარქივო მასალებია და ცოცხალი არიან ცარიზმთან მტკიცე და შეუპოვარი ბრძოლის მონაწილენი.

ის მოკლე ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვყავს, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დაჟინებით და თანამიმდევრობით ხორციელდებოდა ამხანაგ სტალინის მიერ რევოლუციონური მუშებისა და გლეხების წინაშე წამოყენებული პოლიტიკური ამოცანები.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ბურჟუაზიასა და მემამულეებს მოგება მოუტანა, მუშებსა და გლეხებს-კი უფრო მეტი გაჭირვება და წამება. ქალაქის ბურჟუაზია, სოფლის კულაკობა, მევახშენი და ქვეყნის მჭამელნი ჯიბეს ისქელებდნენ. მშრომელი მასების სრული გაღატაკების ანგარიშზე. გაჭირვებამა და შიმშილმა მოიცვა მშრომელთა ფართო მასები. გორის სქელჯიბიანები მდიდრდებოდნენ სამხედრო შეკვეთებით და სპეკულაციას ეწეოდნენ პირველი მოთხოვნილების საგნებზე.

მაზრის გლეხობა სამხედრო ბეგარით იყო დაუძლურებული. კარგავდა რა მუშახელს, სოფლის მეურნეობა ქვეითდებოდა. 1917 წლისათვის გორის მაზრაში სათესი ფართობის 30% დარჩა დაუთესავი. ამასთანავე ბევრი გლეხი ჯერ კიდევ ფაქტიურად მემამულეთა ხელში იყო დარჩენილი, აძლევდა რა მათ მიწის გამოსასყიდ და მთელ რიგ სხვა გადასახადებს. ღარიბი გლეხობის აგრარულ გამოსვლებს სასტიკად ახშობდნენ შეიარაღებული ძალით.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტში, გორში მოწყობილ იქნა გორის მუშათა დეპუტატების საბჭო. გორის ბოლშევიკური ორგანიზაცია სისხლიდან დაცლილი იყო სასტიკი რეპრესიებით და ამიტომ მენშევიკებმა მოახერხეს ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათება.

გორის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაცია, თავისი შემადგენლობით მცირერიცხოვანი, 1917 წლის სექტემბრიდან აქტიურად გამოვიდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ.

ბოლშევიკების ლოზუნგები მემამულეთა მიწების კონფისკაციის შესახებ დიდ გამოძახილს პოვებდა გლეხთა შორის.

ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე გორის მაზრის გლეხებმა თვითონ იწყეს მიწების ჩამორთმევა მემამულეთაგან. გლეხებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ თავად ციციანოვის მამულზე, უარი თქვეს მემამულეთა სასარგებლოდ რაიმე გადასახადების გაღებაზე და მიწა თავის საკუთრებად გამოაცხადეს. ასევე მოიქცნენ გლეხები, რომელთაც იჯარით ჰქონდათ მამული აღებული თავად ერისთავებისაგან.

მენშევიკები ილაშქრებდნენ ამ „თვითნებურ“ მოქმედებათა წინააღმდეგ. 1917 წლის ზაფხულს დროებითი მთავრობის განსაკუთრებულმა ამიერ-კავკასიის კომიტეტმა („ოზაკომ“), რომელსაც მენშევიკები მართავდნენ, ასეთი დირექტივები დაუგზავნა საგუბერნიო კომისიებს მიწის საკითხზე: „კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯეთ პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან თვითნებურ მოქმედებაში... მოსახლეობას წინადადება მიეცეს დამფუძნებელი კრების



ქუჩა ძველ გორში.

მიერ მიწის საკითხის გადაჭრამდის უნარჩეხოდ იხადოხ საადგილმამულო და სხვა გადასახადები საადგილმამულო ბანკებში“.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველომ განიცადა თითქმის სამი წლის პერიოდი მენშევიკ-ნაციონალისტების ბატონობისა.

მენშევიკებმა ხელთ იგდეს მთავრობა, დაიკავეს თბილისის არსენალი, რომელიც მათ ფაქტიურად ჩააბარა რ. ს. დ. მ. პ. (ბ)-ის სამხედრო კომიტეტში მოკალათებულმა ოპორტუნისტთა ჯგუფმა, წამოაყენა-რა ლოზუნგი ხელისუფლების მშვიდობიანი გადასვლისა საბჭოებში.

„ამ ხელმძღვანელი ჯგუფის გამცემლური ტაქტიკის გამო,—წერს ამხ. ლ. პ. ბერია, — საქართველოს ბოლშევიკებმა 1917 წლის დამლევს ვერ შესძლეს გამოყენებინათ ხელსაყრელი რევოლუციონური სიტუაცია მთავრობის დასაფლობად“.

ლაპარაკობს რა ქართველი ნაციონალ-უკლონისტების შესახებ, რომლებიც განადგურებულნი, გაცამტვერებულნი და დაგმობილნი იყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის II და III ყრილობებზე, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II და III ყრილობაზე და საკ. კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე, — ამხ. ლ. პ. ბერია თავის მოხსენებაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, აღნიშნავს, რომ ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს „ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917 წ. აპრილი—1918 წ.) ეკავათ მემარჯვენე ოპორტუნისტული პოზიცია, ატარებდნენ ოქტომბრის დიდი რევოლუციის მემარჯვენე შტრაიკბრეხერთა გამცემლურ ხაზს. გაილაშქრეს-რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინური გეგმის წინააღმდეგ“.

ნაციონალ-უკლონისტები თავიდანვე დაეშვნენ ტროცკისტულ-მენშევიკურ პოზიციებზე და, იყვნენ-რა ტროცკიზმის აგენტურა, ცოფმორეული იბრძოდნენ ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ. შემდეგ, კონტრრევოლუციონერი ტროცკიზმის რიგებში, ნაციონალ-უკლონისტები გადაიზარდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვათა დაქირავებულ აგენტებად, ჯაშუშებად, მავნებლებად, დივერსანტებად და მკვლელებად, ხალხის მტრების თავაღებულ ბანდად.

მენშევიკები, ღაღადებდნენ რა „დემოკრატიულ თავისუფლებათა“ შესახებ, დაუფარავად და თავხედურად ეწეოდნენ ქართველი ხალხის ინტერესების გამცემლობას ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების სასარგებლოდ. ამჯობინებდნენ-რა დასავლეთის იმპერია-

ლისტებს მშრომელი მასების აღმოსავლეთიდან მომავალ რევოლუციონურ განთავისუფლებას, მენშევიკები სასტიკად ახშობდნენ მუშებისა და გლეხების ბოლშევიკურ გამოსვლებს.

რევოლუციონური ვითარება, რომელიც იმ დროს ამიერ-კავკასიაში იყო, განსაკუთრებული სიმკვეთრითა და სიძლიერით აქვს გამოხატული ამხანაგ სტალინს სტატიაში „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით". ამ სტატიაში, რომელიც 1918 წელს „პრავდაში" დაიბეჭდა, ამხანაგი სტალინი წერდა:

„ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა ხოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია. ცეცხლში გაეხვია მუსლიმან და ქართველ მემამულეთა კარმიდამოები. ბატონყმური ნაშთების ბურჯებზე გადამწყვეტი იერიში, მიიტანეს „გაბოლშევიკებულმა" ჯარისკაცებმა — გლეხებმა. ცხადია, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ცარიელი დაპირება გლეხობისათვის მიწის გადაცემის შესახებ ვეღარ დააკმაყოფილებდა აგრარული ტალღით მოცულ გლეხობას. მისგან მოითხოვდნენ საქმეს, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურ საქმეს.

არც მუშები ჩამორჩნენ და ვერც ჩამორჩებოდნენ მოვლენებს.

ჯერ ერთი, ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ბევრი მონაპოვარი მოჰქონდა, ბუნებრივია, რომ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს ახალი ბრძოლისათვის რაზმავდა. მძინარა თბილისის მუშებმაც კი, მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენმა, იწყეს ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან ჩამოშორება და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერა. მეორე, როდესაც ჩრდილო-კავკასიაში, რომელიც კალედინ-ფილიმონოვის დროს თბილისს პურს აწვდიდა, საბჭოებმა გაიმარჯვეს, არ შეიძლებოდა არ გამწვავებულიყო სასურსათო გაჭირვება, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მთელი რიგი სასურსათო „არეულობანი" — რევოლუციური ჩრდილო-კავკასია გადაჭრით უარს ამბობს ჰკვებოს კონტრრევოლუციური თბილისი. მესამე, ფულის ნიშნების უქონლობა (ბონები მათს მაგიერობაში ვერ გასწევს) შლიდა სამეურნეო ცხოვრებას და უწინარეს ყოვლისა, რკინისგზის ტრანსპორტს, რამაც, უეჭველია, გააძლიერა ქალაქის ქვედა ფენების უკმაყოფილება. დასასრულ, რევოლუციური პროლეტარული ბაქო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და დაუღალავად ებრძოდა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს დაძინების საშუალებას არ აძლევდა და მისთვის წასაბაძ მაგალითისა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა.

ყოველივე ამას, ერთად აღებულს, არ შეეძლო არ გამოეწვია მთელი პოლიტიკური ვითარების გარევოლუციურება ამიერ-კავკასიაში.

საქმე, ბოლოს, იქამდე მივიდა, რომ „უსაიმედოესმა“ ნაციონალურმა პოლკებმაც-კი იწყეს „გახრწნა“, ბოლშევიკების მხარეზე გადასვლა“.

მენშევიკებმა სცადეს რეგულარული არმიის ნაწილების მოწყობა, მაგრამ ამან მიზანს ვერ მიაღწია. მეფის ყოფილი არმიის ნაწილებიდან შემდგარი ქართული ნაციონალური ჯარები ბოლშევიკურად განწყობილნი აღმოჩნდნენ. ეს ნაწილები აქტიურად გამოდიოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ.

მეოთხე ქართული პოლკი ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ გორში იყო დაბანაკებული. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ჯარისკაცთა შორის აგიტაცია აწარმოა და პოლკი იარაღით ხელში გამოსვლისათვის მოამზადა.

16 თებერვალს, გორში შემდგარი მასობრივი მიტინგის შემდეგ, მეოთხე ქართული პოლკი აჯანყდა და ქართლის რამდენიმე დაწესებულება დაიკავა. აზნაური ოფიცრები და მენშევიკური „გვარდიის“ არსებული ძალები გაიქცნენ. მოსახლეობის ბურჟუაზიულ ნაწილში პანიკა შეიქმნა.

აჯანყებულ ჯარისკაცთა წინააღმდეგ მენშევიკურმა მთავრობამ თბილისიდან თავისი „გვარდიის“ ახალი ნაწილები გადაისროლა.

გორის მაზრაში სამხედრო წესები იქნა გამოცხადებული და გორში „ღენერალ-გუბერნატორი“ დანიშნეს. ბევრი აჯანყებული ჯარისკაცი იარაღით ხელში წავიდა სოფლად. მათ მაგალითს მიჰყვნენ ხაშურის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები, რომლებმაც იარაღის საწყობი გატეხეს და იარაღი დაირიგეს.

შემდგომ მენშევიკებმა, რევოლუციონური გამოსვლების გაძლიერების საფრთხის გამო, გორში თავი მოუყარა გვარდიელთა მნიშვნელოვან ძალებს.

ამხანაგ სტალინს სტატიაში „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“, მოჰყავს სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე მიღებული წერილი კავკასიელი ამხანაგისა, რომელიც მენშევიკების კონტრრევოლუციონური თავაშვებულობის მოწმე იყო.

„გორში, — ნაამბობია წერილში, — დააპატიმრეს ჩვენი ამხანაგები. დღეს გვატყობინებენ, რომ იქ განაიარაღეს ჩვენი ჯარისკაცები და უკვე ხვრეტა მიდის“.

არალეგალურ მდგომარეობაზე გადასული საქართველოს ბოლ-

შევიკური ორგანიზაციები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ მენშევიკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

1918 წლის 1 აპრილს აჯანყდნენ სამხრეთ ოსეთის გლეხები (ოსები და ქართველები).

აჯანყებულებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ფრონტელ ჯარისკაცებთან ერთად, დაიკავეს ქალაქი ცხინვალი.

მენშევიკებმა მათ წინააღმდეგ გაგზავნეს გვარდიელთა რაზმი 400 კაცის შემადგენლობით, მაზრის კომისრის მაჩაბლის მეთაურობით.

ადგილზე მისვლისას რაზმმა მოლაპარაკება დაიწყო აჯანყებულებთან. მოაწყეს მიტინგი. გლეხები მოითხოვდნენ მიწების გადაცემას და საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას. ამის საპასუხოდ მაჩაბელმა უბრძანა ტყვიამფრქვეველებიდან ცეცხლი დაეშინათ. ბრძოლის დროს მოჰკლეს მაჩაბელი და გაანადგურეს თითქმის მთელი რაზმი.

აჯანყებულ ოსებს მზად იყვნენ შეერთებოდნენ გლეხები გორის მაზრის სხვა ადგილებიდან (ქარელი, ატენი).

აჯანყების ჩასახშობად თბილისიდან დიდი ძალა დაიძრა არტილერიითა და ტყვიამფრქვეევებით. მენშევიკებმა ცხინვალი ბრძოლით აიღეს. გვარდიელებმა მთელი ოსეთი გაიარეს. ძარცვავდნენ და წვავდნენ სოფლებს, ხვრეტდნენ აჯანყებულებს, არ ზოგავდნენ რა ქალებსა და ბავშვებსაც.

გლეხთა მღელვარებანი გორის მაზრაში არ წყდებოდა.

ბოლშევიკურ იატაკქვეშ ძალები მზადდებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ პერიოდში გორის მაზრის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, რომელიც საგრძნობლად გამაგრდა, ძირითად როლს ხაშურის რკინისგზელი მუშები თამაშობდნენ.

1919 წლის სექტემბერში შეიარაღებულმა აჯანყებამ კვლავ იფეთქა სამხრეთ-ოსეთში, ეს აჯანყება მენშევიკებმა დიდი სისასტიკით ჩაახშეს.

მენშევიკების მტაცებლურმა თარეშმა გორი უკიდურეს დაცემამდის მიიყვანა. ქალაქში დაბანაკებული მენშევიკური „გვარდიისათვის" არავითარი კანონები არ არსებობდა. ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ამას სტიქიური უბედურებაც დაერთო: 1920 წლის 20 თებერვალს ქალაქ გორში და ახლომახლო სოფლებში დიდი მიწისძვრა მოხდა, გორში დაინგრა 487 სახლი და საგრძნობლად დაზიანდა 454 სახლი. ჩამოინგრა გორის ციხის კედლები.

მენშევიკური „დამოუკიდებელი სახელმწიფო" სრულებით არა

ზრუნავდა დაზარალებულთა დახმარების შესახებ და ვარაუდობდა მხოლოდ ნებაყოფლობით შეწირულებას. მაგრამ შეკრებილი თანხებიდანაც კი ქალაქს თითქმის არაფერი დარჩა. ადგენდნენ ფანტასტიკურ პროექტებს ქალაქის მშენებლობის შესახებ, რომელთა განხორციელება აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ყველა ასეთი პროექტის დამტკიცებამდის ნებას არავის აძლევდნენ სახლები აეშენებინათ.

გორის მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი პირდაპირ ცის ქვეშ დარჩა. შეძლებულებმა ქალაქი დატოვეს. გორის მოსახლეობის რიცხვი 18 ათასიდან 5 ათასამდის დავიდა. მიწყდა ქალაქის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

1920 წლის ივნისში ხელახლა აჯანყდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელები და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. რევოლუციონური აჯანყების ჩასახშობად მენშევიკებმა მნიშვნელოვანი ძალები შეკრიბეს. აჯანყების 13 მეთაური დახვრიტეს ჯალათ-გვარდიელმა. ოსეთი ცეცხლის ალში გაეხვია. გამხეცებული გვარდიელები ქალებს აუპატიურებდნენ, მცხოვრებთ ძარცვავდნენ, ოდნავი ეჭვის გამო ხოცავდნენ მოსახლეთ.

დამსჯელ ექსპედიციას ჯალათი ჯუღელი მეთაურობდა. შემაძრწუნებელი სადიზმით წერდა ეს სისხლის მსმელი თავისი მხეცობის შესახებ: „ჩვენს გარშემო ოსეთის სოფლები იწვის... მე დამშვიდებული გულით და წმინდა სინიდისით შევყურებ ნაცრად და კვამლად ქცეულ სოფლებს... სოფლები აქ მაღალ მწვერვალებზეა გაშენებული და ალბათ ოსები ფიქრობდნენ, რომ ისინი ჩვენთვის მიუწვდომელნი იქნებოდნენ! მაგრამ ეხლა ყველგან ცეცხლია... იწვის და იწვის ყველაფერი! გულშემზარავი ცეცხლი... რაღაც საშინელი, სასტიკი, ფაერიული სილამაზე“...

დამსჯელმა ექსპედიციამ მოჰკლა 5279 კაცი, დაწვა 1583 გლეხის ქოხი და 2639 სამეურნეო შენობა, გაანადგურა 23 ათასი ჰექტარი ნათესი და ასიათასზე მეტი მსხვილი და წვრილი ოთხფეხი საქონელი.

1920 წლის 1 ივლისს მენშევიკებმა დააპატიმრეს და დაარბიეს გორის სამაზრო ბოლშევიკური ორგანიზაცია.

1920 წლის შემოდგომა განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს მშრომელთათვის. მენშევიკებმა საბოლოოდ გაანადგურეს ისედაც სუსტად განვითარებული სამეურნეო ცხოვრება. მათ გასცეს ქართველი ხალხის ინტერესები დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტებს.

დადგა 1921 წელი.

აჯანყებულმა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა 1921 წლის თებერვალში, რუსეთის პროლეტარიატისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს მენშევიკების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ქართველი ხალხი მიჰყვებოდა ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებას. სტატიაში „საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში“ ამხანაგი სტალინი წერდა:

„ამ ვითარებაში, როდესაც პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდება, განაპირა ქვეყნებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ა ნ რუსეთთან ერთად, და მაშინ განაპირა ქვეყნების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან;

ა ნ ანტანტასთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს. ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა არის მხოლოდ მაცდუნებელი მოჩვენება, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტების ამა თუ იმ ჯგუფისაგან“.

ქართველმა ხალხმა პირველი გზა აირჩია — გზა იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქ თბილისში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ დეპეშა გაუგზავნა ლენინსა და სტალინს: „თბილისზე ფრიალებს წითელი დროშა საბჭოთა ხელისუფლებისა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

რამდენიმე დღის შემდეგ, 1921 წლის 1 მარტს გაზეთში „კავკასიის კომუნა“, რომელიც თბილისში გამოდიოდა, მოთავსებული იყო მოკლე ცნობა:

„გორში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოაწყეს“.

საბჭოთა წითელი დროშა გორზეც აფრიალდა.

XII

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლდა კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრისაგან და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი ცხოვრების შენება.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), საბჭოები და მთელი ქართველი ხალხი ახალი ცხოვრების შენებაში ხელმძღვანელობდნენ სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ისტორიული მითითებებით.

ამიერ-კავკასიის ხალხთათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წერილს კავკასიის კომუნისტებისადმი და ამხანაგ სტალინის გამოსვლას 1921 წლის ივლისში თბილისის პარტორგანიზაციის კრებაზე საქართველოში და ამიერ-კავკასიაში კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ.

1936 წელს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის დღესასწაული იყო, ამხანაგი ლ. პ. ბერია სტატიაში „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“, წერდა საქართველოს მშრომელთა უდიდესი მიღწევების შესახებ სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის საქმეში. ეს მიღწევები გამარჯვება იყო ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა.

„ნაციონალ-უკლონიზმის მხოლოდ ულმობელი განადგურებით, — წერდა ამხ. ლ. პ. ბერია, — საქართველოში სოციალისტური მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობათა და მასების ინტერნაციონალური აღზრდით უზრუნველჰყო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

სოციალისტური მშენებლობის ამ გამარჯვებებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში განმტკიცდა საქართველოს ბოლშევიკური პარტია და კიდევ უფრო ძლიერად შემჭიდროვდა იგი საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ისა „და ამხანაგ სტალინის ირგვლივ“.

უდიდესი მიღწევები საბჭოთა საქართველოს მშრომელებისა



გორი, საერთო ხედი ციხიდან,

უშუალოდ არის დაკავშირებული დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელთან, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისა) და ზრდიდა მას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და ამხანაგ სტალინის მითითებათა მტკიცედ განხორციელების ნიმუშებზე.

1935 წლის ივლისში თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე ამხანაგი ლ. პ. ბერია გამოვიდა მოხსენებით — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", რომელმაც მთელი პარტიის ყურადღება მიიპყრო.

ამხ. ლ. პ. ბერიას მოხსენება ბოლშევიზმის ისტორიის უძვირფასეს განძად იქცა. მან მთელი პარტიის წინაშე გადაშალა მგზნებარე ფურცლები ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე და თვალნათლივ გვიჩვენა, თუ როგორ ჩაუყარა საფუძველი დიდ ბოლშევიკურ პარტიას ამხანაგმა სტალინმა, ლენინთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა.

ამხანაგი ბერია საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ხელმძღვანელი პარტიული მუშაობის წლებში ინიციატორი იყო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, რომლებიც ბრწყინვალე მიღწევებით დაგვირგვინდა.

შეიცვალა სახე ქალაქებისა და სოფლებისა, აყვავდა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. შეიცვალა სახე დიდი სტალინის სამშობლო ქალაქის გორისა. უდიდესი სიყვარულით არის რესტავრირებული და აღნიშნული ისტორიული სტალინური ადგილები საქართველოში.

ქალაქი გორი 1921 წლიდან იშუშებდა ჭრილობებს, რომლებიც მას ჰქონდა მიყენებული მენშევიკების თარეშითა და სტიქიური უბედურებით — 1920 წლის მიწისძვრით.

ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ტემპების გაძლიერების პერიოდი იწყება 1934 წლიდან. როდესაც ამხანაგ ლ. პ. ბერიან ინიციატივით დადგენილი იყო ძირითადი ამოცანები ამ საკითხებში.

პირველსავე წლებში ქალაქი არსებითად შეიცვალა და დაწინაურდა საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქთა შორის როგორც თავისი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობით, ისე კეთილმოწყობის ხარისხით. სოციალისტური რევოლუციის წლების განმავლობაში გორის მოსახლეობა, მიწისძვრის შემდეგ 5000 სულს უდ-

გორი. სახლი, სადაც დაიბადა ი. ბ. სტალინი და ბავშვობის პირველი წლები გაატარა.

რიდა, სამჯერ მეტად გაიზარდა და 1939 წლის დამდეგისათვის 12 ათას სულს მიაღწია.

მესამე სტალინური ხუთწლედში უფრო ფართოდ გაიშალა მუშაობა ქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. ქალაქის ახალ გეგმაზე აშენებულია ყველაფერი ის, რაც შექმნილია გორში საბჭოთა ხელისუფლების წლებში და რაც არის კიდევ გასაკეთებელი — ახალი ქუჩები, პროსპექტები, სახლები, ბაღები და მოედნები.

ქალაქის მაგისტრალური ქუჩები მოასფალტირებულია და მოკირწყლულია. გაყვანილია წყალსადენის ქსელი. ქალაქი გამშვენიერდა ახალი შენობებით: პედაგოგიური ინსტიტუტისა, საშუალო სკოლებისა, დრამატიული თეატრისა, სასტუმროსი, კინოთეატრისა, სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა, რაიონული შემნახველი სალაროსი, საცხოვრებელი ბინებისა; ქალაქი გამშვენიერდა მხატვრული ქანდაკებებით, რომლებიც სკვერებსა და ბაღებშია დადგმული.

რეკონსტრუირებულია რკინისგზის სადგურის შენობა. მდინარე ლიახვზე ისარივით გადაიჭიმა ახალი ხიდი. ყველაფერი ეს დაკავშირებულია ქალაქის ახალ დაგეგმასთან და შედის სოციალისტური ქალაქის საერთო კომპოზიციაში.

ქალაქი მდებარეობს ხილეულობისა და ბოსტნეულობის კულტურით მდიდარ რაიონში. თვით ქალაქში საკავშირო მნიშვნელობის დიდი საკონსერვო ქარხანაა.

ქალაქის რეკონსტრუქციასთან მჭიდრო კავშირი აქვს წარსული საუკუნეების ძეგლის, გორის ციხის, რესტავრაციის დაწყებულ სამუშაოებს.

ციხის ძველი ნანგრევების ახლოს, როგორც სიმბოლო სამყაროს ახალგაზრდობისა, დგას ისტორიული პატარა სახლი, სადაც სამოცი წლის წინათ დაიბადა დიდი სტალინი — იმედი და სიხარული მთელი მშრომელი კაცობრიობისა.

სახლი, რომელიც ინახავს ამხანაგ სტალინის ბავშვობის პირველი წლების ნახსოვრობას, რესტავრირებულია ამხ. ლ. პ. ბერიას ინიციატივითა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

სახლის ფასადზე სამახსოვრო წარწერაა: „აქ 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა დიდი სტალინი; აქვე გაატარა მან თავისი ბავშვობა 1883 წლამდე“.

ისტორიული სახლი მდებარეობს კვარტალში, სადაც გორის ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა. სახლზე დადგმულია გრანიტისა და

მარმალილოს პავილიონი, რათა იგი დაცულ იქნას საუკუნეებისათვის, მომავალ დროთა თაობებისათვის.

სახლი აშენებულია ქართული ბრტყელი აგურისაგან. კარები გამოდის აივანზე, ჩუქურთმიანი ხის სვეტებით. სახლი ორი ოთახისაგან შედგება. ერთ ოთახში ჯუღაშვილის ოჯახი ცხოვრობდა. ფანჯრიდან და ღია კარიდან მოჩანს ოთახის უბრალო მოწყობილობა. ოთახის შუა თეთრი სუფრით გადაფარებული უბრალო სასადილო მაგიდაა, ირგვლივ — ხის ოთხი შეუღებავი ტაბურეტი, მაგიდაზე თიხის დოქი წყლისათვის და თითბრის სანათი. ბინდისას აქ ინთება სინათლე, ისე როგორც მთელს ახალ ქალაქ გორში. მარცხნივ, ფანჯარასთან, საწოლი დგას ორი ქსოვილი საბნით და ხალიჩის ბალიშებით. გვერდით პატარა სკივრია, სადაც ინახება უბრალო ქონება ოჯახისა, შემდეგ დგას კიდობანი. კედელში კარების პირდაპირ, განჯინებია ჭურჭლისა და ტანსაცმელისათვის. მარჯვნივ, კედელთან, მუშამბით გადაფარებული პატარა ბუფეტი დგას. მასზე სამოვარია და მრგვალი ხის სარკე ორი შანდლით.

გვერდით, ოთახში, რომელიც სახლის პატრონს ეკუთვნოდა, ამჟამად ფოტო-სურათებია გამოფენილი: ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სურათი ადრეული წლებისა, ახალგაზრდა სტალინის სურათი. აქვეა: მეტრიკული ამონაწერი იოსებ ბესარიონის-ძის დაბადების შესახებ, დოკუმენტი იოსებ ბესარიონის-ძის მიერ გორის საასულიერო სასწავლებლის ფრიადზე დამთავრების შესახებ, როგორც პირველი მოწაფისა, პირველი ხარისხით.

მტკვრის ხიდთან, ლენინის ქუჩის დასაწყისშივე, შენობაა გორის სასულიერო სემინარიისა, სადაც ამჟამად მოთავსებულია ამხანაგ სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. სახლის ფასადზე წარწერაა მარმალილოზე: „აქ, ყოფილ სასულიერო სასწავლებელში, სწავლობდა 1888 წლის 1 სექტემბრიდან 1894 წლის 1 ივლისამდე დიდი სტალინი“.

ამ წლების შესახებ დოკუმენტებით ლაპარაკობენ მასალები ისტორიული კუთხისა, რომელიც მოწყობილია ტექნიკუმის ერთ-ერთ ოთახში, სადაც უწინ იყო მეოთხე გამოსაშვები კლასი სასულიერო სასწავლებლისა.

ხალისიანი საბჭოთა ახალგაზრდობა ავსებს კლასებს ყოფილი საასულიერო სასწავლებლისას. დასვენების დროს და გაკვეთილების შემდეგ ვაჟებისა და ქალიშვილების მხიარული ხმები ისმის სასწავლებლის დერეფანში, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ წკრიალებდა ახალგაზრდა ხმები იოსებ ჯუღაშვილისა და ლადო კეცხოველისა.

ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეო-

ბისადმი მიძღვნილია გამოფენა ისტორიული მასალებისა და დოკუმენტებისა, რომელიც მოწყობილია ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატივით ახალ ლამაზ შენობაში, ისტორიული სახლის გვერდით, სადაც დაიბადა და ბავშვობის პირველი წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა.

ქალაქ გორის ისტორიულ სტალინურ ადგილებსა და ამ გამოფენას ნახულობენ ათეული ათასობით მშრომელები ჩვენი დიადი ქვეყნისა.

გორის მოსწავლე ახალგაზრდობა იღებს ასეულ და ათასეულ წერილებს პიონერთა და მოწაფეთაგან ჩვენი თვალუწვდენელი სოციალისტური ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

მაღალი პატრიოტული გრძნობებით არის აღვსილი მოწაფეთა გულები, როდესაც მიწერ-მოწერით ეცნობიან ისტორიას, ჩვენი დიდი სოციალისტური ქვეყნის წარსულსა და დღევანდელ დღეს. ნორჩი პატრიოტების მიწერ-მოწერა ახალ თაობაში ზრდის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, ინტერნაციონალიზმს.

წერილებში გორის ახალგაზრდობის მიმართ, აძლევენ რა მრავალ შეკითხვას გორის ისტორიული ადგილებისა და დიდი სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლების შესახებ, პიონერები და მოწაფენი თავის მხრივ მოგვითხრობენ იმ ადგილების შესახებ, სადაც თვითონ ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ. მოწაფენი შჩორსიდან იწერებიან: „ჩვენ იმ ადგილებში ვცხოვრობთ, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ლეგენდარული სარდალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე შჩორსი“... ვოროშილოვგრადიდან იწერებიან: „ჩვენ არასდროს არ გვავიწყდება, რომ ჩვენი ქალაქი საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის კლიმ ვოროშილოვის სახელს ატარებს. ჩვენ ბედნიერნი და ამაყნი ვართ, რომ ჩვენ ვოროშილოვგრადელები — შვილები ვართ ლუგანსკის გმირული დამცველებისა“.

„ჩვენი სკოლა დნეპრის ახლოა, — მოგვითხრობენ გრადიჟსკის პიონერები, — ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ ბავშვები მოძმე საქართველოს რესპუბლიკისა, — უდიდესი მასწავლებლის, მეგობრისა და ხალხთა ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სამშობლოსი“.

წერილში სოლვიჩეგოდსკიდან ბავშვები იწერებიან თავისი სასკოლო ცხოვრების შესახებ, ქალაქ სოლვიჩეგოდსკის ისტორიის შესახებ, სადაც მეფის მთავრობა ასახლებდა რევოლუციონერებს; მოგვითხრობენ იმ ადგილების შესახებ, სადაც მეფისაგან გადასახლების წლებში ცხოვრობდა ამხანაგი სტალინი.

გორის ახალგაზრდა ადრესატებს ფოსტა ყოველდღე აწვდის ასე-

ულ წერილებს ჩვენი ქვეყნის შორეულ და ახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან. სწერენ უკრაინიდან, ბელორუსიიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან, სწერენ მოსკოვიდან, არხანგელსკიდან, ულიანოვსკიდან... შესანიშნავი მიწერ-მოწერა გაიმართა გორისა და ულიანოვსკის ახალგაზრდა აგიტატორთა შორის.

— „გორში ყველაფერი ახლო და უწყვეტად დაკავშირებულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინთან. იგი აქ დაიბადა, აღიზარდა და შეიგრძნო ირგვლივ სამყარო. აქ ყრმა სტალინს თვალწინ პირველად წარმოუდგა ხალხის უუფლებობის სურათები“ — სწერდნენ გორის ახალგაზრდა აგიტატორები ულიანოვსკელ ამხანაგებს. „ჩვენ მივისწრაფით ღრმად შევისწავლოთ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიები, — განაგრძობენ ისინი, — ძალიან ბევრი რამის თქმა შეგვიძლია ერთმანეთისათვის მიწერ-მოწერის საშუალებით“.

აი სტრიქონები საპასუხო წერილისა გორელ ამხანაგებს:

— „თქვენს ინიციატივას სააგიტაციო მუშაობის ურთიერთ გაცნობის შესახებ მხურვალედ დაუჭირა მხარი ქალაქ ულიანოვსკის ყველა აგიტატორმა... ჩვენი ქალაქის აყვავება, ისე, როგორც აყვავება საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა, თვალნათლივ მაჩვენებელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებებისა“.

წერილი თავდება მოწოდებით: „ვიმუშაოთ და ვისწავლოთ ისე, როგორც სწავლობდა და მუშაობდა ლენინი, როგორც სწავლობდა და მუშაობდა ამხანაგი სტალინი, ვიყოთ აგიტატორები ლენინურ-სტალინური ტიპისა“.

ხალხთა დიდი მეგობრობის სიმბოლოდ გადაიქცა ქალაქი გორი.

ამ ქვეყანაში, პატარა, სადა სახლის კედელთან, სადაც დაიბადა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, ხვდებიან ერთმანეთს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შოძმე რესპუბლიკათა მშრომელები. ისტორიულ ქალაქს ეცნობიან ხალხები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიან.

აქ იყო ჩრდილო. მხარის ზღაპრების მთქმელი მართა სიმონის ასული კრიუკოვა. გორის ყოფილ სასულიერო სასწავლებლის შენობაში იგი იდგა საბჭოთა კავშირის რუკის წინ და უყურებდა, თუ რა გზებით მოვიდა იგი თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე, „რათა ზღვები ერთმანეთს გაეცნონ და სალამი მიცენ“. სოფელ ნიჟნაია ზოლოტნიციდან ჩამოვიდა იგი ქალაქ გორში, სადაც სტალინი დაიბადა. თითო ასოთი კითხულობდა იგი აქ სტრიქონებს თანამედროვეთა მოგონებებისა ბელადის სასკოლო წლების შესახებ: „...მე მგონია, რომ ზღაპრებმა ჩაუნერგეს ცხრა წლის იოსებ ჯუღაშვილს წიგნის

სიყვარული“. რა ახლობელი ეჩვენა ეს სტრიქონები ზღაპრების მთქმელს კრიუკოვას!

აქედან, გორიდან, გაგზავნა მან დეპეშა ჩრდილოეთში, სამშობლო სოფელში, მის შესახებ, რომ ნახა ადგილები, დაკავშირებული ამხანაგ სტალინის ბავშვობისა და ყრმობის წლებთან.

დიდი სიყვარულით დაათვალიერა გორი ალექსი სტახანოვმა.

საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ვოდოპიანოვმა, გაეცნო რა გორში გამოფენის ისტორიულ მასალებსა და დოკუმენტებს, შემდეგი სტრიქონები ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში: „მე დიდი ხანია ვოცნებობდი გორში მოსვლის შესახებ, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა. დღეს ჩემი ოცნება განხორციელდა. მე ბედნიერი ვარ“.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პლენუმის მონაწილე მწერლები, ჩამოვიდნენ რა გორში, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს სწერდნენ მისასალმებელ წერილში: „ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ იმ მიწაზე, რომელმაც სტალინი მოგვცა!

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, რომელიც სტალინის ეპოქაა!

ყოველ ჩვენგანს სურს გააკეთოს ცხოვრებაში ყველაფერი კომუნიზმის გამარჯვებისათვის!“

ღრმა პატრიოტული, სტალინისადმი სიყვარულისა და თავდადებით სავსე სიტყვები ისმის აქ.

„ამ ქალაქის დიდება, — ლაპარაკობდნენ გორში მწერალთა და მშრომელთა მიტინგზე, — არასდროს არ დაბინდდება, ხალხთა მილიონები ნახავენ ამ ადგილს და გაიმეორებენ სიტყვას, რომელიც ყველას ერთნაირად გვაღელვებს:

სტალინ!

სტალინ!

სტალინ!“

გორში 1938 წელს ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს, უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები. გორიდან სწერდნენ ისინი ამხანაგ სტალინს იმ მეგობრობის უდიდესი გრძნობის შესახებ, რომლითაც შედუღებული არიან საბჭოთა კავშირის ხალხნი.

— „ჩვენ მაგრად ვართმევთ ხელს ერთმანეთს, გულთბილად ვბაასობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ მუშაობის გამოცდილებას. მშობლიურზე მშობლიურები ვართ ერთმანეთისა.

მაგრამ ხომ იყო დრო, როდესაც გლეხები, ყოფილი რუსეთის იმ-



გორი. ახალი სახლები ლენინის ქუჩაზე.

პერიის სხვადასხვა ეროვნების მშრომელები, ვერც კი ოცნებობდნენ ასეთი შეხვედრის შესახებ. ხალხთა საპყრობილე იყო მეფის რუსეთი.

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მხოლოდ უდიდესმა ბელადებმა მშრომელებისა — ლენინმა და სტალინმა გაუხსნეს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხებს გზა ახალი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

ჩვენ ვცოცხლობთ და ვშრომობთ, ვიმარჯვებთ და ვმტკიცდებით ხალხთა მეგობრის დიდი სტალინური დროშის ქვეშ".

მოძმე რესპუბლიკების მშრომელები სასიხარულო შეხვედრის ამ სანახსოვრო დღეს სწერდნენ მისალმებაში ამხანაგ ლ. პ. ბერიას:

— „ძვირფასო ამხანაგო ბერია, თქვენი განსაკუთრებული ზრუნვით არის მოცული ქალაქი გორი და ყოველი მისი კუთხე, რომელიც ინახავს დიდი ბელადის ყრმობის წლების ნახსოვრობას.

ისტორიული სახლი ქალაქ გორში გადაიქცა ხალხთა დიდი მეგობრის სიმბოლოდ.

ეს მთები, რომლებიც გარს ერტყმიან ძველ ქალაქსა და ქართლის ხეობას, მოწმენი იყვნენ პირქუში წარსულისა, როდესაც ცარიზმი და შემდეგ მენშევიკები ხალხთა შორის შავ შუღლსა თესავდნენ. ეს მთები ახლა მოწმენი არიან ხალხთა ძმური კავშირის ფართო და მძლავრი გაშლისა.

უკრაინის ხალხის მომღერალი ტარას შევჩენკო, მიისწრაფოდა რა გონებით კავკასიისაკენ, წერდა: „მთების იქით მთები — ღრუბლებით მოსილია, სიმწუხარით მოთესილი, სისხლით მორწყულია".

ლენინმა და სტალინმა გაფანტეს ეს სიმწუხარე, გაფანტეს ეს ღრუბლები.

სრული თავისი ხმით იწყეს ლაპარაკი და მღერიან სიხარულისა და ბედნიერების სიმღერებს თავისუფალი ხალხები".

გაფართოვდა საზღვრები ქალაქებისა და სოფლებისა. არც მთანი, არც ზღვანი და მდინარენი აღარ უშლიან ხელს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელთა ძმურ კავშირს.

ძველი ნანგრევებიდან აღორძინდა გორი, — ქალაქი, რომელთანაც დაკავშირებულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ისტორია; ქალაქი, სადაც დაიბადა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი, ჩვენი მშობლიური **დიდი სტალინი.**

●

ძირითადი წყაროები:

ვ. ი. ლენინი. რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა.

ვ. ი. ლენინი — წერილი კავკასიის კომუნისტებს.

ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. გამოც. 11, 1939 წ.

ი. ბ. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი. მოსკოვი, 1939 წ.

ი. ბ. სტალინი. კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით. გაზ. „პრავდა", № 55 - 56, 1918 წ.

ი. ბ. სტალინი. საუბარი გაზ. „პრავდას" თანამშრომელთან 30 ნოემბერს, 1920 წ.

ი. ბ. სტალინი. მოხსენება კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. გაზ. „პრავდა გრუზიი", 13 ივლისი. 1921 წ.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. მოსკოვი. 1938 წ.

ლ. პ. ბერია. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. გამოც. 4, 1938 წ.

ლ. პ. ბერია. ლადო კეცხოველი. მოსკოვი, 1938 წ.

ლ. პ. ბერია. ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ. სტატიები და სიტყვები. გამოც. „ზარია ვოსტოკა", თბილისი. 1938 წ.

ძველი მუშების მოგონებები დიდი სტალინის შესახებ. გამოც. „ზარია ვოსტოკა". თბილისი, 1939 წ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის საარქივო ფონდები.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველოს ფონდები.

ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, გამოც. მ. ბროსესი. პეტერბურგი, 1829 წ.

ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. დ. ჩუბინოვისა, პეტერბურგი, 1854 წ.

ვახუშტი. ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა. გამოც. მ. ბროსესი. პეტერბურგი, 1842 წ.

ვახუშტი. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1885 წ.
ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება. თბილისი, 1913 წ.
თ. ჟორდანია. ქრონიკები. წიგნი I და II. თბილისი, 1892 და 1897 წ.
მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1895 წ.
მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1894 წ.
დ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1889 წ.
ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თბილისი, 1913 — 1928 წ.
ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტომი I და II, თბილისი 1930 — 1936 წ.
ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. თბილისი, 1913 წ.
ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი, 1914 წ.
მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902 წ.
ძველი საქართველო. კრებული II. თბილისი, 1911 წ.
საქართველოს სიძველენი. კრებული III. თბილისი, 1910 წ.
ი. როსტომაშვილი. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ტომი I, თბილისი, 1898 წ.
ზ. ჭიჭინაძე. ქართველ კათოლიკელთა ვაჭრობა. თბილისი, 1905 წ.
შ. დავითაშვილი. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. თბილისი, 1933 წ.
ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. თბილისი, 1938 წ.
გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. თბილისი, 1935 წ.
პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XIII-სა. თბილისი, 1936 წ.
მ. ხელთუბნელი. მიხეილ თუმანიშვილი. თბილისი, 1938 წ.
პ. გუგუშვილი. შელავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში 1821-31 წ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები". ტომი V, თბილისი, 1936 წ.
ს. ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა. თბილისი, 1937 წ.
შ. ჩხეტია. თბილისის ისტორიისათვის. თბილისი, 1938 წ.
ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. თბილისი, 1937 წ.
ფეშანგი. შახნავაზიანი. თბილისი, 1936 წ.
ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. თბილისი, 1935 წ.
ნ. დუბროვინი. ისტორია ომისა და რუსების მფლობელობი-

სა კავკასიაში, ტომი I — VI. პეტერბურგი, 1871 — 1888 წლ. (რუს.).

ნ. დუბროვინი. გიორგი XIII, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და საქართველოს შეერთება რუსეთთან. პეტერბურგი, 1897 წ. (რუს.).

ვ. პოტო. კავკასიის ომი. ტომი I — III. პეტერბურგი, 1885 წ. (რუს.).

განმტკიცება რუსული მფლობელობისა კავკასიაში. ვ. პოტოს რედაქციით, ტომი I — XII, თბილისი, 1901 — 1908 წ. (რუს.).

ი. ცაგარელი. ღრამოტები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ. ტომი I. პეტერბურგი, 1891 წ. (რუს.).

ა. ჯავახოვი. გორი და მისი მიდამოები. „კრებული მასალებისა კავკასიის კუთხეთა და ტომთა ასაწერად". თბილისი, 1881 წ. (რუს.).

მ. ჯანაშვილი. გორი და მისი მიდამოები. „კრებული მასალებისა კავკასიის კუთხეთა და ტომთა ასაწერად". თბილისი, 1904 წ. (რუს.).

ს. ესაძე. ისტორიული წერილები კავკასიის მართვის შესახებ. ტომი I — II. თბილისი, 1907 წ. (რუს.).

დ. პაგირევი. კრებული სტატისტიკური ცნობებისა ამიერკავკასიის მხარის შესახებ. (თბილისი, 1907 წ. (რუს.).

საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში. დოკუმენტების კრებული. მოსკოვი, 1938 წ. (რუს.).

დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. თბილისი, 1919 წ. (რუს.).

ნ. ბადრიაშვილი. თბილისი. 1934 წ. (რუს.).

გლეხთა რევოლუციონური ბრძოლა საქართველოში 1905 წელს. მოსკოვი. 1935 წ. (რუს.).

გ. ხაჭაპურიძე. ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში. თბილისი, 1938 წ. (რუს.).

მ. პოლიევკტოვი. ევროპიელი მოგზაურნი კავკასიაში XIII — XVIII საუკ. თბილისი, 1935 წ. (რუს.).

მ. პოლიევკტოვი. მასალები ქართულ-რუსული ურთიერთობისა 1615 — 1640 წლებში. თბილისი, 1937 წ. (რუს.).

პ. გუგუშვილი. სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობანი. თბილისი, 1938 წ. (რუს.).

კ. ბერძენიშვილი. ნარკვევი ფეოდალური ურთიერთობის

განვითარებიდან საქართველოში (XIII — XVI საუკ.) თბილისი, 1938 წ. (რუს.).

გ. კოკიევი. საქართველოს შეერთება რუსეთთან. „ისტორიული წერილები“ № 4. სსრკ-ს სამეცნიერო აკადემია, 1938 წ. (რუს.).

აქტები კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისა, ტომები I — XII. თბილისი, 1866 — 1904 წ. (რუს.).

ა. თუმანოვი. აღწერილობა ქართული ქალაქის გორისა. პეტერბურგი 1816 წ. (რუს.).

მოგზაურობა ამბროზიო კონტარინისა. „ბიბლიოთეკა უცხოელი მწერლებისა რუსეთის შესახებ“. ტომი I. პეტერბურგი, 1836 წ. (რუს.).

მიმოხილვა რუსეთის სამფლობელოებისა კავკასიის იქით, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსიური მხრივ. პეტერბურგი. 1836 წ. (რუს.).

ჟ. კლაპროტი. მოგზაურობა მთის კავკასიისა და საქართველოში. ტომი II. პარიზი, 1823 წ. (ფრანგ.).

პ. ბუტკოვი. მასალები კავკასიის ახლო ისტორიისათვის. ტომები I — III. პეტერბურგი, 1869 წ. (რუს.).

კავკასია. მოგზაურობა ალექსანდრე დიუმასი. თბილისი, 1861 წ. (რუს.).

პ. იოსელიანი. არსებული და ყოფილი ქალაქები საქართველოში. თბილისი, 1850 წ. (რუს.).

ე. ვეიდენბაუმი. გზამკვლევი კავკასიაში. თბილისი, 1888 წ. (რუს.).

Тбилисский Филиал ИМЭЛ при ЦК ВКП (б)
Библиотека

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
გამომცემლობისაგან .	3
თავი I	5
თავი II .	9
თავი III	16
თავი IV	21
თავი V .	29
თავი VI	34
თავი VII	47
თავი VIII .	55
თავი IX	63
თავი X .	69
თავი XI	83
თავი XII	92
ძირითადი წყაროები	103